


2014 1 (19)

# მუსიკა

MUSIKA



ლურჯი მევიოლინე. მარკ შაგალი 1947 წელი.

# მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

1 (19)·2014



ეურნალი გამოიცემა  
საქართველოს კულტურისა და ტეგლითა დაცვის  
სამინისტროს ფინანსური მსარდაჭერით

ISSN 1987-7773

საპოცევრო ცხოვრება მანანა კორძაია.	2
საახალლო მუსიკალური შეხვედრები.....	
სიახლე მარიკა ჩიჯავაძე.	7
ოთხი პიროვნებაზე პარტიები .....	
თარიღი შიო აბრახამია.	
სიყვარულით - მუსიკისა და სირთულისადმი.....	12
კონკრეტი ეს არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაცისია.....	18
დიალოგი ელეონორათა რუსუდან ქუთათელაძე, შიო ჯაფარიძე.	
მუსიკალური ფასივალის იდეოლოგია.....	20
პრემიერა ნანა ლორია.	
არამიმა 27 ლეის შამოზ.....	30
ფოლკლორი ქეთევან ბაიაშვილი.	
„Newcomer“ .....	32
რუსუდან წურწუმია.	
10 ლეის იუგილე (ზრდისას მართვამოწიო შემძიმე).....	37
მუსიკა და მანამორბენა თამარ წულუკიძე.	
მურამ მურამიძის მუსიკალურ - თეატრალურ სამუშაო.....	42
პროექტი მართვილი კლარენსის ცარებაზე	
„განერაცია 2013“- ის მართველი გამარჯვებული.....	51
ფესტივალი შიო ჯაფარიძე.	
„ევიარეთ მარაჟ ხელოვნებას“ .....	53
გალესი მარიამ ქამუშაძე.	
სიცოცხლის პოლო ცეკვამზე... .....	62
პორტრეტი ნატა კობიძე.	
სიმამადან აღმოჩენებული იმაულებაი .....	64
არძივი ლევან მიჩანდარი.	
ქართული აროვაციული მუსიკა აირველი ხელნახერი ცემი.	
გამოსხაურება რუსუდან ქუთათელაძე.	70
„ქაღლური აროვაცია“ .....	
ისტორიის ფუნდები წუკრი კარკაძე.	
შათაისის სახურავი სასცავლებლის დაარსებამდე .....	78
ახალი გაოცემები რუსუდან წურწუმია.	
ნიმუში თანახმოვანი კართულ აოლიცონიავი.....	81
WWW .....	82
summary .....	84
რედაქტორი: მიხეილ ოქელი თანახმადამორჩაია: შიო ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე	
ინგლისური: გაზტანგ რუსუ, ვანო კერაძე, გოგი ჭელეძე	
ინგლისური თანახმა: ქეთევან თეარელი	
ინტერნეტ: დავით ადმისტრერის 123 ტელ.: (+995 32) 95 41 64.	
ელ.ფოსტა: journal.musika@mail.ru facebook: journal.musika	



## საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსებს:

კონკურსი საუკეთესო საფორტეპიანო ვირტუოზული პიესის გამოსავლენად. კონკურსის პირობები: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ კომპოზიტორს; კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა, საკონკურსო ნაწარმოები არ უნდა აღმატებოდეს 5-7 წუთს, არ უნდა იყოს შესრულებული და გამოცემული; კონკურსი ტარდება სამ ტურად, აუდიო ჩანაწერით.

ქართველი პოეტის ლექსზე საუკეთესო რომანსის გამოსავლენად. კონკურსის პირობები: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პროფესიონალ კომპოზიტორს; კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას ქართველი პოეტის ლექსზე შექმნილი რომანი, ნაწარმოები არ უნდა იყოს შესრულებული და გამოცემული; კონკურსი ტარდება სამ ტურად, აუდიო ჩანაწერით.

გემოალნიშნულ ორ ნომინაციაში საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გამოიგზიავნოს 2014 წლის 10 სექტემბრად მისამართზე: თბილისი, სანაპიროს №4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი.

ნლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები. კონკურსის პირობები: კონკურსი ტარდება ყოველწლიურად. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პროფესიონალ კომპოზიტორს. კონკურსი ტარდება ორ ტურად: I – საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში, II – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. I ტურზე შეირჩევა სამი ნაწარმოები და წარედგინება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთი გამარჯვებულის გამოსავლენად. კონკურსზე შეიძლება ნარმოდგენილ იქნას ნებისმიერი ქანრის და ნებისმიერი შემადგენლობისთვის დაწერილი ნაწარმოები. საკონკურსო ნაწარმოები უნდა იყოს შესრულებული და ჰქონდეს საზოგადოებრივი რეზონანსი. კონკურსანტმა უნდა ნარმოდგინოს საკონკურსო ნაწარმოების პარტიტურის ორი ეგზემპლარი და CD – ნაწარმოების პარტიტურის ელექტრონული ვერსიის ჩანაწერით (აკრეფილი Finale-ს ან Sibelius-ის პროგრამაში) ან CD აუდიო/ვიდეო ჩანაწერით.

ნლის საუკეთესო სამუსიკათმცოდნეო ნაშრომი. კონკურსის პირობები: კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა პროფესიონალ მუსიკისმცოდნებს. კონკურსი ტარდება ორ ტურად: I – საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში, II – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. I ტურზე შეირჩევა სამი ნაშრომი და წარედგინება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთი გამარჯვებულის გამოსავლენად. კონკურსზე ნარმოდგენილ უნდა იყოს 2014 წელს (პერიოდიკაში, შრომათა კრებულში და ა. შ.) გამოქვეყნებული, როგორც კრიტიკულ-ჟუბლიცისტური, ისე სამეცნიერო (წიგნი, სტატია, ნარკვევი, რეცენზია, ესსე და ა.შ.) ნაშრომი ქართული მუსიკის შესახებ. უპირატესობა მიენიჭება თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნებისადმი მიღლვინილ ნაშრომებს. საკონკურსო ნაწარმოებების საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში ნაშრომის ნარდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 28 ნოემბერი, ხოლო სამინისტროში – 2014 წლის 2 დეკემბერი.

ბოლო ორ ნომინაციაში საკონკურსო მასალა უნდა გაიგზიანოს საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებით კავშირში მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 123 კონკურსისათვის.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხ. <http://www.culture.gov.ge>

# საახალცლო მუსიკალური შეხვედრები

მანანა პორჩაია

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორის საკონცერტო დარბაზებში 2013 წლის სეზონი ამჯერადაც წინა საშობაო და საახალცლო კლასიკური მუსიკის კონცერტების ციკლით დაიხურა, რომელიც 15-დან 30 დეკემბრამდე მიმდინარეობდა. ასევე ტრადიციული გახდა ამ სპექტრში ჯაზური მუსიკის საღამოს ჩართვა, რაც დღეისათვის უკვე სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ კლასიკური აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოდ (რასაკვირველია, „კლასიკურობის“ არა კონკრეტული მიმდინარეობის გაგებით, არამედ როგორც აკადემიური ხელოვნების ერთ-ერთი სფეროს კუთვნილებით). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად საკონცერტო აფიმა არ იყო გაჯერებული მსოფლიომი აღიარებული გარსკვლავებთ. მისი ხიბლი იმაში გახლდათ, რომ პროგრამას უფრო ახალგაზრდული იქრი დაპკრავდა – 17 წლის ჰიანისები ლეონარდო კოლაფელიჩე (იტალია), რომელმაც გახსნა „საახალცლო მუსიკალური შეხვედრები“, გიორგი კიგანაძის ტრიო (ჰამბურგი-თბილისი), თბილისის ჯაზ-ტრიო, ახალგაზრდა ორგანისტი გარი ეპრიკანი, სიმებიანი კვარტეტი „არპეჯიონე“ (საფორანგეთი-საქართველო) და მათთან ერთად ჩვენი დიდი ხნის მეგობარი, უდიდესი მუსიკოსი, ნატალია გუტმანი მევიოლინე ანა კანდინსკაიასთან და ჰიანისები ირინა კანდინსკაიასთან ერთად.


ნატალია გუტმანის წარმატებებსა და რეგალიებზე საუბარს ცალკე სტატია სჭირდება. ამიტომ ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს ჩვენი ეპოქის უდიდესი ხელოვანია. მისი პროგრამიდან (ჩაიკოვსკის პიესა „ფიქ-

რები“, ბრწყინვალედ შესრულებული გრიგის სონატა და ჰინდემიტის პიესები), მაინც მინდა გამოვყო ბახის სიუიტა სოლო ჩელოსათვის. და ეს იმიტომ, რომ საკმაო ხანია არ მომისმენია გუტმანი მარტო, თანმხლებთა გარეშე დარჩენილი დიდებულ საკრავთან. როდესაც მან დაიწყო თავისი ბახისუელი მონოლოგი, სრულიად გამოვერთე გარესამყაროს ეიფორიულ ფუსფუსს და მთლიანად ჩავერთე ამ „მარტოობის მშვენიერ დღე-სასწაულში“.

ნატალია გუტმანმა და კანდინსკებმა ამ კონცერტამდე კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას უდღვნეს თავიანთი ხელოვნება. მათ დაუკრეს ტიკიან და ნიტა ტაბიძების მემორიალური გამოფენის გახსნაზე. ეს არ იყო გასაკვრი — ტაბიძების ოჯახი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ხომ თავისებური ნავსაყუდელი და თავშესაფარი იყო რუს „დევნილ“ ხელოვანთათვის საერთოდ და არა მარტო პოეტებისათვის. მაშინ ჩაისახა ქართულ-რუსული კულტურის ის ტრადიციული მეგობრობა, რომელსაც დღესაც აგრძელებს ტაბიძეების ოჯახი. ამ მოვლენასთან ერთგვარი თაღი შეკრა საახალცლო საღამოების ფინალურმა კონცერტმა, რომელიც გენიალური რუსი მუსიკოსის, ჰიანისტისა და პედაგოგის ჰენრიკ ნეიპერშის დაბადების 125 წლის-თავს მიეძღვნა. საგულისხმოა, რომ ჰედაგოგიური მოღვაწეობა ნეიპაუზმა 1916 წელს დაიწყო თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც 1917 წელს კონსერვატორიად გარდაიქმნა. თბილისში გატარებულმა ორმა წელმა ღრმა კვალი დამჩნია ნეიპაუზის სულ,

რაც იმ მეგობრობაში გამოიხადა, რომელიც არ გაწყვეტილა ათწლეულების მანძილზე. მის უახლოეს მეგობრებს შორის, ტაბიძეების ოჯახთან და კონსერვატორიის პედაგოგებთან ერთად, იყვნენ პიანისტი ანასტასია ვირსალაძე, მხატვარები ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი და სხვ. ნეიპაუზის რჩეულ შემსრულებლებს შორის იყო ელისო ვირსალაძე, რომელიც გარკვეულწლად მის მოსწავლედაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნეიპაუზის კონცერტები თუ ღია გაკვეთილები თბილისში არ იყო მხოლოდ საგასტროლო ვიზიტი, მათ უფრო „მეგობრული შეხვედრები“ შეიძლება ვუწოდოთ. ამიტომაც წერს ჰენრი ნეიპაუზი – უმცროსი (შვილიშვილი): „უკანაურია – ჩვენ ყველანი როგორლაც შევიძლეთ საქართველოზე... ჩემი და მარინა პირველად ამირ კაგაბაძეს გაჰყვაც ცოლად (დიდი ქართველი მხატვრის დავით კაგაბაძის ვაჟს, რომელიც თვითონაც ძალზე ნიჭიერია). მეორედაც ქართველზე გათხოვდა – თამაზ აგლაძეზე... მყავს ქართველი დისტვილები... მარინა თბილისში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს ალექსანდრ ნეველის ეკლესის გვერდით... ცხადია, დარბაზში ნეიპაუზის ქართველი მეტვიდრები საპატიოდ იყვნენ წარმოდგენილნი. ყოველივე ამან განსაკუთრებული სითბო შესძინა ჰენრი ნეიპაუზის ხსოვნის სალამოს. კიდევთირმა გააცოცხლა ამ ლეგენდარული მუსიკოსისა და პიროვნების პორტრეტი, რაც უფროსი თაობის თბილისელთათვის გარდასულ დღეთა სიამესთან ზიარება იყო, ხოლო ახალგაზრდებისათვის ნამდვილი აღმოჩენა და ღრმა მუსიკასთან შეხება. მუსიკალური ენით აზროვნება და არა შიშველი ტექნიკური „პროგრესი“ ან ვირტუოზულობის აპოგეა – აი, რა გამოარჩევდა ნეიპაუზის სკოლას ყოველთვის, რაც გამოავლინეს კიდეც იმ სალამოს მისმა მოსწავლეებმა, დღეს შოთლიოში წარმატებულმა პიანისტებმა: ბორის პეტრუშანსკიმ, ალექსე ლიუბიმოვმა, ელენა რიხტერმა და ნეიპაუზების პიანისტთა დანასტის მეუთე თაობის ახალგაზრდა წარმომადგენელმა – ადი ნეიპაუზმა. მთელი კონცერტის მანძილზე მათ შესრულებაში ისმოდა ნეიპაუზისეული ბერეა – კეთილშობილი, ფაქტი, ღრმა და შთამბეჭდავი.

მაგრამ წინასაახალწლო მუსიკალურ ფორუმს სევდიანი ფურცლებიც დაერთო. მოულოდნელად გარ-



ვანერის ხეივაჟი

დაიცვალა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის დირექტორი და ორკესტრის წევრი ტარიელ ყვავაძე. სწორედ იმ სალამოს ორკესტრს, ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით, თანხლება უნდა გაეწია ქართველი მომღერლებისათვის. ცნობა შემჩარავი აღმოჩნდა... კონცერტი არ შედგა...

გემოთ მოგახსენეთ, სალამოებს გამორჩეულად ახალგაზრდული ელფერი დაპკრავდა-მეთქი. სალამოების ციკლი ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებელმა იყალიელმა ლეონარდო კოლაფელიჩემ გახსნა. ორგანიზატორთა არჩევანი არ იყო შემთხვევითი. 2013 წელს პიანისტმა სამ უძლიერეს კონკურსში გამარჯვებულმა არიზონაში პრემია ჩვენი ეპოქის უდიდესი პიანისტის მარტა არგერიხის ხელიდან მიიღო. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდიდა Yamaha USASU კონკურსში გამარჯვებულს. სალამოს პროგრამა მრავალფეროვანი იყო შინაარსობრივადაც და ეპოქალურადაც – ბეთჰოვენის სონატა, შოპენის სკერცო და პოლონეზი, მენდელსონის სერიოზული ვარიაციები, ალბენისის „ტრიანა“ ციკლიდან „იბერია“ და სამი ფრაგმენტი სტრავინსკის „პეტრუშკადან“. ამგვარი პროგრამის სრულყოფილად შესრულებისას პიანისტს სჭირდება როგორც უზადო ტექნიკური მზადყოფნა, ისე ეპოქის სუნთქვის აღქმაც და ფორმის ზუსტად გააზრებაც. კოლაფელიჩემ ეს ყო-

## საკონცერტო ცხოვრება



ნათალია გეგმანი

4

ველივე ოსტატურად, გამოკვეთილი ინდივიდუალობით წარმოაჩინა. ერთმანეთს ენაცვლებოდა დაზვენილი პოეტურობა, გააჩრებული ფრაზირება, დრამატიზმი და იუმორი. ჰარმონიული „ბლოკების“ მსუე უღერადობა მომხიბვლელ ფერთა პალიტრას ქმნიდა და განსხვავებულ აკუსტიკურ არეალს წარმოშობდა შოპენის კომპოზიციებსა და ალბენისის „იბერიაში“, კონტრასტებით აღსავსე სტრავინსკის „პეტრუშკაში“. მაგრამ არაერთგვაროვნად შეაფასა მსმენელმა ბეთოვენის მი ბემოლ მაჟორული სონატა „Les Adieux“. მავანმა მიიჩნია, რომ

შესრულებას ბეთოვენისუელი სიღრმე აკლდა. მე კი სხვაგვარი ღირსება ვიგრძენი – ეს იყო ახალგაზრდა ადამიანის გულწრფელი ინდივიდუალური გააზრება, რომელიც თავისუფალი იყო უდიდეს პიანისტთა ჩანაწერების კოპირებისაგან.

კიდევ უფრო ძლიერი ახალგაზრდული სული შემოიუანა ჯაზის საღამომ, რომელშიც ორი კოლექტივი მონაწილეობდა. თბილისელთა ჯაზ-ტრიო წარსდგა პაპუნა შარიქაძის (ფ-ნო), გიორგი სამსონაძის (კონ-რაბასი) და ირაკლი გოგოლაძის (დასარტყმულები) შემადგენლობით. რატომღაც საკონცერტო ბუკლეტი, რომელიც ყველა კონცერტის შემსრულებელს ვაკცინობდა, არაფერი იყო წათქამი მათზე. არადა, ძალგედ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მუსიკის ეს უანრი ინტენსიურად ვითარდება და უკვე საგულისხმო შედევებიც ვაჟეს – ქართველი ჯაზმენები გავიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და დიდ წარმატებებს მიაღწიეს ამერიკაში, ჯაზის საქმობლოში. წარმატებული იყო ფართო საზოგადოებისათვის ამ, ჯერ უცნობი, ტრიოს გამოსვლაც. ტრიოს ცენტრი ამ შემთხვევაში იყო ახალგაზრდა დამწყები პიანისტი და კომპოზიციების ავტორი პაპუნა შარიქაძე, რომელიც ჯაზის ოსტატობას ეუფლება ზურაბ რამიშვილთან, რომლის მონაფეთა შორის არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი. ბაფონი ზურაბი არანაკლებ წარმატებას უწინასწარმეტყველებს პაპუნას. ის სულ ორიოდ წელია, რაც მუსიკს პროფესიულად ეუფლება და მის მიღწევებს მიიჩნევს ამის წინაპირობად. პაპუნამ მართლაც საინტერესო კომპოზიციები წარმოადგინა და საკმაოდ მაღალ დონეზე შეასრულა. საფორტეპიანო-საშემსრულებლო პრობლემების დაძლევისა და სრულყოფის მიზნით იგი აკადემიურ საფორტეპიანო კურსსაც გადის თბილისის „ნიჭიერთა ათწლეულში“ ნელი კურცხალის კლასში. ჯაზისა და აკადემიური პიანიზმის პრინციპების სინთეზი მას საშუალებას აძლევს სიღრმისუელად გაიაზროს კომპოზიციები პრობლემები. ეს კონცერტი პაპუნას საჯარო წარმატების საკმაოდ შთამბეჭდავი და წარმატებული სტარტი იყო, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვით უკვე გამოცდილ მუსიკოსებს გიორგი სამსონაძესა და ირაკლი გოგოლაძეს. ჩემი აზრით, ტრიოს აკუსტიკური



ივაბელ ფლორი, ნიკოლა რისლიძე, არჩილ ხარაძე, ალექსანდრე ჩიავაძე, მიხეილ რძიშვილი

ბალანსის დახვენა სჭირდება. ნათელია, რომ ირაკლი შესანიშნავი დრამერია, მაგრამ ელექტრონიკა არ იყო სათანადოდ დაბალანსებული და ამიტომ ხშირად ანსამბლში დრამის ხმოვანი დინამიკა ფარავდა ფორეკსიანსა და კონტრაბასის უფრო მნიშვნელოვან იმპროვიზაციულ სვლებს.

მეორე განყოფილება გიორგი კიკნაძის ტრიოს და-ეთმო. გიორგი ჰამბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებულია, ბრწყინვალედ უკრავს კონტრაბასტე და სისტემატურად მონაწილეობს სხვადასხვა პროექტებში მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან ერთად. ამჯერად მისი პარტნიორები იყვნენ შესანიშნავი პიანისტი რაინერ ბოემი, უკვე აღიარებული ოსტატი, მრავალი პრესტიული პრემიის მფლობელი, რომლის ხელოვნება ჩამოყალიბდა მანქანის, კიოლნისა და ნიუ იორკის კონსერვატორიებში უდიდესი მუსიკოსების ხელმძღვანელობით და კონრად ულრიხი (პერკუსია), ჰამბურ-

გის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, რომელიც წარმატებით გამოდის როგორც ბიგ ბენდთან, ასევე სიმფონიურ ორკესტრთან. მათი „მერძნობიარე, მრავალფეროვანი და დინამიკური დაკვრის“ მომსწრენი გავხდით ჩვენც იმ სალამოს.

გიორგის კომპოზიციები პირველად რამდენიმე წლის წინ მოვისმინე, როდესაც მამასთან, ღრმა, მუსიკალური ინტელექტური გამორჩეულ მუსიკოსთან, რევაზ კიკნაძესთან ერთად უკრავდა. მაშინ გიორგი მართლაც „დაწყები“ მუსიკოსი იყო. შემდგომაც ხშირად უკრავდა თბილისში სხვადასხვა კლუბებში. ამჯერად კი უკვე ოსტატი-ბანისტი საკუთარი კომპოზიციებით, შეიძლება ითქვას, პირველად წარსდგა ქართველი ფართო მსენელის წინაშე და სრულად დაიპყრო აუდიტორია. მის კომპოზიციებში იმდენად ორგანულად გაჯერდა ქართული ინტონაცია და რიტმები ჯაზის საერთო ქსოვილში, რომ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, ხელოვნებაში



გიორგი კიანაძე

ეროვნული ბარიერი არ არსებობს. აქ მთავარია ოსტატობა, გემოვნება და ვიწრო-ეთნიკურობიდან ზოგადობისკენ სწრაფვა, ეროვნული „ბილიკების“ ფართო „ტრასასთან“ გამთლიანება და ბეეროვნულამდე ამაღლება. ამ თვალსაზრისით საღამო არა მარტო გიორგის, არამედ მთელი მისი ტრიოს ტრიუმფად იქცა. სწორედ ამ ბრწყინვალე გერმანელი მუსიკოსების მიერ ქართულ მუსიკალურ ეთნოსში შეღწევის შესაძლებლობა და ლოგიკური გამარჯება იყო აღიარება ზემოთქმულისა და რეალური საფუძველი იმ აღტაცებისა, რომელიც ტრიოს გამოსვლას მოჰყვა.

საერთაშორისო კლასის ახალგაზრდა პიანისტი და ორგანისტი გარი ეპიკიანი თბილისში დაიბადა და აქვე მიიღო დაწყებითი მუსიკალური განათლება. 11 წლისა მოსკოვში გადავიდა და დღესაც იქ მოღვაწეობს. ამჯერად ივი საორგანო მუსიკის პროგრამით ენვია თბილის. მის პროგრამაში ბაროკოს ეპოქის მუსიკის გვერდით (ბუქსტეუდე, ბახი) ორგანზე გაუდერდა რომანტიკის მენედელსონის სონატა და თანამედროვე საორგანო მუსიკა (კუშნარიოვი, სტროგანოვი, აიგბი).

როდესაც ბუკლეტში წავიკითხე ფრანგულ სიმებიან კვარტეტს „არპევიონეს“ არსებობის 25 წელი შეუსრულდა, გაოცება ვერ დავმალე... ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ქართველი ყმანვილები – ალტისტი არჩილ ხარაძე და ჩელისტი ალექსანდრე ჩიჯავაძე სულ ახლახან წავიდნენ უკხოეთში. ამ ფრაგამ კი რეალობა-

ში დამაბრუნა – თურმე ეს „ყმანვილები“ აგურ უკვე 25 წელია ამ ანსამბლში უკრავენ მევიოლინებთან ჩბაბელ ფლორთან და ნიკოლა რისლინთან ერთად. ამდენად, ბუნებრივია ის ცხოველი ინტერესი, რომელიც დამებადა მათი კონცერტის მიმართ. ამას ისიც ემატებოდა, რომ მათ მიკა (მიხეილ) ოძელის კვარტეტი უნდა შეესრულებინათ. მე კი მიკას არც ერთი ახალი ნაწარმოები დაახლოებით ამდენივე ხანი არ მქონდა მოსმენილი, არადა, შარშან ეს ნაწარმოები საქართველოს კულტურის სამინისტროს ყოველწლიური პრემიით დაჯილდოვდა. ერთი სიცყვით, ინტერესი გაათკეცებული მქონდა... დაინტერეს ბეთჰოვენით და დაამთავრეს დებიუსის კვარტეტებით. გარდამავალი მათ შორის მიკა ოძელის კვარტეტი იყო. მიკა ოძელი გასული საუკუნის ქართველ 70-იანელთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც ცდილობდნენ იმდროინდელი თანამედროვე მუსიკალურ-სააზროვნო სისტემებისა და ტექნოლოგიების ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობას და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ. ამ კუთხით მიიქციეს ყურადღება მიკა ოძელის პირველივე ნაწარმოებებმა. ეს კვარტეტიც იძავე ხაზის გაგრძელებაა. მისი მუსიკა ნათელია, გულწრფელი. ვფიქრობ, სწორედ ამ თვისებით გაუძლო მისმა კომპოზიციამ იმ დიდ გამოწვევას – გაუდერებულიყო გენიალური ნაწარმოებების გვერდით. სასიამოვნო საღამო გამოვიდა. ვისმენდით ტიპიურ ფრანგულ ანსამბლს, მშვიდს, ელეგანტურს, კარგად შემლერებულს და აბრით გაჯერებულს, რომელიც გრძნობდა ბეთჰოვენის მუსიკის შინაგან დრამატულ მუხტს, დებიუსის გამჭვირვალე ფერადოვნებას და იმ მუსიკის ორიგინალობას, რომელმაც გადააწყვეტინა ფრანგული ანსამბლის წევრებს მიკა ოძელის კვარტეტი წარედგინა ქართველი მსმენელისათვის.



პარტსაც „იპერი“: ირაკლი ჯაფარიძე, თამარ ბულია, გორგი ჯორჯაძე, გორგი ხანდავა

## ოთხი პრემირებული პრარტსი

შარშან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო სიმებიანი კვარტეტისა და სტუდენტური სამუსიკისმცოდნეული ნაშრომისათვის. 24 დეკემბერს სამინისტროში გამარჯვებულთა დაჯილდობის ცერემონიალი და კონცერტი გაიმართა, რომელზეც სწორედ პრემირებული ოთხი კვარტეტი შესრულდა.

საღამო გახსნა კულტურის მინისტრის მოადგილემ, ქალბატონმა მანანა ბერიკაშვილმა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული კულტურისთვის მეტად მნიშვნელოვანია კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა. კონკურსი, რო-

მელიც ჩვენ წელს ჩავატარეთ ცოტა განსხვავებული იყო, ვინაიდან ის კვარტეტისთვის სპეციალური რეპერტუარის შექმნას ითვალისწინებდა. თუ არ ვცდები, ცხრა ნაწარმოები შემოვიდა. და კიდევ ერთი კონკურსი გვქონდა – მუსიკალური კრიტიკის ხელშეწყობა. კულტურის სამინისტრომ წელს პირველად განახორციელა ეს საინტერესო პროექტი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა იყო მონაწილე – სულ სამი ადამიანი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ასეთი კონკურსების დახმარებით, ჩვენ ამ სფეროსაც მივხედავთ. ძალიან კომპეტენტური ჟური გვყავდა.



მანანა გერიკაშვილი, ლიკა კოალებიშვილი, ანა სიჩაუ

ბა მობრძანებისათვის. ვიდრე დავაჯილდოვებთ ჩვენს ლაურეატებს მოგახსენებთ უიურიზე, რომელმაც მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. სამუსიკისმცოდნეო დარგში უიურის წევრები იყვნენ: მანანა ახმეტელი, ნანა ქავთარაძე, ლალი გაბუნია, მზია ჯაფარიძე, ზურაბ ნადარეიშვილი. როგორც ქალბატონმა მანანამ მოგახსენათ, სამუსიკისმცოდნეო დარგში ეს პირველი კონკურსი იყო და ამიტომ ლოკიკურია, რომ სულ სამი ნაშრომი, სამი წერილი შემოვიდა. მხოლოდ ერთმა მათგანმა მიიღო შეფასება. I და II პრემია არ გაიცა, III პრემია დაიმსახურა მაია სიგუამ“.

**მაია სიგუა:** „დიდი მადლობა ყველას ვინც მონაწილეობდა ამ კონკურსის ორგანიზებაში. ეს კონკურსი მართლა ძალიან მნიშვნელოვანია. სამართლიანად აღინიშნა, რომ მონაწილეთა მცირე რაოდენობა სწორედ კონკურსის პირველად ჩატარებამ განაპირობა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონკურსი გაგრძელდება და მომავალში უფრო მეტი მონაწილე იქნება, შესაბამისად, უფრო ბევრი კარგი ნაშრომი დაიწერება და წინ წამოიწევს ეს სფერო, რომელიც ნამდვილად საჭიროებს განვითარებას. დიდი მადლობა“.

**ლიკა კოპალეიშვილი:** „ახლა რაც შეხება კონკურსს საკომიტიტოორო დარგში. უურიში მონაწილეობდნენ: რამაზ ქარუხნიშვილი (ან გარდაცვლილი), რუსუდან წურწუმია, მაკა ვირსალაძე, თამარ ლიჩელი, კონსტანტინე ვარდელი, ირაკლი ცინცაძე. შეიძლება გაგიკვირდათ რა შეუძინა თამარ ლიჩელი... მაგრამ საქმე ისაა, რომ კონკურსი გამოცხადებული იყო აგრეთვე საფორტუპიანო ანსამბლზე. სამწუხაროდ, შემოვიდა ერთადერთი ტრიო და ისიც ვერ გავიდა. ამიტომ იყო უიურიში პანისტი. ახლა რაც შეხება ლაურეატებს: III პრემია გაიყვეს ბატონებმა – ოთარ ტატიშვილმა და ალექსანდრე მწარიაშვილმა, II პრემია – მიხეილ ოქლი, I პრემია – ზურაბ ნადარეიშვილი“.

**ოთარ ტატიშვილი:** „დიდი მადლობა. მოხარული ვარ, რომ ჩემი ნაწარმოები გავიდა და საშუალება მომეცა ის თქვენთვის მომესმენინებინა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კვარტეტის არაჩვეულებრივ მუსიკოსებს, ასეთი კონკურსები რაც უფრო ხშირად ჩატარდება, ჩვენთვის უფრო დიდი სტიმული იქნება. ერთადერთს ვისურვებდი, რომ ჩვენი მსმენელი მეტად და-



ოთარ ტატიშვილი

მინდა ვითხრათ, რომ ამ თემაზე აქტიურად მუშაობდა ქალბატონი ლიკა კოპალეიშვილი. საერთოდ, ჩვენ დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს დიდ მადლობას ვუხდი, იმიტომ, რომ თავდაუბოგავად და გულისხმიურად შრომობდნენ და რაც მთავარია – გემოვნებით. ახლა სიტყვას გადავცემ ქალბატონ ლიკა კოპალეიშვილს“.

**ლიკა კოპალეიშვილი:** „გამარჯობა, დიდი მადლო-

ინტერვიუს იმით, რაც ხდება კლასიკურ მუსიკაში. ამ მხრივ ეს კონკურსი კარგი წამოწყებაა და მომავალში აუცილებლად უნდა განვითარდეს“.

**ლიკა კობალეშვილი:** „ერთია კონკურსის გამოცხადება და მეორე, თუ არის იმის საშუალება, რომ გამარჯვებული ნაწარმოებები შეასრულოს პროფესიულმა კოლექტივმა, ჩვენ გაგვიმართდა და კვარტეტი – გიორგი ხაინდრავას, თამარ ბულიას, ირაკლი ჯაფარიძის და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით, სიამოვნებით დათანხმდა კულტურის სამინისტროს თხოვნას. მათი წყალობით შესრულდება ეს ნაწარმოებები.

რაც შეეხება კონკურსებს, იმედია, მომავალ წელსაც მუსიკის ბიუჯეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად დარჩება საკომპოზიტორო კონკურსები. იმიტომ, რომ ფაქტობრივად, კომპოზიტორებს სხვა არანაირი საშუალება, სხვა სტილული არ გააჩნიათ. კოლექტივები ნაკლებად ასრულებენ ქართველ კომპოზიტორებს და იქნება ამ კონკურსებმა რაღაცანირად გამოაკოლონ და დააინტერესონ ჩვენი კომპოზიტორები, რომ შეიქმნას ახალ-ახალი ნაწარმოებები.

ქალბატონო მანანა, ასე მცონია, კამერული ნაწარმოები უფრო ამართლებს იმ მხრივ, რომ მამინვე შევვიძლია შევასრულოთ, ისე, როგორც წელს მოხდა. მომავალ წელს შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი (ასე ვფიქრობ) ვირტუოზულ საფორტეპიანო პიესაზე და რომანსზე. აქედანვე მინდა გითხრათ ეს, რომ კომპოზიტორებს მეტი საშუალება და დრო ჰქონდეთ სამუშაოდ“.

ასეთი იყო ვერბალური და საზეიმო ნაწილი კულტურის სამინისტროს პრემიების გადაცემისა. როგორც მოგახსენეთ, ამასთან ერთად გაიმართა კონცერტი. სიმებიანმა კვარტეტმა – გიორგი ხაინდრავას, თამარ ბულიას, ირაკლი ჯაფარიძის და გიორგი ჯორჯაძის შემადგენლობით, შეასრულა გამარჯვებული კვარტეტები. ჩვენ ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ კომპოზიტორებს.

**III პრემია – ოთარ ტატიშვილის | სიმებიანი კვარტეტი** – „ნაწარმოები ერთნაწილიანია, თუმცა კლასიკური სონატური ფორმის ასოციაციები ჩნდება. როგორც კომპოზიტორი ამბობს „ეს განაპირობა ნაწარმოების მონოთემატური განვითარების პრინციპმა და იდეის, თემატური მასალის ერთ სუნთქვაზე შესრულე-



გურაგ ნაიარებიშვილი



მახაილ ოძელი

ბისკენ სწრაფვამ. იმპულსური ხასიათის თემა ნაწარმოების განვითარების მანძილზე მყარ ფორმას იძენს, მკვიდრდება. მას ენაცვლებან მცირე თუ მობრდილი ინტერმედიები. მუდმივი ძიება ხან მშვიდ, ხან მოუსვენარ გარემოში რეპრიჩამდე მიდის. ეს განვლილისკენ, საწყისისკენ დაბრუნებაა. შესაძლოა ქვეცნობიერი იდეა მიანიშნებს მუდმივ დიალექტიკურ, ციკლურ დროში დინამიკურ და მოძრავ ბუნებაზე, ნოსტალგიაზე. ხშირად ხომ ვუბრუნდებით მას, რასაც ადრე გავურბოდით.



ალექსანდრე მარიაშვილი

თუმცა ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ სამუდამოდ გვინდა იქ ვნახოთ ნაესაყუდელი, დაგვათ წერტილი. შესაძლოა ეს ფარული რომანტიზმის დაუღვებელი აჩრდილია, რომელიც ვერ ისვენებს ერთ სივრცეში და სულ სიახლის, ახალი შთაბეჭდილებების მოლოდინშია. არ ვცდილობ ახალი ტექნიკური და კონსტრუქციული ტექნიკური საშუალებების მიზნობრივ გამოყენებას, თუ ამას მუსიკა არ მოითხოვს და ამის საჭიროება არ არის. ამით მსურს ხელოვნურობის საშიშროების აცილება“.

III პრემია – ალექსანდრე მარიაშვილის | სიმებიანი კვარტეტი. ამ უანრში ნაწარმოების შექმნის სურვილი

დიდი სანია ჰქონდა კომპოზიტორს, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო არ იწყებდა მუშაობას. „2008 წელს ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ფონზე დაეწერე პიესა, როგორც მომხდარის მუსიკალური გააზრება. შემდეგ ეს პიესა კვარტეტის მეორე ნაწილად იქცა. სწორედ აქ აედერდნენ განცდები ტრილის, სამგლოვიარო მარშის და სევდიანი მოვონებების სახით, რომლის გადმოცემის უნარი აქვს მხოლოდ სიმებიან საკრავებს, ისეთ კამერულ-ინტიმურ შემადგენლობაში, როგორიც არის კვარტეტი.“ ცოტა მოგვიანებით ამავე უანრში კომპოზიტორმა შექმნა ახალი პიესა, რომელიც მომავალი კვარტეტის მესამე ნაწილი გახდა. „აქვაც აუდიო აღწერაა იმ პერიოდის ჩემი სულიერი მდგომარეობის. ესაა დაბნეულობა, მონოტონურობა და საკუთარი თავის ძეგბა შექმნილ გარემოში“. რაც შეეხება | ნაწილს, ის მას შემდეგ დაიწერა, რაც კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი. „დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა ჩვეულ კანონიკურ სონატურ ფორმაზე. ის ეფუძნება თემებს, რომლებიც მანამდე არ იყო რეალიზებული. ასე შექმნა საეფაპო ნაწარმოები ჩემს შემოქმედებაში, რომელიც ამავე დროს ძალიან პირადულია“.

II პრემია – მიხეილ ოძელის III სიმებიანი კვარტეტი „გამოგონება“. „ნაწარმოები ცნობილ ქართველ კომპოზიტორს დავით თორაძეს ეძღვნება. და არამარტო მას, საერთოდ იმ პერიოდს. ციტატებიც მაქვს გამოყენებული კვარტეტში, ჰარმონიულიც არ შევცვალე, აკორდები შევიტანე სპეციალურად, რომ შემენარჩუნებინა რაღაც იერი და არომატი, იმ პერიოდის მუსიკალური ესთეტიკას თან ამ გადასახედიდან, დღევანდელი გადასახედიდან დანახული ის დრო“.

კვარტეტი ერთნაწილიანია. მუსიკალურ მასალად, თემად აღებულია დავით თორაძის რომანსი კინოფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“. „ჩემთვის დიდი ჯილდო იყო, როდესაც კულტურის სამინისტროში ეს ნაწარმოები შესრულდა, ვიღაც პატარა გოგონა მოვიდა, იქნებოდა IX – X კლასში. მითხრა – რაღაც ნაცნობი, სასიამოვნოა და რა ხდება ვერ გავარკვიე, ძალიან გთხოვთ ამიხსენითო. ამოიკნო, მაგრამ ვერ მიხვდა, იმიტომ, რომ მე პირდაპირი ციტირება არ მაქვს და არც არის საჭირო, ეს ცუკლაფერი შენილბულია როდე-

საც ავუსტრია, ამოისუნთქა – აგაშენათ ღმერთიმა, ახლა ყველაფერი ნათელიაო. ეს ბავშვი ასოციაციურად მიხვდა იმას, რაც მე შევთავაზე“.

I პრემია – ბურაბ ნადარეშვილის სიმებიანი კვარცეფი. კომპოზიტორი ცდილობდა მეტნაკლებად გამოეყენებინა კლასიკური ფორმები, როგორც მთლიანად კვარცეფის გააზრებისას, ისე ცალკეული ნაწილების-თვის. „რაც განპირობებული იყო იმით, რომ ინტონაციები კლასიკურ-რომანტიკული ტიპისაა (ძირითადად ჩემი ოპერიდან)“. კვარცეფი ოთხნაწილიანია. I სონატურ ფორმასთან მიახლოებული. ამ ნაწილის, როგორც ფონალურ, ისე აფონალურ ინტონაციებზე აგებული თემები ტრანსფორმირებული სახით სხვა ნაწილებშიც გვხვდება. II ნაწილი სკერცოდ აქვს კომპოზიტორს ჩაფიქრებული. „მისი თემატური მასალა აგებულია ბაროკოს ტიპის ინტონაციებზე, რომლებიც პოლიფონიურად მუშავდებიან და კულმინაციაში მკვეთრ დისონანსამდე მიდიან, დასასრულისკენ კი რიტმულ ნახაბად გარდაიქმნებიან და ნელ-ნელა ქრებიან.“. ეს ნაწილი თავისებური იუმორესკაა. III ნაწილი, „აქაა ნელი, მედიტაციური მოძრაობა, მოდალური ბერნებით“. აჩქარება ორ აღმავალ ტალღას ქმნის, რომელთა კულმინაციებს განმუხტვა მოსდევს. IV ნაწილი ესაა „რაღაც შუალედური მედიტაციასა და ცეკვას შორის (მედიტაციური ცეკვა). ინტონაციები აგებულია მთის კილოებზე, როგორც ქართულ ისე ბოგადკავკასიურზე. ეს შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ერთგვარი დაბრუნება „ფესვებთან“, ანუ იქ, სადაც ძალიან მცირედ, მაგრამ ჯერ კიდევ შემორჩენილია „სინმინდე“.

ასეთი გახლავთ კულტურის სამინისტროს მიერ პრემირებული ოთხი ნაწარმოები, რომელთა შესახებაც თავად კომპოზიტორები გვესაუბრნენ. რაც შეეხება ბოგად განწყობას, შთაბეჭდილებას, რომელიც იმ საღამოშ დაგვიტოვა, ის ნამდვილად დადებითია, რადგან მეტნაკლებად, მაგრამ, უდაოდ, საინტერესო ნაწარმოებები შეემატა ქართულ მუსიკას, რომლებიც, იმედი ვიქონიოთ, დამკვიდრდება რეპერტუარში.

კულოცავთ ლაურეატებს, წარმატებებს ვუსურვებთ და ველით ახალი კონკურსის ახალ გამარჯვებულებს.

## სიყვარული - მუსიკისა და ტერენცისადმი

შიო აგრახაძა

ბევრი ვიფიქრე, ამ წლის იუბილარ კომპოზიტორთაგან ვისთვის მიმედვნა წერილი... არჩევანი შეჩერდა ხელოვანზე, რომლის შესახებ არც ისე ბევრი დაწერილა. ეს აკაკი ანდრიაშვილია – ქართველ კომპოზიტორთა მეორე თაობის წარმომადგენელი, საბჭოთა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

2014 წელს კომპოზიტორს 110 წელი უსრულდება. მან არცთუ მწირი მუსიკალური მემკვიდრეობა დატოვა, თუმცა მისი ფართო მოღვაწეობა ხელოვნების სფეროში უდავოდ აღნიშვნისა და გახსენების ღირსია.

აკაკი ანდრიაშვილი 1904 წელს ყვარლის რაიონში დაიბადა. ადრევე დაობლებულმა ახალგაზრდობის მძიმე გზა გაიარა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ამხანაგების ხელშეწყობით გადაწყვიტა დედაქალაქში გაეგრძელებინა სწავლა. 1924 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო უნივერსიტეტი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. დედაქალაქში მუსიკით გატაცებულმა უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად სახელმწიფო კონსერვატორის კომპოზიციის ფაკულტეტზე ჩააბარა. ამ დროიდან უარი თქვა მეგობრების შენუხებაზე, მათგან დახმარების მიღებაზე და დაიწყო საკუთარი შრომით ცხოვრება. მან ძალზე რთული სტუდენტობის პერიოდი გაიარა: თავდაპირველად მუშაობდა ხედა-

დღვის ტყეში მიწის მთხრელად; ორ წელიწადში კი მძიმე ფიზიკური სამუშაოდან, განსახვომის სასადილოში გადავიდა სამზარეულოს მუშად. ამის მიუხედავად მას არ გასჭირვებია კონსერვატორიაში, როგორც ბეჭით სტუდენტს თავი ესახელებინა – დირექტორის გადაწყვეტილებით დაენიშნა ბაქარია ფალიაშვილის სახელობის სტიპენდია. რადგან არსებული სტიპენდია მას დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალებას აძლევდა, გადაწყვიტა სამსახურისთვის თავის დაწებება. დამატებით შემოსავალს კი, ამჯერად, ჰარმონიაში კერძო გაკვეთილების ჩატარებით შოულობდა.


ასპირანტურის დამთავრებისთანავე მას სამსახური შესთავაზეს კონსერვატორიში კომპოზიციის პედაგოგად. სხვადასხვა წლებში განსახვომის გადაწყვეტილებით პედაგოგიურ მოღვაწეობას სენაკის მუსიკალურ სკოლასა და ქუთაისის, სიღნალის სამუსიკო სასწავლებელში ეწეოდა.

აკაკი ბუნებით თავისუფალი ადმინი იყო. მუსიკის გარდა აღმერთებდა ფილოსოფიას, თეატრსა და პოეზიას. აქტიურად თანამშრომლობდა მარჯანიშვილისა და მობარდმაყურებელთა თეატრებთან. პოეზიისა და თავისუფლების სიყვარულმა კი უმტკიცესად დააკავშირა დიდ ქალაქში მასავით უთვისტომოდ დარჩენილ

ტერენტი გრანჯლს. ტერენტისთან ურთიერთობის პერიოდი კომპოზიტორის ავტობიოგრაფიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ტკბილად მოსაგონარია. ორი მოხეციალე ხელოვანი მთელ დღეებს ერთად ატარებდა თბილისის სასაფლაოებზე, პარკებში, მტკვრის სანაპიროზე, სადაც კომპოზიტორის თანდასწრებით სპონტანურად იქმნებოდა სულში ჩამწვდომი მაღალი პოეზია. არასდროს დარღვეულა მათი ტრადიცია — კვირაობით ერთად ევლოთ კათოლიკურ ტაძარში ბაქარია ფალიაშვილის ორგანზე შესრულების მოსასმენად. უყვარდათ ხეციალი, საუბარი მუსიკასა და პოეზიაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე. უდიდესი სიხარულით იხსენებს კომპოზიტორი ტერენტის მეშვეობით გალაკტიონთან და ესუნინთან ურთიერთობასაც. გალაკტიონი კომპოზიტორს, როგორც ტერენტის ერთადერთ მეგობარსა და მასზე გამორჩეულად მზრუნველს, უდიდეს პატივს სცემდა, ვინაიდან მხოლოდ მათ ესმოდათ ამოუკნობი ტერენტის აბრებისა. კომპოზიტორის მოგონებითი ესსე ტერენტის შესახებ ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაწერია, რომლის მეშვეობითაც საბოგადოება სიღრმისეულად გაეცნო მარტოსული პოეზის ბიოგრაფიის სხვისთვის უკნობ დეტალებს, თუ ბოგადად მის შინაგან სამყაროს... მძიმე აღმოჩნდა აკაკისთვის მეგობრის კოშმარული ჰალუცინაციები და საბოლოოდ მისი დაკარგვა...

ამ პერიოდიდან აკაკი ანდრიაშვილი აქტიურ საკომპოზიტო მოღვაწეობას იწყებს. მისი პირველი მნიშვნელოვანი ქმნილებებია | სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი (1933-34 წწ.). 1937 წელს კი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს უძღვნის II სიმფონიას. მას შემდეგ კი კომპოზიტორი ინტერესდება საოპერო უანრით. 1938 წლიდან 1946 წლის ჩათვლით შექმნა 9 ოპერა („კაკო ყაჩალი“, „უფსკრული“, „ნანა“, „ოთარაანთ ქვრივი“, „მეგობრობა“, „ზვავი“, „განდევილი“, საბავშვო — „ჩხიკვთა ქორნილი“, კომიკური — „ლაშეარა“), რომელთაგან ყველაზე დიდი აღიარება ავტორს „კაკო ყაჩალმა“ მოუტანა.

ოპერა „კაკო ყაჩალი“ შეიქმნა 1938 წელს ქართული ლიტერატურის ორი კლასიკური ნიმუშის — „კაკო ყაჩალისა“ და „გლახის ნამბობის“ მოტივებზე გ. იმედაშვილის ლიპრეცოს მიხედვით, რომლის პრემიერა 1940



აკაკი ანდრიაშვილი

წელს საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა (დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი, რეჟისორი — გიორგი უურული, მხატვარი ვალერიან სიდამონ-ერისთავი; კაკო ყაჩალი — დავით გამრეკელი). სპექტაკლებზე იმგვარი ხალხმრავლობა ყოფილა, რომ ცხენოსანი მილიციის ჩარევაც ხდებოდა საჭირო. მუსიკისმცოდნე ანტონ წულუკიძე წერს: „ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩალის“ ნარმოდგენები კარგა ხანს ანმღლავებით მიღიოდა. „კაკო ყაჩალი“ აშკარად გამოირჩეოდა იმდროინდელი ქართული ოპერებისაგან ხალასი გელწრფელობით, ბუნებრივი ვოკალური მღერადობით (რაც სხვა ოპერებს აკლდა), ცოცხალი ადამიანური სახეებით. მისი მუსიკალური ენა ქართლ-კახური გლეხებისური სიმღერის ჯანსაღ ნიადაგზე იყო აღმოცენებული და ბ. ფალიაშვილის ტრადიციებსაც ეხმაურებოდა“. ცხადია, ოპერას ჰქონდა ხარვეზებიც, რასაც აღნიშნავს კიდევ მკვლევარი, მაგრამ ფაქტია, რომ ოპერა ნარმატებით მიღიოდა თბილისის საოპერო ოეატრის სკენაზე.

გარდა ოპერებისა აკაკი ანდრიაშვილმა შექმნა ორი სიმებიანი კვარტეტი, რემდენიმე საფორტეპიანო პიესა, სიმფონიური პოემა „საბჭოთა ოსეთი“ (1942), კამერულ



აავით გამოხატული კაპო ყაჩალის ოფელი

-ინსტრუმენტული და კამერულ-ვოკალური ნაწარმოებები; ასევე შექმნილი აქვს ცალკეული საგუნდო ნაწარმოებები და საესტრადო სიმღერები.

კომპოზიტორის თანამშრომლობა თეატრებთან არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპექტაკლების მუსიკალური გაფორმებით. წლების მანძილზე მარჯანიშვილის თეატრში იყო მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი, ხოლო მობირდმაყურებელთა თეატრთან დაარსა სათეატრო ორკესტრი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა. მოღვაწეობდა ასევე, როგორც ფოლკლორისტ-ექსპედიტორი. ექსპედიტორით იმყოფებოდა სვანეთსა და ქარ-

თლში, სადაც ჩამარილი სიმღერებიდან თავად გამოსცა 150 ქართული ხალხური სიმღერა.

მის, ამ მეტად ფართო შემოქმედებითი მოღვაწეობის არეალში, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია ბაქარია ფალიაშვილის ოპერა „ლატავრას“ ახალი რედაქცია (სანდორ შანშიაშვილთან და ვახტანგ ფალიაშვილთან ერთად). გასულ საუკუნეში უკანასკნელად, 1950 წელს, სწორედ ამ რედაქციით მოისმინა ქართველმა მსმენელმა გ. ფალიაშვილის აღნიშნული ოპერა. მხოლოდ ნახევარსაუკუნოვანი „პაუზის“ შემდეგ, 2013 წლის აპრილში, კვლავ აყლერდა „ლატავრა“ ამავე რედაქციით (დირიჟორი ირაკლი ჩოლოვაშვილი).

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი ინახავს აკაკი ანდრიაშვილის მცირე პირად საარქივო ფონდს, სადაც განთავსებულია კომპოზიტორის ხელნაწერი წერილი — ოპერის თეატრის დირექტორისადმი. ძალზე საინტერესოდ და ორიგინალურად გადმოსცემს იგი საკუთარ მოსაზრებას ოპერა „ლატავრას“ მუსიკალურ მხარესთან და მის ლიბრეტოსთან დაკავშირებით, რომელსაც ბოლოს მის მიერ „გადახალისებულ“ სრულყოფილ ვარიანტს ადარებს. აღნიშნული წერილი პირველად ქვეყნდება, და ვთიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის:

„გ. ფალიაშვილის მესამე ოპერა „ლატავრას“ პირველი დადგმიდანვე ცხადი გახდა, რომ მას მრავალი სერიოზული დეფექტი აქვს, როგორც დრამატურგიულად, ისე მუსიკალურადაც.“

მთელი რიგი წლების განმავლობაში, დამდგმელები ცდილობდნენ გადაჯგუფებებით, შეკვეცებით და სხვა საშუალებებით დაემკვიდრებინათ ოპერა „ლატავრა“ რეპერტუარში, მაგრამ ამაოდ; ამ ოპერაციებმა უფრო მეტად აანიჭეს და დამალეს თავდაპირველი ვარიანტი. ოპერის მუსიკალურ მხარეს, გარდა სუსტი დრამატურგიისა, რაც უდავოდ უვარვისი ლიბრეტოდან გამომდინარებდა, სხვა ნაკლიკ ახლდა: ეს იყო ე.ნ. ქართული ორიენტალიზმის უცვად გამოყენება კომპოზიტორის მიერ (რისგანაც თითქმის სრულიად თავისუფალია „აბე-სალომ და ეთერი“).

გასული 1949 წლის დასაწყისში სახ. ოპერის სამხატვრო საბჭომ, იმ მიზნით, რომ ოპერა „ლატავრა“, გადაერჩინა სრული მიკიწყებისგან, მომანდო მე მისი

გადამუშავება. ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ ვმუშაობდი „ლატავრას“, მუსიკალური მასალის დახვეწამედ და ლიტერატურული სიუჟეტის გადამუშავებაზე ლიბრეტის ს.შანშიაშვილთან ერთად. ოქარის მიერ გამოყოფილ სადადგმო ჯგუფთან მუშაობის შედეგათ ამ უამად საბოლოვოდ შემუშავებულია ოპერა „ლატავრას“ ახალი, გადახალისებული ვარიანტი...

დღეს ოპერა „ლატავრა“, ნაცვლად ხუთი მოქმედებისა და ექვსი სურათისა, შეიცავს სამ მოქმედებას და ორ სურათს. ამის შედეგად ჩვენ მივიღეთ ისეთი ოპერა, რომელიც ჩრდილს არ მოჰქონდება. ფალიაშვილის მაღალ სახელს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ახლად დადგენილი კლავირის მხედვით, პარტიტურის წესრიგში მოყვანა იყვირთა დირიჟორმა ვახტანგ ფალიაშვილმა.

ამ რიგად მოგახსნებთ, რომ ამოცანა, გამომეუყანა ოპერა „ლატავრა“, „ქაოსიდან“, შესრულებულია. ა.ანდრიაშვილი. 10.01.1950“.

1941 წელს აკაკი ანდრიაშვილს საბჭოთა საქართველოს ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა საპატიო ორდენი და ხელოვნების დამსახურებული მოღვანის წოდება.

იგი 88 წლის ასაკში 1992 წელს გარდაიცვალა და მისი სურვილის თანახმად დაკრძალულია მმობლიურ ახალსოფელში.

ჩემს წერილს მინდა დავურთო ტერენტი გრანელის წერილები და ლექსი აკაკი ანდრიაშვილისადმი, რაც არა მხოლოდ ამ ორი პიროვნების ურთიერთობას წარმოაჩენს, არამედ თვით კომპოზიტორ აკაკი ანდრიაშვილის მდიდარ სულიერ სამყაროსაც.

ტერენტი გრანელის წერილები აკაკი ანდრიაშვილისადმი:

ძვირფასო მევობარო აკაკი!

11 აგვისტოს, სამ საათზე გავდივარ თბილისიდან. მატარებლიდან ვუმზერ თბილისს და მიხარია, რომ მივჰქრი უხილავ სივრცისაკენ. მატარებელი მიჰქრის და მარცხნივ ტრიალებს მინა. მივდივარ და მიმაქვს გული რუსეთისაკენ.



შერაცხი გრანელი

დღეა, ყარაიაბის ველზე დაფრინავენ მწვანე ფრინველები, რომელთანაც ვვრძნობ მევობრულს და სულიერ კავშირს. დღეა და ვიღაც თათრის ბავშვი მიერუკება კამებს. ვხედავ, გრძელი მინდვრებია ირველივ და ყველგან მინდა დავაბიჭო ფეხი. მატარებლიდან ვხედავ სოფლებს, ძალიან მომწნონა დაბალი და პრიმიტიული სახლები. მინდა აქეთ ვცხოვრობდე, სადმე მიყრუებულ ადგილას და მიყურებდნენ ისე, როვორც ჩვეულებრივ და უბრალო ადამიანს.

მატარებელი მიჰქრის და ღამდება, ახლო სადგურიდან კრთის ელექტრონის შუქი. მე ვუმზერ ვარსკვლა-

## თარიღი

ვებს; ვხედავ ლიანდაგის ახლო მდებარე სასაფლაოს, მარხია ვიღაც ადამიანები. დიღა არის, შევდივარ ბაქოში.

საშინელია ეს რუხი ქალაქი. შესვლისთანავე ჩემს ყურადღებას იპყრობს ცამდე ამართული საყდრები. სადღაც ძინავს იდუმალებას. არის კვირა დღე, შევდივარ საყდარში. თითქოს მეორეჯერ დავიბადე, როდესაც ვემზერ ჩემთვის სრულიად უცნობ მლოცველების სახეს. სწირავს ვიღაც ახალგაზრდა მდვდელი. ერთი მათგანი ძალიან ჰგავს ქართველს.

სრულიად უცნობი ხალხი დგას გარშემო და მიხარია. მესმის გალობა სხვანაირ და უცნობ ხმებისაგან შემდგარი. „აქ რა გინდა შენ“, მეუბნება ვიღაც ქუჩაში მჯდომარე კაცი. მე ყურადღებას არ ვაქცევ. გავიარე უცნობი ბალის კუთხეში. მესმის სხვა როიალის ხმა, ალბათ უკრავს ისეთი ქალი, რომელსაც ყავს მევობარი და ვიღაც საყვარელი ადამიანი. ვიგრძენი სხვა გარების აგონია.

ყველაფერი უცხოა ჩემთვის და ეს ქმნის სულ სხვანაირ განწყობილებას, რომლის ქაღალდზე გადატანა მნელია. ხვალ საღამოს მივემგზავრები მოსკოვს; მე არაფერს ვამბობ იმ ჩემი დიდი ვანძის შესახებ, რომელიც შენ გაბარია.

ამ წერილს გწერ ისეთ ოთახში, სადაც არასოდეს არ შევსულვარ.

ვნახე ბღვა, გემები დასკურავდნენ  
როვორც გედები, და ბღვა შორიდან  
შავად მოსჩანდა. ქარი აფრიალებდა აფრებს.

## ტერენტი გრანელი

ძვირფასო მეგობარო აკაკი!

შავი წამები მიჰქიან და მე ისევ ცოცხალი ვარ, ისევ ვოცნებობ და ისევ ვფიქრობ არყოფნაზე. დიდიხანია, რაც ჩვენ არ ვინახავს ერთმანეთი, მაინც ჩვენი გულები ახლოს არიან. ეხლა უფრო განვიცდი შენთან სიახლოვეს. შენ თითქოს შორს იმყოფები ჩემვან და ეს უფრო საშინელს ხდის ჩემს მარტობას, და მე ხომ ყოველთვის მარტობ შორეულ და მარადიულ, სამყაროსთან ახლობელ კავშირს:

მარტობა საყვარელია და თან საშინელი. ეხლა მინდა ჩემთან მოფრინდეს თეთრი ანგელობი და შენთან ვაკატინ წერილი.

მე მვონია ანგელობები დაფრინავენ როვორც მინაბე, ისე იმ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც ენოდება ზეცა. მე შეიძლება მალე მოვშორდე მინას და ნავიდე ზეცისაკენ, ეს იქნება გარდაცვალება. ხანდახან ხელებს გავიშვერ იმ მიმართულებით, საითკენაც მინდა გაფრენა, ძვირფასო! რა ვქნა, სად არის ის დიდი ნუგეში, რასაც ადამიანი ყოველთვის ეძებს. მე დავიღადლე გრძნობისაგან და ეხლა დროა გადავეშვა მარადისობის გარინდებულ უფსკრულში. მე ხომ არ შემიძლია ჩემი მწეხარე გულის დანახვა და ეს უფრო ამძაფრებს ჩემს ტრაგედიას.

ძვირფასო აკაკი! შენ თითქოს შორს ხარ და ამავე დროს ძლიერ ახლოს. ეს არის ის, რაც მევობრობას ყოველთვის თან სდევს. მე ვის მივმართო, რომელ ადამიანს, სად არის ჩემი ხსნა! სხვა ვინ არის, ისევ საკუთარ სულმი ვიხედები და ვერძნობ ბედნიერებას.

ვარ მე და არის ეს ძვირფასი ქვეყანა, ქვეყანა როვორც ბუნება და არა როვორც მექანიკა. მე ყოველთვის ვერძნობ შორეულ და მარადიულ, სამყაროსთან ახლობელ კავშირს.

აქ მოვიყვან ჩემი ლექსის ოთხ სტრიქონს:

„საიდან გაჩნდა ასეთი სევდა,  
როდის ელავდა ჩემ წინ სანთული.  
იდგა საღამო და მე მომსდევდა  
შავი ფიქრების კორიანტელი“.

ეს არის ჩემი ლექსის მეორე ტაები, დავწერე გუშინ-ნინ, როცა დაღლილი ვძრუნდებოდი ოთახში.

ეხლა გაქარია გარეთ ზის, მე ვარ მარტო ერთ ჰა-ტარა ოთახში და მესმის გიტარის ხმა, და მღერის ჩემი მებობელი ქალი; გიტარას აქვს თავისი მწეხარება და თავისი სევდიანი წარსული. გახსოვს ჩემი ლექსი:

„იყო შეცდომა და ვერ ვატყობდი,  
ძვირფასო! ბედმა რა მოვიტანა.  
სადღაც სოფელში წევს ავადმყოფი  
და ვიღაც ქალი უკრავს გიტარას“.

შეიძლება კიდევ დიდხანს ვერ ვნახოთ ჩვენ ერთმანეთი, ეს იმიტომ, რომ შენ არ ხარ მარტო. ორგვლივ გახვევია ხალხი, რომლის მე მეშჩინა ძლიერ. ალბათ შენ ეხლა გარინდებული ზიხარ ოთახში და უკრავ როიადს. ალბათ კლავიშები შენი სამარეა. გადავიდეთ.

ასეთი ამბავი: სალამოა, ვარ ალექსანდროვის ბალში, მოდის საშინელი წვიმა, გარბიან და ეძებენ თავშესაფარს. ამავე დროს ვხვდები ყოველთვის საყვარელ ადამიანს ირაკლი ტატიშვილს. ვესალმებით ერთმანეთს. ვამიხარდა ფოტოგრაფს აპარატი რომ დაუსველდა, მეუბნება ირაკლი. მე ვვრძნობდი ამ სიხარულს, მხოლოდ არ მითქვაძე. ვისაუბრეთ დიდხანს, გვქონდა შენზე ლაპარაკი. შეძლევ დავშორდით ერთმანეთს, ის განმარტოებით წავიდა ოთახისაკენ.

მე ეხლავ მახსოვს ის წვიმიანი სალამო, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება...

მშვიდობით, მარადის შენი<sup>1</sup>  
ტერენტი გრანელი.

აკაკის

მუსიკის ცეცხლი გეცემა გულმა,  
უკრავ ბეთხოვენს შენ, ასე ქებულს.  
მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ  
შენ სულს – ტანჯვისგან გასპეტაკებულს.

კითხულობ ნიცშეს, სისხლით დაფერილს,  
თეთრი ფიქრებით დაფრინავ იქაც.  
შენ მიატოვე სხვა ყველაფერი  
და შენ მიყვები მუსიკის გრიგალს.

P.S. აკაკი ანდრიაშვილის პირადი არქივი დავამუშავეთ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ მუზეუმის დირექტორს ბ-ნ ვიორგი კალანდიას.



თავარ ვაჟაპირა, ნინო ესპერი, რუსულან ბორისი, გიორგი  
ვავერგაშვილი

ორგანიზატორები იყვნენ: მანანა კიკაძიძე — სასწავლებლის დირექტორი; ქეთევან მამუკელაშვილი — მუსიკისმცოდნე, სასწავლებლის პედაგოგი და დირექტორის მოადგილე საბოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში; მარინა გუბელაძე — მუსიკისმცოდნე-პედაგოგი, სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი. საორგანიზაციო ჯგუფს ხელმძღვანელობდა ქუთაისის კულტურულ-სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი ვლადიმერ პატარძე; კომპოზიტორთა კავშირს წარმოადგენდა ნინო მესხი.

კონკურსი ააიდ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ გახლდათ ორგანიზებული. კონკურსის კომპეტენტურმა უიურიმ (კახა ცაბაძე — კომპოზიტორი. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ნუკა კასრაძე — პიანისტი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, რევაზ კინაძე — თბილისის ვ. სარაჯოშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, გოგი ჭიჭინაძე — დირიჟორი. ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

„ეს არ არის დასასრული  
ეს მხოლოდ დასაცყისია“...

2013 წლის 24 დეკემბერს, ქუთაისში, მ. ბალანჩივაძის სახ. ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში კომპოზიტორთა კონკურსი გაიმართა „მ.ბალანჩივაძის ვოკალური ნაწარმოებების მიხედვით სოლო და საასამბლონისტურებული ტრანსკრიფციების შესაქმნელად“. კონკურსის იდეა ეკუთვნის მ. ბალანჩივაძის სახ. სასწავლებელს და ეძღვნება ამავე სასწავლებლის 95 წლის იუბილეს. კონკურსის პროექტის ავტორები და

ვანელი, ნოდარ უკანია – პროფესორი. თბილისის 8.  
ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის  
(ნიჭიერთა ათწლეადის) დირექტორი, რუსუდან ქუთა-  
თელაძე – მუსიკისმცოდნე, თბილისის ვ. სარაჯიშვი-  
ლის სახ. სახელმწიფო კონსერვატორის პროფესორი,  
ციცინი თოდეუა – პროფესორი. ქუთასის მ. ბალან-  
ჩივაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის  
ფორმულაციანოს სპეციალობის განყოფილების გამგზა და

პედაგოგი) გამოავლინა გამარჯვებულები. პირველი პრემია ერგოთ კომპოზიტორებს: ნინო ჯანჯლავას და მალხაბ მჭედლიშვილს, მეორე – რუსუდან ხორავას, ანა გოქაძეს, თამარ ვაშაკიძეს. თითქმის ყველა გამარჯვებული რამდენიმე პრემიის ლაურეატი გახდა სხვადასხვა უანრში. ყველაზე მეტი პრემია (5) მიენიჭა კომპოზიტორ გიორგი შავერჩაშვილს.

გამარჯვებულთა წარდგენა და დაჯილდოება გაიმართა ქუთაისში TBC ბანკის საგამოფენო დარბაზში 30 დეკემბერს. პრეზენტაციაზე, სიძებიანი კვარტეტის შესრულებით, პირველად გაელერდა კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ბ-ნი თამაზ მარგველაშვილი და მერის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი შოთა მერლულია, რომლებმაც პრემიები, დიპლომები და სამასხოვრო საჩუქრები გადასცეს გამარჯვებულებს. უიურიმ შედევები შეაჯამა და მადლობა გადაუხადა კონკურსის ორგანიზატორებს.

„ის ფაქტი, რომ კომპოზიტორთა კონკურსი დაარსდა ქუთაისში სასიამოვნო და სიმბოლურია. მოგეხსენებათ, ქუთაისი კლასიკური მუსიკისა და კლასიკოს კომპოზიტორთა აკვანია. ამ კონკურსის არსებობა არის სტიმული და წინაპირობა იმისა, რომ შეიქმნას ახალი ნაწარმოებები. აქ გვაქვს შემთხვევა, როცა უკვე არსებული ნაწარმოებების მიხედვით არანუირების ოსტატობის გამოვლინება ხდება. მაგრამ, არანუირებაც კომპოზიტორმა უნდა გააკეთოს, ეს მიღებული ფორმაა. კარგია, რომ ეს პრეცედენტი შეიქმნა, კულტურული ცხოვრების მანიშნებელია“ – აღნიშნა დირიჟორმა რევაზ ჯავახიშვილმა.

კონკურსის ორგანიზატორები და ქუთაისელი მუსიკოსები იმედოვნებან, ხელისუფლების მხარდაჭერის შემთხვევაში, კონკურსი 2-3 წელიწადში ერთხელ გაიმართება და „ეს არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისა“...



ალსაზ მადლილიძი



ინკროფონიან ნინო ასაძავა

# მუსიკალური ფესტივალის ინცერტუდია

(ქ-ნ ელისო ვირსალაძეს ესაუბრებიან რუსუდან ქუთათელაძე, მზია ჯაფარიძე)

რუსუდან ქუთათელაძე — ადამიანის მეხსიერება ზოგჯერ მცირე, უმნიშვნელო მოგონებას სამუდამოდ შემოინახავს ხოლმე. მინდა გავიხსენო ჩვენი საერთო სტუდენტური დროის ერთ-ერთი მცირე ეპიზოდი. კონსერვატორიაში ვაბარებდით გამოცდას, საგანს „სამედიცინო დების მომზადება“ ერქვა. იყო ასეთი სავალდებულო საგანი კონსერვატორიაში.

**ელისო ვირსალაძე:** — კი, იყო. უბილავა გვასწავლიდა...

**რ.ქ.** — აი, ხედავთ, როგორი მეხსიერება გაქვთ! მახსოვს, ფლიგელში გვიტარდებოდა უბილავას ლექსიები. ცოდნას მკაცრად ითხოვდა. უბილავა — „ოთ სიმღერა უნი...“

**ე.ვ.** — არა, რატომ, სიმპათიური კაცი იყო. სხვათა შორის, ესმოდა კიდევ საგანი ...

**რ.ქ.** — მე და ელისო, ხელში უბარმაბარი წიგნით, ბოლთასა ვცემდით. .რუსულად იყო ეს წიგნი. ვიზუთხავდით მოტექილობის დროს დახმარების წესებს. და ელისო საშინლად ღელავდა!

**ე.ვ.** — მე ვღელავდი, იმიტომ, რომ მამა მომიყვა სისხლის მიმოქცევის, გულის აგებულების შესახებ, რამდენი პარკუჭი აქვს — პატარა პარკუჭი, დიდი პარკუჭი ...

**რ.ქ.** — მე მეგონა, მარტო მე მახსოვდა ეს უმნიშვნელო ეპიზოდი . . .

**ე.ვ.** — არა, რატომ... უბილავამ რომ გამომკითხა, მომთხოვა მაკეტებებინა მეჩვენებინა ეს ყველაფერი, მე კი მაკეტებებინა მეჩვენებინა ჩვენება. ამიტომ ვუთხარი, რომ მაკეტებებინა მე არ შემიძლია და დაფაზე დავუწერდი, და-



დერეკ პრაჟერის ფოტო

ელისო ვირსალაძე

ვუხატავდი და დავუხატე კიდეც. მერე კი კმაყოფილი დარჩა, ჩავაბარე.

**რ.ქ.** — რამდენჯერაც მოვდივარ თქვენს კონცერტები, იმდენჯერ მახსენდება ეს ამბავი. ვღელავდით,

ბოლოთასა ვცემდით ფლიგელში, ათას სისულელეს ვი-  
ზუთხავდით. თერმომეტრის ჩადებას ლამის ორი კვირა  
გვასწავლიდნენ. კვირაში 6 საათი გვქონდა ეს საგანი,  
მაშინ, როცა სპეციალობაში, ვთქვათ, მუსიკისმუოდნე-  
ობაში — მხოლოდ ერთი საათი! აი, ასეთი იყო საბჭო-  
თა სისტემა. ხოლო ეს ეპიზოდი მახსენდება, როგორც  
საქმისადმი თქვენი ჰასუხისმგებლობის მაჩვენებელი.  
სამედიცინო დახმარებას, სპეციალობასთან სრულიად  
დაუკავშირებელ საგანსაც კი დიდი გულისყურით ეკი-  
დებოდით. ეს ისე, მცირე პრელუდია.

ახლა კი მინდა გკიოთხოთ ასეთი რამ: შეიძლება ითქ-  
ვას მთელი ცხოვრება სამშობლოს გარეთ გაატარეთ —  
საზღვარგარეთ, რა გინარჩუნებთ ქართულ სულს, რო-  
გორ ახერხებთ ამას?

ე.ვ. — ამის თქმა არ შეიძლება. ამაზე საუბარი ძა-  
ლიან ძნელია, იმიტომ, რომ რაც არ უნდა სიტყვები  
მოვძებნო, რომ გამოვხატო ჩემი გრძნობა სამშობლოს  
მიმართ, მშობლიური სკოლის მიმართ, მასწავლებლე-  
ბის მიმართ და ა.შ. მაინც არ იქნება საკმარისი, მაინც  
ვერ გამოვხატავ იმ სინამდვილეს, იმ გრძნობას, რაც მე  
მაქვს. ამიტომ ლაპარაკი ძალიან ძნელია. შეიძლება  
მთელი ცხოვრება საქართველოში ცხოვრობდე და ამის  
განცდა არ გერინდეს, და პირიქით. ამიტომ საზღვარგა-  
რეთ ყოფნას საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა.

რ.ქ.— არა, მნიშვნელობა ნამდვილად აქვს. არის  
მაგალითები, როცა არა მხოლოდ ენას ივინწყებენ, არა-  
მედ...

ე.ვ. — არა, ნამდვილად არა აქვს მნიშვნელობა!  
80-იან წლებში ვიყავი არგენტინაში, მე შევხვდი იქ  
ემიგრანტებს, რომლებიც იყვნენ დაკავშირებული მენ-  
შევივებთან და ამიტომ მოუხდათ ემიგრაციაში ნასვ-  
ლა ნოე უორდანისათან ერთად. იქ იყო აგრეთვე ქ-ნი  
გოგოლაშვილი, პაპავას შეუდღე, რომელიც გავიცანი  
სხვებთან ერთად და მინდა გითხრათ, რომ მათ გაცი-  
ლებით მეტი იცოდნენ საქართველოს შესახებ, ვიდრე,  
მაგალითად, მე, ან ვიდრე საქართველოში მცხოვრებმა  
ქართველებმა. მათ უფრო აინტერესებთ და უკეთ იცი-  
ან რა ხდება საქართველოში. მე, მაგალითად, ბევრად  
მეტი ვიკი რა მოხდა ამ წლის განმავლობაში საქართ-  
ველოში, ვიდრე ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც საქარ-  
თველოში ცხოვრობენ.

შინა ჯაფარიძე — ახლა ან ვასუბრობდით ამ თემაზე.  
ნამდვილად ცუდად ვიცით ჩვენი ქვეყანა. გადის დრო,  
მთელ ცხოვრებას აქ ვატარებთ და ცხოვრების ბო-  
ლოსკენ აღმოჩნდება, რომ საკუთარ ქვეყანაში ბევრი  
რამ ნაახიც კი არ გვაქვს და ბევრი რამ არ ვიცით.

ე.ვ. — ამაზე საერთოდ აღარც მაქვს ლაპარაკი. მე  
ვსაუბრობ დღევანდელ დღეზე. მით უმეტეს, რომ არის  
ტელევიზია, ინტერნეტი და ინფორმაცია ადვილად მი-  
სანვდომია.

რ.ქ. — მთავარი, ალბათ, სურვილია...

ე.ვ. — რა თქმა უნდა! სურვილი საერთოდ ყველა-  
ფერში მთავარია.

რ.ქ. — სტრავინსკის აქვს ნათქვამი: „ნახევარი სა-  
უკუნის შემდეგაც კი, რაც მე დავტოვე ქვეყანა, სადაც  
რუსულად ლაპარაკობენ, მე ჯერ კიდევ ვფიქრობ რუ-  
სულად და სხვა ენაზე ლაპარაკისასაც, რუსულიდან  
ვთარგმნი—“ო. მე სადღაც წავიკითხე, რომ თქვენ  
შვიდ ენას ფლობთ...

ე.ვ. — ამას არა აქვს მნიშვნელობა. იმის გამო, რომ  
რუსული ენა იყო ჩემი პირველი ენა, უფრო მეტად  
კლაპარაკობდი რუსულად, უფრო მეტად რუსულიდან  
ვთარგმნი. ჩემთვის უფრო მეტია რუსული ენა, ვიდრე  
ქართული როგორც ასეთი. ებლა ნაკლებად ვკითხუ-  
ლობ ქართულად, თუმცა ქართული სკოლა მაქვს დამ-  
თავრებული.

რ.ქ. — საუბრისას კი საუკეთესო ქართულით საუბ-  
რობთ, უკეთესით, ვიდრე ისინი, ვინც სხვა ენა არც იცის.

ე.ვ. — საერთოდ ცედილობ, რომ გამართულად ვი-  
საუბრო...

რ.ქ. — დრო თუ გრჩებათ კითხვისათვის?

ე.ვ. — საერთოდ ცოტა დრო მრჩება, იმიტომ, რომ  
ძალიან გადატვირთული ცხოვრება მაქვს, ბევრს ვმოგ-  
ბაურობ, ძალიან ბევრი სტუდენტი მყავს და კითხვისთ-  
ვისაც ცოტა დრო მრჩება, თუმცა რაღაცნაირად მაინც  
ვახერხებ.

რ.ქ. — ოთარ თაქთაქიშვილს სოსო კეჭაყმაძისათ-  
ვის სიკვდილის წინ, თურმე, უთქვამს: „ჯერ არ მინდა  
სიკვდილი, იმიტომ, რომ ქართულ სიძლერას ვეღარ მო-  
ვისმენ“—ო; სოსოს კი უპასუხია: „მე კი სიმღერის გარდა  
ქართულ სიტყვას რომ ვერ მოვისმენ, იმიტომ“—ო.

ყველაზე მეტად რისი მოსმენა ვინდათ, ქართული

## დიალოგი ხელოვანთან



მარია კაფარიძე, ელისო ვილაშვილი, ლელა ონიანი,  
რეჟისორ მარია მარიაშვილიაძე

სიმღერის, სიტყვის, თუ?...

ე.ვ. – გააჩნია... მე სულ ვისმენ ქართულ ფოლკლორს, ძალიან ბევრი ფირფიტა მაქვს, მუწილად ან-სამბლ „რუსთავის“ შესრულებით. ამაშიც პრობლემა არ არის.

რ.ქ. – არაერთ უცხოელ მუსიკოსს აღუნიშნავს ქართველი მსმენელის ღირსებები, რომ კარგად იგებენ ნაწარმოების არსებობას, ადეკვატურობის არიან შეფასებებში და ა.შ. თქვენ მრავალი ქვეყნის აუდიტორიის წინაშე გამოდიხხართ, თუ განასხვავებდით თბილისის, თელავის, ქუთაისის აუდიტორიას სხვა აუდიტორიისაგან?

ე.ვ. – ვერ გეტყვით, იცით... ეს თვითონ იმ ადამიანის სუბიექტური შეგრძებაა, რომელიც გამოდის კონცერტზე და ასრულებს ამა თუ იმ ნაწარმოებს. რასაკვირველია, ის განცდა, რომ შენ ჩამოდიხარ საქართველოში, და კერძოდ, თელავში, რომელთანაც ნლები გაკავშირებს (მოგეხსენებათ, 80-იან წლებში დაფუძნდა თელავის ფესტივალი), ძალიან ამაღლვებელია – ყველაფერი ერთად გახსენდება, გახსენდება ის ადამიანები, რომლებიც იყვნენ და აღარ არიან, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს... ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაა. ბოლო წლებში ძალიან ბევრი ფესტივალია და ამიტომ დიდი მღელვარებაცაა – როგორ იქნება, როგორ ჩატარდება და ა.შ. რაც შეეხება მსმენელს, ეს და-

მოკიდებულია თვითონ შენზე: თუ შენ ხარ აღალი და მსმენელს აძლევ ყველაფერს, რაც შეგიძლია, მაშინ, ვფიქრობ, რომ მსმენელიც ადეკვატურად გიპასუხებს.

რ.ქ. – მე მაინც ვფიქრობ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილია კლასიკური მუსიკის მოსმენისა და ცოდნის დიდი ტრადიცია, რაც პირობას ქმნის, მსმენელმა ღირსეულად შეაფასოს ნებისმიერი შემსრულებელი.

ე.ვ. – დიახ, დიახ... მაგრამ მე უნდა გითხრათ, რომ რუსეთის აუდიტორია არის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო. და თუ თქვენ აიღებთ რუსულ პროვინციას, ეს მართლა არაჩვეულებრივი აუდიტორია. ამას მხოლოდ მე არ აღვინიშნავ, ამას ამბობს ყველა შემსრულებელი, რომელიც ბევრს მოგზაურობს საბლვარგარეთაც და ჩადის რუსეთის პროვინციაშიც, ისინიც აღფრთვაზებულნი რჩებიან. ეს იმიტომ, რომ მსმენელები მონცურებულები არიან ... თქვენ რა გვონიათ, გერმანიაში არ არის ტრადიცია? გერმანიაში ძალიან დიდი ტრადიციაა, მაგრამ აუდიტორია ძალიან, ძალიან გაბარმაცებულია. აი, ამას აქვს მნიშვნელობა – რამდენად ხარ მონცურებული, რამდენად გაკლია ეს.

მ.ჭ. – განახლებულ თელავის ფესტივალებს თუ შევადარებთ 80-იანი წლების ფესტივალებს, აშკარაა, რომ ახლა ნაკლებადაა ახალგაზრდობა. ჩემი თაობისათვის დაუვინწყარია მაშინდელი ფესტივალები და მაშინდელი ემოციები, შთაბეჭდილებები დღემდე შემოგვრჩა. ეს იყო მოვლენა სტუდენტებისთვისაც და, ვიქტორი, მთელი საქართველოსათვის. იმ უმდიმეს 1989 წელსაც კი დაუვინწყარი დღეები გვაჩქა თელავის ფესტივალმა. სამწესაროდ, დღეს სტუდენტები ნაკლებად არიან თელავის საფესტივალო კონცერტებზე.

ე.ვ. – ახლაც ძალიან გვინდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ შესაძლებელი იყოს ახალგაზრდების ჩამოსვლა. მაგრამ, მაშინ ხომ ჩვენ, ფაქტობრივად, ვაფინანსებდით ახალგაზრდებს. ცხოვრება ძალიან გართულდა და ამიტომ ვერც კი დავადანაშაულებ იმას, ვინც ვერ ჩამოდის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ შარშანდელთან და შარშანნინდელთან შედარებით წელს ძალიან ბევრი ახალგაზრდა იყო.

რ.ქ. – თქვენ ახსენეთ რუსეთის პროვინცია, თელავიც პროვინციაა, განა ამიტომ შეფასების უნარი თელა-

ვურ აუდიტორიას პროვინციული აქტს? არა მცონია!

ე.ვ. – რაოდმ გინდათ, რომ პროვინცია მაინცადამა-ინც რაღაც ცუდი უნდა იყოს? პროვინცია არ არის მარ-ტო გეოგრაფიული ცნება...

რ.ქ. – პირიქით, პირიქით... კომუნისტურ ეპოქაში პროვინციებს ჩამოაშორეს თავისი კულტურული მნიშ-ვნელობა. თელავი, მაგალითად, კულტურის ერთ-ერ-თი საუკხოო კერა იყო.

ე.ვ. – დიახ, თელავიც და სხვათა შორის, ქუთაი-სიც ქუთაისი კიდევ უფრო ძერად კულტურული ქალაქი იყო, ვიდრე თბილისი.

რ.ქ. – სადღაც ამოვიკითხე, რომ ბანდაში, XIX სა-უკუნის მიწურულს ქართულად დაუდგამთ შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“! საბჭოთა ეპოქაში ბანდა რად იქცა, საქილიკო სიტყვად?

ე.ვ. – საქმე ისაა, რომ საბჭოთა ეპოქაში კულტა-ფერი იყო ცენტრალიზებული. საბჭოთა კავშირში ერთი ქალაქი იყო მოსკოვი და კულაფერი უნდა გაგევთე-ბინა მოსკოვის გავლით. საქართველოში კულაფერი კონცენტრირებული იყო თბილისში და კულაფერი თბილისის გავლით ხდებოდა. ახლა ხდება აღდგენა ამ ქალაქების კულტურული ცხოვრების.

რ.ქ. – ვფიქრობ, თელავის ფუსტივალს ამაში დიდი წვლილი მიუძღვის.

ე.ვ. – არა მცონია... დრო იცვლება. თელავში სა-ერთოდ იმდენი მოღვაწები იყენები... მაგალითად, სიღ-ნაღში ვიყავით გუშნ და შესანიშნავია, რომ იქ არის აშენებული მუზეუმი, სადაც გამოფენილია ფიროსმანის ნამუშევრები; გუდიაშვილის გამოფენაც იყო, სტაბი-ლური არა – გამოფენები იცვლება, თუმცა ფიროსმა-ნი სულ არის. იქ ააშენეს მუზეუმი, სადაც იყო მუსიკა-ლური სასწავლებული, მუსიკალური სასწავლებელი კი სადღაც გადააგდეს, მაშინ, როცა სიღნაღი ძალიან კარგ კადრებს აწვდიდა თბილის, ისევე, როგორც თე-ლავი. ამიტომ ძალიან სამწუხაროა, რომ მუსიკალუ-რი სასწავლებელები გაუქმდა ... ისე კი არა, რომ სრუ-ლიად აღარ არსებობენ, მაგრამ უფრო ძერი ყურადღე-ბა სჭირდება.

მ.ჯ. – საერთოდ ძალიან წარუმატებელი სამუსიკო განათლების რეფორმა ჩატარდა. სამუსიკო განათლე-ბის რეფორმაც, სამუსიკო-საგანმანათლებლო დაწესე-

ბულებების ოპტიმიზაციაც, ალბათ, საჭირო იყო, მაგ-რამ...

ე.ვ. – რა თქმა უნდა. ალბათ, რაღაც რეფორმა სა-ჭირო იყო, მაგრამ როგორი? თავიანი და არა უთავო!

მ.ჯ. – პრობლემა ისაა, რომ სასწავლებლები აღარ უშვებენ პედაგოგის კვალიფიკაციის მქონე კადრებს. სწორედ სასწავლებელდამთავრებული პედაგოგე-ბი მიდიოდნენ სოფლებში მასწავლებლებად. ახლა კონსერვატორიადამთავრებული კადრი, რომელიც 18 წელი ისნავლის, გამონაკლისი ერთეულის გარდა, არ ნავა სოფლის სკოლაში პედაგოგად. მოკლედ, უნინ იყო სამუსიკო განათლების უწყვეტი ჯაჭვი, რაც და-ირლვა და საკმაოდ მძიმე შედეგები მოუტანა სამუსიკო განათლებას საქართველოში.

ე.ვ. – გეთანხმებით, ნამდვილად ასეა. არ ვარ საქმის კურსში თუ რა ხდება ზუსტად საქართველოში, მაგრამ რუსეთშიც, სამწუხაროდ, ან აერთიანებენ ან ხურავენ სკოლებს. თუმცა რა არის გასაკვირი, როდე-საც გერმანიაში, მანქაიმში დახურეს უმაღლესი მუსი-კალური სკოლა.

რ.ქ. – რატომ? მოთხოვნა აღარ არის?

ე.ვ. – ფული არა აქვთ, ფული! მოთხოვნაც აღარ არის, ალბათ. დღეს უკვე იმდენი შემსრულებელია, ყველას ვერ დააგმაყოფილებ. არ არის ამდენის საჭი-როება, ესეც საშინელებაა. მაგრამ, თუ შენ არ ხდები პროფესიონალი მუსიკოსი, მუსიკალური განათლება მაინც საჭიროა იმსათვის, რომ შენ განათლებაში მუ-სიკას ჰქონდეს გარკვეული ადგილი. ამის გარეშე არ შეიძლება.

მ.ჯ. – ვფიქრობ, რომ მუსიკალური განათლება აუცილებელია, განსაკუთრებით კი ბიჭებისათვის. მით უფრო დღეს, როდესაც საქართველოში, და საბოგა-დოდ, პოსტურაბჭოთა სივრცეში მძიმე სოციალური რე-ალობის გამო ძალიან ბევრი ბავშვია გზას აცდენილი, განსაკუთრებით ბიჭები. თითქმის არ მინახავს ბიჭი, რომელსაც მუსიკალური განათლება ჰქონდეს და ცუდ გზას დასდგომოდეს. მუსიკა ადამიანს განსაკუთრებულ ჩვევებს სძენს, სულიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მუსიკაში შედეგი გვიან მოდის – ხანგრძლივი პროცე-სია, ამიტომ შრომის, მოთმინების უნარს ანვითარებს, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენ სულსწრაფ დროში.



ელისო ვირსალაძე

დერეკ ბრაუნის ფოტო

ე.ვ. — რასაკვირველია, ამ პრობლემების დაძლევის ერთ-ერთი პირობა და საშუალება ესეცაა.

რ.ქ. — ეს კითხვა არ მქონდა გათვალისწინებული, მაგრამ რაკი სიყვარული მოიტანა, მინდა გყითხოთ: ჩვენ რომ ვსწავლობდით „დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორიას“, ვსწავლობდით სამი წელიწადი, ახლა ამ საგანს გავლიყვართ ერთ წელიწადში, პერიოდს უსოოვარი დროით დაწყებული — XX საუკუნემდე. მაგალითად, „ბეთჰოვენი“ უნდა გავიარო ერთ ლექციაში, ერთ საათში?! სტუდენტებს ვეუბნები ხოლმე: „აბა, რა უნდა გითხრათ, ბავშვებო? ალბათ ის, რომ ბეთჰოვენი კარგი კომპოზიტორია“. XX საუკუნეს გადიან || კურსჩე. მე კი ვფიქრობდი, რომ XX საუკუნის სალექციო კურსიც თანდათან გაიზრდებოდა, რადგან მას ერთი წელიწადშე მეტიც სჭირდება, მაგრამ მთელ „დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორიას“ XIX საუკუნის ჩათვლით და ისეთ „პატარ-პატარა“ კომპოზიტორებს, როგორებიც არიან ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი, შუმანი, შოპენი, ლისტი,

ვერდი და ა.შ., მხოლოდ თითო საათს თუ დავუთმობდით, ერთ წელიწადში „გავირბენდით“, ამას, ნამდვილად, არ მოველოდი. სხვაგან როგორაა საქმე?

ე.ვ. — არა, ეს რასაკვირველია, არასერობშულია. მე ვერ გეტვით, ზუსტად როგორაა, მაგრამ, მაგალითად, მოსკოვის კონსერვატორიაში გაცილებით მეტი დრო ეთმობა. თუმცა ეს სტუდენტებზე არის დამთკიდებული, თუ მათ უნდათ რაღაცის სწავლა, თვითონაც ისნავლიან.

რ.ქ. — მაში, პედაგოგი საერთოდ რაღა საჭიროა? ისნავლონ თვითონ!

ე.ვ. — არა, უბრალოდ, როდესაც პედაგოგი აძლევს თემას, შემდეგ სტუდენტმა თვითონ უნდა გააღრმავოს მის გარშემო ცოდნა. გაკვეთილები, რომელიც არის ხოლმე, მაინც არაა საკმარისი, ამიტომ, თვითონაც უნდა გაიღონ დრო იმისათვის, რომ გაიღრმავონ ცოდნა.

რ.ქ. — მაინც ვფიქრობ, რომ ამ სისტემაში რაღაცის შეცვლაა საჭირო, სხვაგვარად უნდა გადიოდნენ მუსი-

კის ისტორიას. ამ როგორი პრობლემიდან კი ასეთ კითხვაზე მინდა გადავიდე. ახლა უამრავი პიანისტია გამოსული საერთაშორისო სარბიელზე, პიანისტის აყვავების ხანაა. თუ გქონიათ სურვილი გეცხოვრათ ეპოქაში, როდესაც ისეთი პიანისტები მოღვაწეობდნენ, როგორც შოპენი, ლისტი?

ე.ვ. – არ ვიცი, ეს როგორი კითხვაა, არ მიფიქრია ამაზე! თუმცა არა! მე ვიცხოვრებდი იმ ეპოქაში, რომელშიც ვცხოვრობ! არასდროს მიოცნებია სხვა ეპოქაშიც ცხოვრებაზე. მე მაინც იმ ეპოქაში ვცხოვრობ, რა ეპოქაშიც ვცხოვრობ!

მ.ჯ. – ცხადია, როდესაც ასრულებთ ბეთჰოვენს, მოკარტს, შოპენს თუ ლისტს, ამით გარკვეულწილად უკავშირდებით კიდევ იმ ეპოქებს და ალბათ, იმ დროში ცხოვრების საჭიროება აღარცა.

ე.ვ. – რასაკვირველია, როდესაც ასრულებ ნანარმოებს, თავისთავად დაკავშირებული ხარ კომპოზიტორის სამყაროსთან...

რ.ქ. – ელისო, თქვენ თავიდანვე იყვით ოლიმპობე. ყოველი კონცერტიდან რომ დავბრუნებულვარ ხოლმე, ვფიქრობდი, ღმერთო, ამაზე უკეთესად ნუთუ შეიძლება დაკვრა? შეუძლებელია! და ყოველ ჯერზე იგივე მეორდებოდა. ვერ გავიხსენებ, რომელიმე თუნდაც საშუალოდ კარგ კონცერტს, ყოველი საღამო ბრნყინვალე იყო, დაუკინარი! გაქვთ თუ არა შეჯიბრის გრძნობა, სხვასთან, საკუთარ თავთან?

ე.ვ. – არა, შეფიტრის გრძნობა არასდროს მქონია. ჩემ თავზე არასდროს ვფიქრობ, მე ვფიქრობ იმ ნანარმოებზე, რომელსაც ვასრულებ, ნანარმოების შესრულება აბსოლუტურად ისე, როგორც დაწერილია, შეუძლებელია. ამისკენაა მიმართული ჩემი ძალა.

რ.ქ. – შინაგანი ცენტორი ხომ გყავთ. ვინ არის თქვენი ცენტორი, კომპოზიტორი, თვითონ ელისო თუ?...

ე.ვ. – არავინ არ არის. მე ვფიქრობ იმ ნანარმოებზე, რომლებსაც ვუკრავ. ვცდილობ მივუახლოვდე მას, შევასრულო ისე, როგორცაა დაწერილი... ვცდილობ შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო.

მ.ჯ. – ალბათ ამიტომაა, რომ ერთიდაიგივე ნანარმოებს, ყოველ ჯერზე ახლებურად ასრულებთ, რეპერიციაზე, კონცერტზე, ბისტეც კი, როდესაც რამდენიმე ნუთის წინ შესრულებულს იმეორებთ...

ე.ვ. – ეს ყველაფერი მუსიკიდან მოდის. 70-ე მეტი კონცერტი მაქვს შესრულებული, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც იშვიათად სრულდება, ზოგს კი უფრო ხშირად ვასრულებ და თუ ისევე შევასრულე, როგორც შარშან, ან შარშანინ, მაშინ არც შევასრულებდი.

მ.ჯ. – რეპერიციაზე, კონცერტზე და ბისტეც რომ სხვადასხვა ინტერპრეტაციაა? რა განსაზღვრავს ამას, პირველი აღებული ბერა, ინტონაცია, განწყობა?...

ე.ვ. – მინდა გითხრათ, რომ თვითონ მუსიკა იძენად მრავალმხრივია, იმდენ იმპულსსა და იმდენ შესაძლებლობას გაძლევს, რომ სხვა ახსნა ამას არ აქვს. ყველაფერი ისევ და ისევ მუსიკიდან მოდის. ამიტომაა, რომ შენ ამ მომენტში ასე აღიქვამ ამ მუსიკას, სხვა მომენტში სხვაგვარად. ამის შესაძლებლობას თვითონ მუსიკა იძლევა.

მ.ჯ. – თქვენ ერთხელ ბრძანეთ, რომ თანამედროვე მუსიკა ნაკლებად გაინტერესებთ, ვინაიდან თქვენთვის ამოუწურავია კლასიკოსებისა თუ რომანტიკოსების შემოქმედება და რომ თანამედროვე მუსიკა თქვენთვის პროკოფიევითა და შოსტაკოვიჩით მთავრდება. დღესაც ივივეს ფრერობთ?

ე.ვ. – დიახ, ახლაც ასე ვფიქრობ. არ შემიძლია, არა! მიუხედავად იმისა, რომ შეიგადაშიგ ვასრულებ თანამედროვე მუსიკასაც, ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, რომ ახლა შევასრულებ და მერე არ ვიცი როდის დაკუბრუნდები, იქ კი სულ მინდა დაბრუნება.

მ.ჯ. – ამის დასტურია ალბათ ისიც, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ხშირად ასრულებთ ბეთჰოვენს. აქაც, თელავში, პროგრამაშია ბეთჰოვენის №3 და №5 საფორტეპანო კონცერტები, კვარტეტი ფორტეპანოსა და სიმებანი ტრიოსათვის, თბილისში ბოლოს გამართეთ კამერული მუსიკის კონცერტი, სადაც შეარულეთ ბეთჰოვენის სონატები ჩელოსა და ფორტეპანოსათვის ნატალია გუმანთან ერთად ... ესეც, ალბათ, თქვენი ამ დამოკიდებულებიდან მომდინარეობს.

ე.ვ. – დიახ, ასევე მოცარტის კონცერტები, შოპენის ნანარმოებები და ა.შ., ამოუწურავია ეს ყველაფერი!

რ.ქ. – ახლა ითქვა, რომ ამა თუ იმ ნანარმოებს ყოველ ჯერზე ახლებურად ასრულებთ და ვფიქრობ, რომ ეს არის თქვენი ევოლუციის ახალი და ახალი საფეხური. თავად როგორ მიგაწინათ, რაში გამოიხადე-

## დიალოგი ხალოვანთან

ბა თქვენი ეკოლუცია – ნაწარმოებს უფრო ადვილად აღიქვამთ, იგებთ, უფრო ადვილად შედიხართ მის არ-სში თუ?...

ე.ვ. – ძალიან ძნელია ამბეჭ ლაპარაკი. ერთის მხრივ, შეიძლება, ეს გამოიხატება ნაწარმოებთან შე-დარებით მიახლოებაში ... შედარებით, რადგან არა-სოდეს შეიძლება ნაწარმოებს აბსოლუტურად მიუახ-ლოვდე ისე, რომ იყო ნაწარმოების დონეზე. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს მაძლევს ჩემ სტუდენტებთან ურ-თიერთობა – ბევრ იმპულსს, იდეას საშემსრულებლო დეტალებისთვის და ა.შ. და მესამე, რასაკვირველია, ფორტეპიანო, რომელსაც მე ვაღმერთებ როგორც ინ-სტრუმენტს, რომელსაც თავისთავად აქვს ძალიან დი-დი შესაძლებლობები, მის შესაძლებლობებს არ აქვს ბლვარი. სწორედ ფორტეპიანო მაძლევს მე ამის შესა-ძლებლობას. სხვა ყველა ინსტრუმენტს აქვს გარკვეუ-ლი ლიმიტი: ვიოლინოსაც, ჩელოსაც, ფორტეპიანოს არ აქვს.

რ.ქ. – ვიოლინოს?

ე.ვ. – რა თქმა უნდა, ვიოლინო მაინც ვიოლინოა, არ არსებობს ვიოლინო ფორტეპიანოს გარეშე, ძალი-ან ცოტა ნაწარმოებია დაწერილი მხოლოდ ვიოლინო-სათვის.

რ.ქ. – ბახის სიუიტები, პაგანინის კაპრისები?...

ე.ვ. – დიახ, ეგრე სიუიტებიც შეიძლება მოვიშვე-ლიოთ, მე სხვას ვგულისხმობ. მე ვამბობ საერთოდ, როგორც ინსტრუმენტს – ფორტეპიანოს შეუძლია იყოს ორკესტრიც, იმდერთს კიდეც და ა.შ.

მ.ჯ. – ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. ერ-თხელ ჰოროვიკს ჰკითხეს, რატომ ღირს თქვენ კონ-ცერტებზე ბილეთები ასე ძვირიო? მან უბასუსა: იმიტომ, რომ ვიდრე მე დებიუსის პატარა პიესაზე დავიწყებ მუ-შაობას, მე ვსწავლობ მის ყველა პარტიტურას, ცხოვ-რებას, მის ეპისტოლარულ მექვიდრეობას და ა.შ., და მხოლოდ შემდეგ ვიწყებ ნაწარმოებზე მუშაობასა. თქვენ როგორ მიდიხართ იმ ნაწარმოებამდე, რომელიც უნდა შეასრულოთ?

ე.ვ. – ძალიან კარგია, როცა იყი კომპოზიტორის შემოქმედება სრულად, მაგრამ საფორტეპიანო ლი-ტერატურა, საბედნიეროდ, იმდენად დიდია, რომ ამის შესაძლებლობა არ გავაჩნია. ვერ გეტყვით, როგორ

კონკრეტულად, ძალიან განსხვავებულად, სხვადასხ-ვაგვარად.

რ.ქ. – თქვენ მთელი ცხოვრება შესწირეთ მუსიკას. ეს რა არის, მოთხოვნილება, აუკილებლობა, პასუხისმ-გებლობა, ბედნიერება თუ ყველაფერი ერთად?

ე.ვ. – არასოდეს არ მიფიქრია ამაბეჭ. იმიტომ, რომ სხვანაირად ვერ ნარმობიდგენია. სხვათა შორის, არა-სოდეს არ ვფიქრობ როგორ, რატომ, ასეთ კითხვებს ჩემ თავს არ ვაძლევ ხოლმე. უბრალოდ, სხვანაირად არ შემიძლია და ამიტომ ვცხოვრობ ყოველი დღით.

რ.ქ. – მუსიკას სიხარული უფრო მეტი მოუნიჭებია თქვენთვის თუ წყენა?

ე.ვ. – სხვადასხვანაირ ემოციებს იწვევს მუსიკა, სა-ბოგადოდ შემოქმედება.

რ.ქ. – არის ხოლმე ტაში იმის ადეკვატური, რაც გა-აკეთეთ, რასაც ელოდით?

ე.ვ. – ესეც ძნელი სათქმელია., ნარმატება და აპ-ლოდისმენტები ეს არის სხვა რადაც.

მ.ჯ. – კონცერტის შემდეგ აანალიზებთ თქვენს შეს-რულებას?

ე.ვ. – კი, თუმცა გააჩნია! საერთოდ ვფიქრობ, რომ როდესაც შესრულდება ნაწარმოები, ამით ყველაფე-რი მთავრდება. ისეთი პროფესია, რომელიც არ რჩება, ერთი კონცერტი და გათავდა!

რ.ქ. – თქვენს შესრულებაში ყოველთვის ჩანს ღრმა ინტელექტი. რა როლს თამაშობს ინტელექტი საშემსრულებლო ხელოვნებაში? რატომ არის, რომ ნორჩი მუსიკოსები, რომლებსაც არა აქვთ ფართო განათლება, ხშირად შესანიშნავად უკრავენ. მე ვეუბ-ნები კიდეც ჩემს სტუდენტებს: ბავშვები, ბრაძისი წერს, ბრაძის! რომ „არა მარტო ბევრი დაკვრაა საჭირო, არა-მედ ბევრი უნდა იკითხოთ“ –ო.

ე.ვ. – შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან ბევრი არაჩ-ველებრივი, მსოფლიოში სახელგანთქმული შემსრუ-ლებელი ვიცი, რომელსაც არა აქვს დიდი ინტელექტი და პირიქით, ძალიან ბევრი, ინტელექტუალი, ძალიან განათლებული, საშუალო დონის შემსრულებელიც ვი-ცი. მე არ ვამბობ, რომ განათლება არ თამაშობს როლს, რაც უფრო მეტი იყი, რა თქმა უნდა, უკეთესია, მაგრამ ამას მაინც არა აქვს გადამნებელი მნიშვნელობა.

მ.ჯ. – დღეს, მაგალითად, კონკურსებზე აკრობატი-

მამდეა მისული ტექნიკური მხარე, ვიდრე სხვა, უფრო სილრმისეული... თანამედროვე პიანისტის დღევანდელ პრობლემებს რაში ხედავთ, როგორ შეაფასებდით მას?

ე.ვ. — იყით, წელსაც ვამბობდი: ძალიან ბევრი, ძალიან ნიჭიერი ახალგაბრდა პიანისტია, მევიოლინეც, ჩელისტიც, დირიჟორიც, მათ ყოველთვის არა აქვთ ხოლმე ბედი, მე ვიტყოდი იღბალი, ვიდრე ზოგს, რომელსაც გაუღიძა ბედმა და აქვთ ის წარმატება, რომელსაც სრულიადაც არ იმსახურებენ. ისინი, ვინც კარგები არიან, ცდილობენ რადაცის მიღწევას — ჩრდილში ჩეხებიან. დღეს ცოტა არეულია მუსიკალური ცხოვრება მსოფლიოში, არა მარტო ჩვენთან.

რ.ქ. — თქვენთვის უფრო საინტერესოა იმ ნაწარმოებების მოსმენა, რომელიც კარგად იყით, ბევრჯერ დაგიკრავთ, თუ ის, რომელსაც ჯერ არ იკნიბათ?

ე.ვ. — ჩემთვის ყველაფერი საინტერესოა ... ყოველთვის საინტერესოა ახალი ნაწარმოების გაცნობა.

რ.ქ. — ელისოს შესრულებას რომ ვისმენ, ძალიან ფერადოვანია, ხშირად იწვევს მხედველობით ასოციაციებს, პორტრეტი იქნება ეს, პეიზაჟი თუ სხვა. როდესაც უკრავთ, გებადებათ თუ არა რამე კონკრეტული ასოციაცია?

ე.ვ. — არავითარი, აბსოლუტურად არავითარი, არასოდეს!

მ.ჯ. — ეს ალბათ, უფრო მსმენელს ებადება. მუსიკა უფრო აბსტრაგირებული ხელოვნებაა.

ე.ვ. — დას. მსმენელი სხვადასხვაა, მას შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული ასოციაციები, რადაც გაახსენოს. მუსიკა თავისთავად იძენება და მდიდარია, რომ არავითარი დამატებითი ფაქტორი არ ესაჭიროება. თუმცა გააჩნია შემსრულებელს. მართალია, როდესაც ჩემი სტუდენტი უკრავს, მაგალითად, მოცარტს, მე ვეუბნები რომ წარმოიდგინოს მოცარტის ოპერების ჰერსონაუები, მაგრამ ეს კეთდება ისევ მუსიკისთვის. ეს სულ სხვა რამაა.

მ.ჯ. — მაში, რას იტყვით რომანტიკოსებზე, პროგრამულ მუსიკაზე?

ე.ვ. — ხომ იყით, რომ კომპოზიტორები ძალიან ხშირად ჯერ წერდნენ და მერე ასათაურებდნენ. შუმანი, მაგალითად, ჯერ ნაწარმოებს ქმნიდა და მერე ანერდა სათაურს.

მ.ჯ. — „კარნავალი“, რომლის თქვენებული დაუვინარი ინტერპრეტაცია გვახსოვს, ანდა მრავალი სხვა პროგრამული ნაწარმოები?

ე.ვ. — „კარნავალშიც“ ხშირად ჯერ ქმნიდა და მერე ანერდა სათაურს. რასაკინოველია, ეს გიღვიძებს გარკვეულ ასოციაციებს. რა თქმა უნდა, გამორიცხულია, რომ არ იყოდე კომპოზიტორის ბიოგრაფია, სად ცხოვრობდა, რა იყო ნაწარმოების შექმნის წინამორბედი და ა.შ.

რ.ქ. — აანალიზებთ თუ არა სხვის შესრულებას?

ე.ვ. — არა, როგორ შეასრულა — ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ. თუ დაინტე ამაზე ფიქრი, შესრულების ტრადიციებებები — ძალიან შორს წაგიყვანს და საერთოდ აცდები ნოტებს.

რ.ქ. — რიტმი თქვენს შემოქმედებაში პროფესიის გამო წამყვან როლს თამაშობს. რა როლს თამაშობს რიტმი თქვენს ცხოვრებაში?

ე.ვ. — რიტმი ცხოვრებაში არის საკმაოდ სწრაფი. ბევრი არის გასაკეთებელი და ამიტომ ძალიან სწრაფი, დაძაბული რიტმია.

რ.ქ. — ცხოვრების რიტმი მუსიკალურ რიტმს თუ ეთანადება?

ე.ვ. — არა. ამ რიტმს აქვს თავისი უარყოფითი მხარე და ამიტომ არის ხოლმე, რომ ზოგჯერ ორგანიზმი გაფიცვას აცხადებს და ავად ვხდები.

რ.ქ. — კომპოზიტორებთან საუბრისას ხშირად ასეთ კითხვას ვსვამ: გალაკტიონმა ასე ჩამოაყალიბა ქართული პოეტია: „შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა და გალაკტიონი“. როგორ ჩამოაყალიბდით თქვენ ამ „პოსტულატს“ პიანისტთან მიმართებაში, შეგიძლიათ ამის პერიოდაში საფორტეპიანო საშემსრულებლო ხელოვნებასთან მიმართებაში?

ე.ვ. — არა, არასოდეს ვამბობ ამას. ძალიან ბევრ მუსიკოსს ვაფასებ; როგორ შეიძლება მუსიკაში რაღაცის დახარისხება, არც პოებიაში. ყოველ ადამიანს თავისი გარემოცვა აქვს კომპოზიტორებისა, პოეტებისა, თავისი სამყარო აქვს. ეს არის ძალიან ინდივიდუალური და ძალიან სუბიექტური.

რ.ქ. — როდესაც ადგენთ საფესტივალო პროგრამას, მემსრულებელი გთავაზობთ საკუთარ პროგრამას თუ თავად ირჩევთ პროგრამას და სთავაზობთ შემს-

## დიალოგი ხელოვანთან

რულებულს? ფესტივალის მონაწილეებს რა ნიშნით ირჩევთ?

ე.ვ. – გააჩნია შემსრულებელს. მაგალითად, ედუად ბრუნერი, რომელიც პირველი ფესტივალებიდან ყოველ წელს არის ჩართული, მას აქვს ძალიან კარგი ინტუიცია პროგრამების შერჩევისა და ძალიან დიდი რეპერტუარი, რომელსაც მე არ ვიცნობ. ზოგ რაღაცას მეც ვარჩევ, ვიგებ რომელი ნაწარმოებები არ შესრულებულა საქართველოში, ასეთი ძალიან ბევრია.

რ.ქ. – დღეს, როდესაც გურმანის მასტერკლასზე უკრავდნენ შოსტაკოვიჩის ტრიოს, გამახსენდა, რომ სულხან ცინკაძეს აქვს შესანიშნავი პრელუდიების ცილი ჩელოსათვის; ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე ძალიან კარგი სავიოლონჩელო კონცერტიც არსებობს ქართულ მუსიკაში. ხომ არ ფიქრობთ, რომ მომავალ ფესტივალზე შესრულდეს რაიმე ქართული ნაწარმოები?

ე.ვ. – ჯერჯერობით ვერ გეტყვით. ვნახოთ...

რ.ქ. – დღევანდელ მასტერკლასს დავისწარი, ძალიან ცოტანი იყვნენ მოსწავლეებიცა და მასწავლებებიც.

ე.ვ. – აქაურები მაინც უნდა მოხულიყვნენ.

რ.ქ. – ასე გვითხრეს, პედაგოგები ვერ აცდენენ გაკვეთილებს, ვინაიდან მოსწავლეები სოფლებიდან ჩამოდიანო. მე ვუთხარ, ათ გაკვეთილს უდრის ის ერთი მასტერკლასი-მეთქი.

ე.ვ. – ივივე ის მოხავლე, რომელიც ჩამოდის, იმანაც უნდა მოისმინოს ის გაკვეთილი.

რ.ქ. – დღეს მასტერკლასს ატარებდა მევიოლინე ინგოლფ ტურბანი. ვინაიდან ქართველმა სტუდენტმა, ვისაც მასტერკლას უტარებდა, შეთავაზებული ენბიდან აირჩია იტალიური, მასტერკლასი იტალიურად ჩატარდა. იქ კი ესწრებოდნენ მოწაფეები, ვინც არ იცოდა იტალიური და ალბათ, Allegro-accelerando-ს გარდა ვერაფერი გაიგეს. თუმცა მაინც, ეს გაკვეთილი ათ გაკვეთილს უდრიდა. ალბათ, მომავალში ამ ხარვების მოგვარება მოხერხდება.

მ.ჯ. – მასტერკლასებისათვის თქვენს მიერ ხდება სტუდენტების შერჩევა?

ე.ვ. – არა, ერთი გოგონა, ლიბა კაპანაძე, რომელიც ჩამოვიდა გერმანიიდან, მომისმენია. მევიოლინეც ქართველია, სწავლობს იტალიაში. უმთავრესად თბილისის

კონსერვატორიიდან ხდება შერჩევა.

რ.ქ. – ფესტივალის გარდა თბილისის კონსერვატორიასთან რაიმე კონცაქტი გექნებათ?

ე.ვ. – დიახ, 2014 წელის დეკემბერში არის დაგეგმილი მასტერკლასი.

რ.ქ. – ძალიან ნიჭიერი ბავშვები არიან, მაგრამ ახლა 4 წელიწადში მთავრდება ბაკალავრიატი, ცოტა დროა. მასტერკლასები შესანიშნავი რამაა, მაგრამ ამასთანავე უფრო სისტემატური რამაა აგრეთვე სასურველი.

მ.ჯ. – დიახ, დაანგრიეს სისტემა და ახლა ფიქრობენ, როგორ გამოასწორონ. სამწებაროდ, უმეტესობა ნიჭიერი ახალგაზრდებისა საბოლარგარეთ მიდის. როგორდა უნდა შენარჩუნდეს ის სკოლა, რომლითაც ვამაყობდით? ან ვინ უნდა ასწავლოს მომავალ თაობას?

ე.ვ. – ძალიან არ მომწონს ცვლილებები, რაც ხდება მუსიკალურ განათლებაში დღეს... თითქოს არავინ არ არის... მე ძალიან გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ შესანიშნავი ხმის პატრონი, შესანიშნავი მომღერალი მზია ნიორაძე, რომელმაც თელავის ფესტივალზე იმდერა, ცხოვრობს თბილისში და არსად არ არის დასაქმებული, შემოქმედებით ცხოვრებას არ ეწევა. მაშინ, როდესაც მხოლოდინობი ყველგან მდერის.

რ.ქ. – ახლახან, ჩვენს კონსერვატორიაში ჩატარდა პედაგოგთა კონკურსი, სადაც, მაგალითად, ვოკალისტებს დააკლდათ ქულა, რადგან არ ჰქონდათ ასპირანტურა გავლილი, არადა ეს ის თაობაა, რომლის დროსაც ასპირანტურა არ არსებობდა. წინა კონკურსზე, კინალამ ნოდარ ანდლულაძემ ვერ შეძლო კონკურსის გავლა, თურმე ნუ იყვით, ასპირანტურა არ ქონია დამთავრებული! სოსო კეჭაყმაძე დაითხოვეს კონსერვატორიიდან: „Oh he по профессии работал“ – ო.

ე.ვ. – სასაცილო არ არის?! როგორ შეიძლებოდა კეჭაყმაძის გაშვება?! ესაა დამღუპველი ჩვენი კონსერვატორიისათვის და ჩვენი თაობებისთვის!

მ.ჯ. – საქმე ისაა, რომ თბილისის კონსერვატორია ლამის მიღევად რეუიმშია, სამი კონსერვატორია კი გვაქვს, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის.

რ.ქ. – არა, იყოს, ბატონო, კონსერვატორია თბილისის გარდა სხვაგანაც, მაგრამ...

ე.ვ. – ასე არაა! ყველაფერს თუ დავარქმევთ კონსერ-

ვატორის, ის თავის მნიშვნელობას დაკარგავს. არ შეიძლება! სახელწოდებას ხომ არა აქვს მნიშვნელობა ... დონე იკლებს და კონსერვაციონიები კი მატულობებს ... საერთოდ, დონე უნდა ამაღლდეს ყველგან, დონის შენარჩუნება გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე დონის მოპოვება.

**მ.ჯ.** – სამწებაროდ, დონეს თითქოს ნელ-ნელა ვკარგავთ. ერთ ნელინადში დავკარგეთ ქართული მუსიკალური ხელოვნების ისეთი კორიფეუბი, როგორებიც იყვნენ ნოდარ ანდლულაძე, გიზი ამირეჯიბი, სოსო გეჭაყმაძე ...

**ე.ვ.** – ძალიან დამწყვიტა გული სოსომ, იმას კი არ ვამბომ, რომ სხვებმა არ დამწყვიტეს გული, გიზიმ, ნოდარ ანდლულაძემ, მაგრამ სოსო კეჭაყმაძე რაღაცნაორად დაუფასებელი წავიდა. უნიკალური კომპოზიტორი იყო! შეიძლება სწორედ მომავალ წელს შევასრულოთ სოსოს მუსიკა ფესტივალზე. ის კი არა, იმასაც ამბობდნენ, რატომ გამოიყენა თაქთაქშვილმა ფოლკლორით, რატომ არ უნდა გამოეყენებინა? აბა, ასეთი მარგალიოები გვაქვს!

**მ.ჯ.** – ცხადია, რუსმა კომპოზიტორებმაც, გნებავთ ვენის კლასიკოსებმა, სხვებმაც, განა არ გამოიყენეს ფოლკლორი?

**ე.ვ.** – რა თქმა უნდა, ეგრეა. სხვათა შორის, თაქთაქშვილს მშვენიერი გუნდები აქვს. შარშან მინდოდა კიდეც, რომ ბურაბ სოფკილავას შეესრულებინა „მეგრული სიმღერები“ „რესთავთან“ ერთად. შეიძლება მთმავალ წელს შესრულდეს.

**მ.ჯ.** – თქვენ იმედი გაქვთ, რომ მომავალი წლის-თვის სტუდენტობის დასწრებისა და მასტერკლასების საკითხი მოვგარდება?

**ე.ვ.** – დიახ, ეს აუცილებელია. რაც შეეხება მასტერკლასებს, ის, რაც ხდება, მიუღებელია ჩემთვის. შესაძლებელია მუშაობა უნდა ჩატარდეს სკოლებში, რომ ბავშვები დაესწრონ მასტერკლასებს, პედაგოგები ... თუნდაც თავისი გაკვეთილის ნაცვლად მასტერკლასებები მოიყვანონ.

**მ.ჯ.** – ბრუნერის მასტერკლასტები ძალიან მოუმზადებელი ბავშვები იყვნენ, განსაკუთრებით კლარნეტი, მის აკომპანიატორზე აღარაფერს ვამბობ. აკომპანიატორი ისე სცოდავდა, მონაფემ კიდევ კარგად გაართ-

ვა თავი. ალბათ, მასტერკლასებისათვის კონტინგენტი უფრო დაკვირვებით უნდა შეირჩეს. ასეთი კლასის მუსიკოსთან მასტერკლასტები რომ მოდის ბავშვი, ტექსტის ცოდნის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს და დრო ამაბეჭდიდან არ უნდა იხარჯებოდეს.


**ე.ვ.** – დიახ, მითხრეს. თვითონ ბრუნერიც ძალიან გაღიმიანებული იყო. ყოველ შემთხვევაში ამაბეჭდი ფიქრია საჭირო, ალბათ საჭიროა წინასწარ შერჩევა. ბევრია ისეთი პედაგოგიც, რომელსაც არ უნდა მოსწავლის გამოშვება მასტერკლასტები, სხვა პედაგოგთან. ასეთიც არსებობს ბუნებაში. ბებიაჩემის დროსაც იყვნენ ესეთები.

**მ.ჯ.** – რას ისურვებდით მომავალში თელავის ფესტივალისთვის?

**ე.ვ.** – ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ფესტივალი შედგებოდეს არა მხოლოდ კონცერტებისგან, არამედ გაკვეთილებს ჰქონდეს უმთავრესი მნიშვნელობა, იმიტომ, რომ თითქმის არ დარჩა მუსიკალური სასწავლებელი. წინათ ჰქონდა ეს დატვირთვა ჩეენ ფესტივალს და ამაბეჭდიან მწყდება გული. ამის აღდგენაზე უნდა ვიფიქროთ სწორედ.

**რ.ქ.** – მაში, იმედით დაველოდოთ მომავალი! წლეულს შესანიშნავი, დაუკინებარი დღეები გვაჩუქა თელავის ფესტივალმა, მომავალიც, მჯერა, ჩინებული იქნება!

საუბარი ჩანს 2013 წლის ოქტომბერს, თელავში.



# პრემიერა

## 27 ნოემბერი

ნანა ლორია

„თბილისს კონცერტინოს“ მსმენელთათვის არაერთი პრემიერა შემოუთავადებია. ამას წინათ კონსერვატორიის მცირე დარბაზში ამ საშემსრულებლო კოლექტივმა გიორგი შილაკაძის დირიჟორობით შეასრულა სიმებიანი ორკესტრისათვის განკუთვნილი ბიძინა კვერნაძის უცნობი სიმფონია. ეს ნანარმოები დაიწერა 1986 წელს ცნობილი გამომცემლის ჰანს სიკორსკის დაკვეთით და იმავე წელს შესრულდა შვეიცარიაში.

თავდაპირველად სიმფონია დიდი სიმებიანი ორკესტრისათვის, ანუ სიმფონიური ორკესტრის სიმებიანი ჯგუფისათვის იყო განკუთვნილი. შემდეგ გაკეთდა ვერსია კამერული სიმებიანი ორკესტრისათვის და ამ სახით მის შესრულებას, თვით კომპოზიტორის სიტყვებით, ლიანა ისაკაძე აპირებდა. სამწუხაროდ, ეს არ განხორციელდა. ბიძინა კვერნაძის სიმფონია 27 ნოემბერი

მანძილზე არავის გახსენებია. და აი, ამ ნაწარმოების შესრულებით „თბილისის კონცერტინომ“ პატივი მიაგო კომპოზიტორის ხსოვნას და აღნიშნა საიუბილეო თარიღი – ბიძინა კვერნაძის დაბადებიდან 85 წლისთვის.

აღმოჩნდა, რომ ნაწარმოები სრულიად დაუშავა ხურებლად იქნა მივიწყებული. მისი ემოციური ტონუსი შთამბეჭდავია თავისი სიმძაფრით და ექსპრესით. ეს ერთნაცილიანი სიმფონია მოიკავს ამ უანრისათვის ესოდენ აუცილებელ დაპირისპირებებს, განსხვავებული მუსიკალური სახეების შებრძოლებას. კონტრასტული ეპიზოდების თანმიმდევრობა ციკლურ ფორმასთან ინვერს ასოციაციას.

ბიძინა კვერნაძის მუსიკისათვის რამდენადმე უჩვენებლო დინამიკისა და სახოვან-ემოციური ტონუსის მუხედვაზე, სახეტეა კომპოზიტორის მუსიკალური ხელნერისათვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი – ტემპრული აზროვნება. მართალია, სიმფონია სიმებიანი საკრავებისათვის არის დაწერილი, მაგრამ სიმებიანთა ტემპრული ძალიან მრავალფეროვნად არის ნაწარმოდგენილი. ალაგ-ალაგ იგი დასარტყამ, თუ ჩასაბერ საკრავთა ხმოვანებასთან ინვერს ასოციაციას. თუმცა, ტემპრის თამაში არ არის თვითმიმდანი და ამის მიღმა ღრმა და ძლიერი გრძნობები გამოიხადება.

ტემპრული კოლორიტის ფუნქციის გაძლიერება გავლენას ახდენს ნაწარმოების მელოდიურ, ჰარმონიულ მხარეებზე. ასე, სიმფონიაში არ შევხვდებით გაშლილ თემებს. უფრო დამახასიათებელია თემატური იმპულსები, მათი ცვალებადობა და განვითარების მოულოდნებლი ვექტორი. სამაგიეროდ, იჩრდება მოლივლივე ტემპრული სივრცე მუსიკალური აზრის დენადობით და ტალისებური განვითარებით.

ამ სიმფონიამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ თავის დროზე ბიძინა კვერნაძე შელიდა ქართველი კომპოზიტორების ნინაშე მომზიბლავ მხატვრულ ჰორიზონტებს და მუსიკალური გამომსახველობის ახალ შესაძლებლობებს. თავისი პიტიური შემოქმედებითი ენერგიით კი, იგი ალვივებდა მსმენელში სილამაზით ტკბობის უნარს.

ამავე კონცერტში მსმენელთა წინაშე მომღერლის ამპლუაში წარსდგა ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოსი – კონსერვატორის კურსდამთავრებული პიანისტი სა-

ლომე ჯიქა. იგი არის შესანიშნავი ვოკალური მონაცემების მფლობელი და ნამდვილად იმსახურებს მეტყურადღებას, ვიდრე დღეს მე მას ვუთმობ. მაგრამ ამ მოკლე წერილის მიზანია მკითხველისათვის ბიძინა კვერნაძის უკნობი სიმფონიის აუდირებით გამოწვეული შთაბეჭდილების გაზიარება.

დიდი ძადლობა „თბილისის კონცერტინოს“ მისი ენთუზიაზმისთვის და მსმენელთათვის მინიჭებული სიამოვნებისათვის.

P.S. ბიძინა კვერნაძე იყო არა მარტო შესანიშნავი კომპოზიტორი, პედაგოგი, დიდი ავტორიტეტის მქონე მუსიკოსი, არამედ იშვიათი შინაგანი კულტურის მქონე ადამიანი, მოკრძალებული და სულით სპეციალისტი. მასთან შეხვედრა დიდი სიხარულის მომტანი იყო და მე, ალბათ ისევე, როგორც სხვები, ხელიდან არ უუშვებდი ამ შესაძლებლობას. ერთხელ დეკანატში შემოსულ ბატონ ბიძინას გაუმასპინძლდი ყავით. მას მერე წლების მანძილზე ოთხშაბათობით (ეს მისი სამუშაო დღე იყო) 12 საათზე 15-წუთიანი შესვენების დროს იგი მორიდებულად შემოაღებდა კარს დეკანატში და მეტყოდა: „წანა, შენ ახლა არ შეწუხდე, მე არაფერი არ მინდა“. რა თქმა უნდა, ყავა უკვე მშად იყო და იწყებოდა ჩვენი ხანმოკლე „პაემანის“ ბედნიერი წუთები, რომლებიც სამუდამოდ დარჩა ჩემს გულში.



# „New ნაზიმი“

ტრადიციული ხელოვნების ფესტივალი თელავში

ჩეთევან გაიავილი

უკვე რამდენი წელია, თელავის შემოდგომას ელისო ვირსალაძის ფესტივალები ამშვენებს. თელაველები, განებივრებულნი ამ განსაკუთრებული პრივილეგიით, წელს კიდევ უფრო გალაღდნენ. 2013 წლის 13-დან 19 ოქტომბრამდე თელავის ნაზიმარის პარკში გაიმართა მეორე ფესტივალიც – ე.ნ. ნადიმი, რომელიც ტრადიციული ხელოვნების და კულტურის დარგების განვითარებას ისახავს მიზნად და კულტურათა და ტრადიციათა შერწყმას გულისხმობს.

ფესტივალის ორგანიზაციორები: ფონდი TRAM, პლატფორმა ხელოვანთა და ფილოსოფოსთათვის TASWIR (გერმანია), თელავის კულტურის სამსახური, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი (ბუდაპეშტი), ილიას უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი, თიხის ოფისი, აბრეშუმის სახელმწიფო მუზემი, საქართველოს ტექსტილის ჯგუფი, სათემო განვითარების ცენტრი.

მხარდამჭერები და პარტნიორები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, კახეთის მაურიტარის ოფისი, თელავის მუნიციპალიტეტი და გუბერნატორის ოფისი, მედია-კაფე თელავი, DVV International Georgia, World Vision Georgia, გოთეს ინსტიტუტი საქართველოში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

ფესტივალზე წამყვანი სფეროები იყო კერამიკა, ტექსტილი (საფეიქრო) და ხალხური მუსიკა. გაიმართა საერთაშორისო გამოფენები, პროფესიული და საბოგადოებრივი ვორკშოფები, დისკუსიები, მასტერკლასები და კონკერტები. ე.ნ. ნადიმის ამოკანა – უნიკალური, რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციების შენარჩუნება, მათი განვითარება, მაღალი ხარისხის და შინაარსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შემსავება და ბუნებრივი გზებით თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. ფესტივალის კვირის ორი

შუადღე (19-20 ოქტომბერი) და ეთმო სალხურ სიმღერას. ამ იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი — ანა რიაბოშენკო და მართა თაბუკაშვილი, განმახორციელებელი ნინო კალანდაძე-მახარაძე და თამაზ გაბისონია — კარგად ცნობილი ეთნომუსიკოლოგები, ხალხური სიმღერის შემკრებელ-მკვლევრები იყვნენ. ორი დღის განმავლობაში უხვად უფინებოდა თელავს მაღლიანი კახური სიმღერის ჰანგები.

ამ ფესტივალის უპირატესობა სხვა ხალხური სიმღერის ფესტივალებისგან განსხვავებით ის იყო, რომ აქამდე უცნობი კოლექტივები წარმოჩნდნენ იმ ცნობილი და სახელგანთქმული შემსრულებლების გვერდით, რომლებიც საბოგადოების წინაშე არაერთგზის წარმდგარან. განსაკუთრებით სასიხარულო ბავშვთა კოლექტივების გამოჩენა იყო. მიუხედავად ერთგვარი გეოგრაფიული შეზღუდვისა, მაინც მრავალფეროვანი იყო პროგრამა. აშკარად იგრძნობოდა ორგანიზატორთა მცდელობა ერთგვაროვნებით არ შეენუხებანათ მსმენელები. ვინაიდან, კახეთის თითქმის ყველა რაიონი მონაწილეობდა, საინტერესო იყო საშემსრულებლო თვალსაზრისითაც. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, გურჯაანის, დედოფლისინწყაროს სხვადასხვა საშემსრულებლო ჯგუფები (სამწუხაროდ, სიღნაღის ანსამბლმა ფესტივალში მონაწილეობა ვერ შეძლო). აშკარად გამოკვეთილი იყო მღერის განსხვავებული სტილები, მანერა, ტრადიციული და ახალი, საბჭოური და პოსტსაბჭოური მუსიკალური მიმდინარეობები. ასე რომ, ფესტივალს, გარდა მხატვრულისა, მეცნიერულადაც სწორად გათვლილი ფუნქცია ჰქონდა, რაც გამოიხატება რეპერტუარის არაერთფეროვნებაში, გარდა ამისა, მხედველობაში იყო მიღებული კახეთის ამა თუ იმ კუთხის ტრადიციული თუ ინოვაციური საშემსრულებლო თავისებურებები და ახალი და უცნობი, ძველი, მივიწყებული ვარიანტები წარმოჩნდა. გარდა უშუალოდ სიმღერებისა, შესრულდა საფერებულო და საცეკვაო, კომპოზიციები ცეკვა-სიმღერით, ხალხური სიმღერების პოპურები, ქალთა, მამაკაცთა, ბავშვთა შესრულებით. ფესტივალის ორგანიზატორთა ძალისმევით, უპირატესობა ავთენტურ შემსრულებლობას ენიჭებოდა. თუმცა სასცენო ტრადიციების ევროპული სტილის მიმდევრებიც

გამოჩნდნენ და ბავშვების მიერ კახური სიმღერის შესრულებისას მოისურვეს დირიჟორული ნორმების დაცვა. ძალიან დასაფასებელი იყო ერთი ანსამბლის ორი (ძველი და ახალი) თაობის ერთად და ცალკე სიმღერა. მაგ., გურჯაანის რაიონიდან ანსამბლი „ხარება“ და დედოფლისწყაროს „ხორნაბუჭი“ ამის შესანიშნავი მაგალითია.

კახური სიმღერის ფესტივალმა აშკარად ცხადშეყო ასეთი ფესტივალების საჭიროება. ფესტივალის პროგრამა ითვალისწინებდა შემსრულებლებისა და ეთნომუსიკოლოგთა შეხვედრასაც, რამაც თავისი ნაყოფი გამოილო: მუსიკოლოგის დოქტორებმა ნინო კალანდაძემ და თამაზ გაბისონიამ — ილიას უნვერსიტეტის ეთნომუსიკოლოგის მიმართულების ასოცირებულმა პროფესორებმა, თბილისის კონსერვატორის მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელმა ემერიტუს-პროფესორმა რუსუდან წურწუმიამ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური განყოფილების გამგემ, ეთნომუსიკოლოგმა ნანა ვალიშვილმა და სხვა, ანსამბლების ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს გაუნიერს მეთოდური დაბარება: განუმარტეს ძველი, ან დაკარგული სიმღერების ძებნის საჭიროება. ასევე გადაეცათ ლიტერატურაში არსებული და მიკიწყებული სიმღერებისა და რიტუალების სია, რომელიც, იმედია, შემდეგი ფესტივალისთვის ბევრ სიახლეს შესძენს თანამედროვე შემსრულებლებს. ფესტივალის ხელმძღვანელობამ მონაწილე ანსამბლებს მეტად ღირებული საჩუქრები გადასცა: ეს იყო ხალხური სიმღერების ძველი ჩანაწერები, გასახმოვანებელ აპარატთან ერთად, რაც მათ შემდგომ მუშაობაში დიდად წაადგებათ. ეს არ იყო მხოლოდ საშემსრულებლო ფესტივალი, არამედ მას ბევრად დიდი მიზანი და სიმღერის შემსრულებლობაში მეთოდური დაბარებების ფუნქციაც ჰქონდა. ეს კი, მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიება სამომავლოდ. ალბათ აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხური სიმღერის ფესტივალი თელავში ელისონ ვირსალაძის ფესტივალის პარალელურად მიმდინარეობდა. ჩამოსული სტუმრებისათვის, სწორედ რომ მისწრება იყო — მათ საშუალება მიეცათ რაფინირებული კლასიკური მუსიკის გვერდით ტრადიციული მუსიკის ძირძველი და ძარღვიანი კახური სიმღერაც მოესმინათ.



პავლი ანდონიშვილი „ალექსი“ ცერემონიაზე

ეს ნამდვილი ფუფუნებაა, არც მეტი და არც ნაკლები. რაც შეეხება თვით შემსრულებლებს: ჯერ ბავშვთა ან-სამბლების ქება უნდა ითქვას. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 3 საბავშვო კოლექტივი: სოფელ მარტყოფის სამუსიკო კოლესის ბავშვთა გუნდი „აკრიანი“ ეკა შოშიაშვილის ხელმძღვანელობით, ყვარლის ბავშვთა გუნდი ვასილ კორნიენკოს ხელმძღვანელობით და წნორის „ამერ-იმერი“ თკიო შერგაშიძის ხელმძღვანელობით. სასიამოვნოა, რომ სამივე გუნდს მკაფიოდ გამოხატული საშემსრულებლო მანერა და მხატვრული სტილი აქვთ. რაოდენ სასიარულოა, რომ ბავშვთა ანსამბლები სულ უფრო და უფრო უკეთ უფლებიან სასიმღერო ტექნიკასა და ავთენტური, კიდევ მეტი, სინკრეტული შესრულების საიდუმლოს ებიარებიან. მას შემდეგ, რაც ქართული სიმღერის უმეტესობის სოციალური საფუძვლი მოიშალა სოფლად და მუსიკალური ფოლკლორი სცენაში შეიფარა, საშემსრულებლო მანერა იყო და არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტი არტიკულაციასთან ერთად, რაც ავთენტურობას უნარჩუნებს ტრადიციულ მუსიკას. სამწუხაოოდ, არც კი მოიხსენიებენ სინკრეტულ შემსრულებლობას, რომელიც ერთი, რომ ხალხური სიმღერის მთავარი მახასიათებელია და მეორეც, შესრულებისას შემსრულებლის ინდივიდუალობისა და ავთენტურობის მსახლეობრივია. ამდენად, განსაკუთ-

რებულად დასაფასებელია ანსამბლ „აკრიანისა“ და წნორის „ამერ-იმერის“ მიერ უკვე ჩვევაში გამჯდარი სინკრეტულობა (აյ იგულისხმება სიმღერა-ფერხულების, შაირების და სიმღერა-ცეკვის იმპროვიზაციული შესრულება). ვასილ კორნიენკომ კი შესრულების საბჭოური მანერა აირჩია დირიჟორობითა და ხმებში უნისონებით, რაც ხალხური სიმღერის წარსულია და თანამედროვეობას არ შეესაბამება. შესაძლოა ცოტა მკაცრად განვსჯი, მაგრამ ნამდვილად დადგა დრო, ქართული სიმღერის შემსრულებლობაში წინ გავიხედოთ და არა უკან. მით უმეტეს, რომ თვით ვასილი, შესრულებისას შესანიშნავად მღერის და ავთენტურობისკენ იხრება. შესაძლოა, ეს ბავშვთა სიმრავლითაც აიხსნას, თუმც ეს მხოლოდ ახსნა იქნება და არა გამართლება. ასევე გაუგებარია ქრომატიული ფანდურის გამოყენებაც. თუმცა ეს შენიშვნებია, რომლის გამოსწორება შესაძლებელია, მთავარია, რომ ყვარლის გუნდი არსებობს და მრავალი გულანთებული ბავშვი მღერის ხალხურ სიმღერას. ამისთვის კი ნამდვილად მაღლობა ეკუთვნის ვასილ კორნიენკოს. ანსამბლ „აკრიანის“ ჭეშმარიტად ხალხური მანერა და ბავშვთა შესანიშნავი ხმები, არაჩვეულებრივი რეპერტუარი მეტად შთამბეჭდავი იყო. განსაკუთრებული შემთხვევა ახლდა წნორის „ამერ-იმერის“ შესრულებას: ის ორი დღე თელავში აცივდა და ძლიერი ქარი ქროდა, ამერ-იმერის სცენაზე შედგომას (კონცერტები ნადიკვარის პარკში, ლია ცის ქვეშ იმართებოდა), წვიმა და ემთხვევა. ბავშვებმა ნირნაუხდენლად დაიწყეს სიმღერა, მსმენელი შეწუხდა და სცენას შეაფარა თავი. ბავშვებმა ლაბარეს სიმღერა დაიწყეს (ამინდის მართვის სიმღერაა), სიმღერა დამთავრებული არ ჰქონდათ და ვიღაცამ დაიძახა – ხალხო, ცას შეხედეთო და გასაოცარი სანახაობა დავინახეთ – ცა ორმა ულამაზესმა ცისარტყელამ გადასერა. წნორელთა სიმღერამ გაჭრა, წვიმა შეწყდა!.. შესაძლოა, ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა, ფაქტია. წნორის „ამერ-იმერი“ აგერ უკვე რამდენი წელია, ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ბავშვთა ეთნომუსიკის თეატრის ნაწილია. თკიო შერვაშიძე, ამავე სტუდიის აღმრდილი და ამჯერად ანსამბლ „მთების“ წევრი, გულმოდვინედ უძღვება ამ საბავშვო ანსამბლს. მათ საკმაოდ მდიდარი

რეპერტუარი აქვთ და თანდათან სულ უფრო უკეთ და უკეთ სწორებიან ხალხური რიტუალებისა და სიმღერის სილრმეებს. სამივე ანსამბლს წარმატებას ვუსურვებ, კიდევ ბევრჯერ გაეკვირვებინოთ მაყურებელი ქართული სიმღერის მადლით.

რაც შეეხბა უფროსებს, აქ მთავარი სათქმელი ქართული სიმღერის შესრულებისადმი აშკარად ჯანსაღი დამოკიდებულებაა: მხედველობაშია რეგიონული სტილი, მანერა, ტრადიციული რეპერტუარისადმი ერთგულება, არტიკულირება, სინკრეტულობა. ფესტივალის ორგანიზატორთა მაღალი პროფესიონალიზმით უნდა აიხსნას ხალხური სიმღერის შეძლებისდაგვარად უანრული მრავალფეროვნებისა და ფოლკლორში შემოჭრილი ინოვაციების, ტრადიციული თუ ახალი ტრადიციების წარმოჩენა. ფესტივალი წინანდლის ცნობილმა ჯგუფმა გახსნა – „მრავალფამიერის“ შესანიშნავი შესრულებით. ეს კოლექტივი კარგა ხანია მსმენელის დიდი სიყვარულით და მოწოდებით სარგებლობს. ლევან აბაშიძეს (ამ ცნობილი ანსამბლის ან გარდაცვლილი ხელმძღვანელი) შემდეგ, მას გიორგი ურჩებიშვილი უდგას სათავეში. სასიამოქნა, რომ ანსამბლი არ დაიძალა და კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას. ჩვენ კვლავ მოველით მათგან ახალ ვარიანტებსა და მრავალ წარმატებას. დასამახსოვრებელი იყო „მოკლე მრავალფამიერი“ და „გოგოვ, გოგოვ, შავთვალა“ თელავის მუნიციპალიტეტის ანსამბლის (ხელმძღვანელი ტეტილ ტეტაშვილი) შესრულებით. დედოფლისწყაროდან „ხორნაბუჯმა“ გიორგი ცერცვაძის ხელმძღვანელობით ორი თაობის შემსრულებლები წარადგინა ფესტივალზე. მომხიბვლელი ხმებითა და მშვენიერი ინტერპრეტაციით შეასრულეს, „გამთარი“, „სხვათა მოჯამაგირობას“ და „ვისაც რა უნდა უყვარდეს“. შემდეგ სცენა ალვნიდან ანსამბლ „კესელოს“ დაეთმო. ახმეტის რაიონი თავისი მოსახლეობის სიჭრელით გამოირჩევა კახეთის კუთხებისგან, ამდენად მეტად საინტერესო მხარეა შემსრულებლობის თვალსაზრისით. „კესელო“ თუშური სიმღერის შემსრულებელ ქალთა ჯგუფია. მათ კულტურის სახლის დირექტორი რევაზ ორბეთაშვილი ხელმძღვანელობს. საკმაოდ ვრცელი რეპერტუარი აქვთ, ფესტივალზე წარმოადგინეს 4 სიმღერა გარმონისა და ფანდურის თანხლებით. საინტერესო იყო



ანააბლი „ხარება“ გურაანიან

მათ მიერ შესრულებული კომპოზიცია. აქ თავმოყრილი იყო სატრიუალო სიმღერა, ლექსი და ცეკვა. ეს არის ხალხურ მასალაზე აგებული კომპოზიცია, სადაც სინკრეტიზმიდან გამოყოფილი სამი ელემენტი ერწყმის ერთმანეთს და ფოლკლორული სინთეზის ნიმუშად გვევლინება. ასეთი სინთეზური ფოლკლორის მაგალითები გვხვდება გასული საუკუნის დასწყისში და განსაკუთრებით საბჭოთა საკლუბო შემსრულებლობაში, იდეოლოგიური ხსიათის სარეკლამოდ. ასეთი თეატრალიზებული სცენები საბჭოურ სასკოლო ღონისძიებებსა და ოლიმპიადების რეპერტუარშიც შეინიშნება. უნდა ითქვას, რომ ამ კომპოზიციამ მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

სოფელ ართანიდან სახელგანთქმული ანდრო პაპას (სიმაშვილის) ხელმძღვანელობით ანსამბლმა „შემოძახილმა“ შეასრულა „ჩაკრულო“ და „საცეკვაო“, რომელიც თანდურზე ვირტუოზულად შეასრულა ვასილ კორნიენკომ. ანდრო პაპამ კი ამჯერად შემოგვთავბრა ხალხური სიმღერების კომპოზიცია „ვაზისა და ლვინის საგალობელი“. ალფროვანებას იწვევს ვანო პაპას ჩაუქრობელი ენთუზიაზმი, ხალხური სიმღერისადმი სიყვარული და ერთგულება. ენერგიული მოხუცი ახალგაზრდული შემართებით დგას სცენაზე ახალგაზრდების გვერდით და საუკეთესო მაგალითს აძლევს

ყველას. კიდევ მრავალჯერ გაეხარებინოს ვანო პაპას ქართველი მსმენელი თავისი სიძლერით.

ქალთა ანსამბლმა „ნაინიაშ“ თელავიდან (ხელმძღვანელი ნინო ბაქრაძე) შეასრულა „ქება თუში გმირისა“, „შაშვო ლამაზონ“, შაირები და „ბახტონიდან გიცქერდი“. ანსამბლი დიდი ხანი არ არის რაც ფუნქციონირებს და მეტად კარგი ხმებით გამოირჩევა. ვიმედოვნებთ, მათ ბევრი სასიკეთოს გაკეთება შეუძლიათ, მით უმეტეს, რომ კახეთში არსებული ანსამბლების უმეტესობა მამაკაცთა რეპერტუარს ასრულებს შემადგენლობის შესაბამისად. ამდენად, ქალთა ანსამბლს მეტი გაფრთხილება და ხელისშეწყობა სჭირდება.

ახმეტიდან თუშების გარდა ნარსდგა მამაკაცთა ანსამბლი რომან ძიძიგურის ხელმძღვანელობით. ჭეშმარიტად საქებარი ეკუთვნის ამ ანსამბლს, შესანიშნავად შესრულებული ალილოსა და ფერხულის გამო. ახმეტიდან კიდევ ერთი ანსამბლი იყო — „ბახტონი“ ვანო ჭილიტაშვილის ხელმძღვანელობით. ვანო ცნობილი ლოტბარის გიორგი ჭილიტაშვილის ვაჟია. მათ ამ საინტერესო მოღვაწის საავტორო სიმღერები შეასრულეს. კარგია, გიორგი ჭილიტაშვილის მეტკვიდრეობის წარმოჩენა, მეორეს მხრივ, სასურველია, იმ ტრადიციული სიმღერების ვარიანტების შესრულება, რომლითაც გამოიჩინდა ბატონი გიორგის გუნდი. არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა გურჯაანის ანსამბლმა „ხარბაშ“. შესანიშნავი ხმები და ტრადიციული გურჯაანული შესრულება, რომელიც სიმღერის ჩახვევის ტექნიკითა და ფრაზეოლოგით განსხვავდება დანარჩენი კახელების კუთხერი სიმღერებისაგან. სოფელ კაკაბეთიდან „შემოძახილი“ და „გარეკახური საჭიდაო“ შესანიშნავი იყო. საგარეჯომ მომღერალთა უფროსი და ახლგაზრდა თაობები წარმოაჩინა. ეს ფაქტი ძალიან სასიამოვნო და იმედის მომცემია.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ეთნომუსიკოლოგიურ სივრცეში სოფელი შილდა განთქმულია მომღერალი ქალებით. ფესტივალზე ახალი ქალები გამოჩენენ. „ნელქარისი“ — მათი სოფლის ძველი სახელი დაურქმევით ანსამბლისთვის. ამჯერად მათ მიერ შილდური „ელია“, პოპური ფანდურის თანხლებით, დიდება და საფანდურო შესრულდა. დორა მირზიაშვილის შესრულებით „მწყემსური“ ფანდუ-

რის თანხლებით შესანიშნავი ნიმუშია ქალების მიერ მამაკაცთა სიმღერების შესრულების ერთგვარი ტრადიციის დღესაც არსებობისა. კარგია და იმედით გვავსებს ამ ქალბატონების მოღვაწეობა — შილდური ტრადიციები არ დაიკარგება.

ანსამბლმა გურჯაანიდან ილია დათუაშვილის ხელმძღვანელობით სანაქებოდ შეასრულა „ნამგლური“, „ლალე“ და „კახეთისადმი“ ლევან მუდალაშვილის რეპერტუარიდან (შესანიშნავი ქალაქური ტიპის სიძლერა, შესანიშნავად შესრულებული).

საგანგებო აღნიშვნის ღირსია თელავის ანსამბლი „პატარა კახი“ (ხელმძღვანელები — ბექა და გოჩა ბიძინაშვილები), რომელთაც ქარის გაძლიერების გამო, მხოლოდ ორი სიმღერა — „ლმერთო, ლმერთო“ და შილდური „ჩაკრულო“ შეასრულეს. ბექა და გოჩა ბიძინაშვილები თბილისის სასულიერო აკადემიის უმაღლესი სამგალობლო სკოლის აღმრდილები არიან. ისინი მამადავითის მგალობელთა გუნდშიც გალობდნენ და ანსამბლ „სახიობაშიც“ მღეროდნენ (ხელმძღვანელი — ცნობილი ეთნომუსიკოლოგი და სიმღერა-საგალობლების უებრო მკოდნე, შემსრულებელი და მკვლევარი — მალხაზ ერქვანიძე). ამდენად შესანიშნავი სკოლა აქვთ გავლილი: გარდა იმისა, რომ ზუსტად ქართულ, ამ შემთხვევაში კახური სიმღერის კილოს ზედმინევნით ზუსტად იცავენ, უნარი შესწევთ არაჩვეულებრივად გადმოსცენ სიმღერის დაფარული მუხტი, არქიტექტონიკა და დრამატურგია. მართლაც შესაშურია, ამ ორი ახალგაზრდა კაცის მაღალი პროფესიონალიზმი. სწორედ ასეთი ამაღლებული და შეუდრეველი სიმღერით დასრულდა თელავის ქარიანი ფესტივალი წარიგვარზე.

დასრულდა თელავის ხალხური სიმღერის ფესტივალი და მის მსმენელებს კიდევ ერთხელ თან გამოგვყვავა კახური სიმღერის შედიდურება, სიდინჯე, სიაძაყე, სითბო და სიყვარული ჩაგველვარა სულში, იმედით აღგვავსო კახური სიმღერის დღემდე ამოუცნობმა მადლმა და მოუთმენლად ველით მომავალ წელს. ფესტივალის ორგანიზატორები გვპირდებიან მრავალწლიან თანამშრომლობას. მდაბლად ვუხრით თავს მონაწილეებს და რაც მთავარია, მის ორგანიზატორებს. მადლობა ამ სიტყბოებისთვის, არ მოგვიმალოს სიმღერა კახეთსა და მთლად საქართველოში.



ნორი საჩვალი, რესუდან ცერცემია, თეო ლომსაძე, ვაია კაჭაჭიშვილი, ქოთევან ბაიაშვილი, მაკა სარპიანი

# 10 წლის იუბილე

(ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი)

რესუდან ცერცემია

2013 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს დაარსებიდან 10 წელი შეუსრულდა.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს ვულოცავ დაარსების ათი წლისთავს! მინდა ეს მილოცვა ასევე გავავრცელო ქართველ ეთნომუსიკოლოგებსა და მუსიკისმცოდნებებებს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაზე და მთელს საქართველოზეც, რადგან ნადვილად საამაყოა საქართველოში არსებობდეს მსოფლიო რანგის ნამუკანი კვლევითი ცენტრი.

## ფოლკლორი

ამ ცენტრის დაარსების ყველაზე დიდი ფაქტორი იყო ის საოცარი ფენომენი, რასაც ქართული მრავალხმიანი სიმღერა წარმოადგენს. ჩვენი უღრმესი მადლობა ეკუთვნით იმ დიდებულ ადამიანებს, ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც შექმნეს და ჩვენამდე მოიტანეს ეს საოცარი საგანძურო.

მნდა ასევე უღრმესი მადლიერებით გავიხსენო ისინი, ვინც თავიდანვე დაუჭირა მხარი და დიდი ღვაწლი შეიტანა იმაში, რომ საქართველოში მომადგებულიყო ასეთი ცენტრის შექმნის საფუძველი: ალექსანდრე შავერბაშვილი, რომელიც აქტიურად უქმნდა მხარს თბილისში მრავალხმიანობის პირველი საკავშირო კონფერენციის ჩატარებას, გა ყანჩელი, რომლის დახმარებამაც მისცა ბორჯომის კონფერენციებს საერთაშორისო ეფუძნობის უზრუნველყოფით, ედიშერ გარაფანიძე, რომელიც თავიდანვე წამყვანი ძალა იყო კონფერენციებზე აუდირებული ქართული სიმღერის კონკურსებისა, მანანა დოკუმენტით, რომლის მხარდაჭერა გადამწყვეტი იყო თვით ცენტრის შექმნაში 2003 წელს. განსაკუთრებით მინდა აღვინიშნო ცენტრის ხელმძღვანელის, რუსუდან წურნუმის თავდადებული და უდავოდ წარმატებული შრომა ამ ათი ნლის განმავლობაში.

დღეისათვის მრავალხმიანობის საკითხების შესწავლა თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი სფეროა. ავსტრიაში, რუსეთში, ესტონეთში, თაივანში, პორტუგალიაში ეწყობა კონფერენციები, გამოდის წიგნები და კრებულები, ცოტა ხნის წინ დაარსდა ICTM-ში მრავალხმიანობის შემსწავლელი ჯგუფი. თანდათანობით ხდება იმის გააზრება, რომ მრავალხმიანი სიმღერა არის არა მარტო საოცარი კულტურული ფენომენი, არამედ ხალხთა შორის ჰარმონიული ურთიერთთანამშრომლობის ძლიავრი სიმბოლოც, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ამ ყველაფრის ბიძვი სწორედ ჩვენი კონფერენციები და სიმპოზიუმები, ჩვენი ცენტრის არსებობა გახდა.

მთელს საქართველოსთან ერთად ვამაყობ, რომ საქართველოს ასეთი წამყვანი ადგილი უჭირავს მრავალხმიანობის კვლევაში და კიდევ ერთხელ ვულოცავ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს და მის ყველა თანამშრომელს დაარსების ათი ნლისთავს. კიდევ მრავალ ახალ წარმატებას, კიდევ მრავალი ახალი უკვერელი მეცნიერის შექმნას, კიდევ მრავალი ახალგაზრდა ქართველი ეთნომუსიკოლოგის გაზრდას ვუსურვებ!

იოსებ უორდანია

ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ თხრობა ჩვენი ცენტრის შესახებ სოსოს მოლოცვით დავიწყე, იგი 80-იან წლებში თბილისის კონსერვატორიაში გამართული კონფერენციების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო და სწორედ მისი დამსახურება გახლდათ, რომ ამ კონფერენციებმა იმთავითვე დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვიეს. მაშინ მას დღეს უკვე საქვეყნოდ აღიარებული რუსი ეთნომუსიკოლოგი, დღეს ამერიკაში მქონებები იჩალი ბეჭედოვნები ეხმარებოდა. კარგად მახსოვს, მეორე კონფერენციაზე, რომელიც 1986 წელს ბორჯომში კომპოზიტორთა სახლში ჩატარდა, უკვე გამოითქვა საქართველოში ასეთი ცენტრის შექმნის იდეა. 1990 წლიდან, გასაგები მიზეზების გამო, ეს კონფერენციები შეწყდა და მათი აღდგენა მხოლოდ 1998 წელს გახდა შესძლებელი. ისიც კარგად მახსოვს, მაშინაც და 2000 წელსაც ჩვენს კონფერენციას სულ ორიოდე უცხოელი ესწობოდა. 2001 წელს იუნესკოს მიერ ქარ-

თული პოლიფონიის აღიარებამ კაცობრიობის ბეპირი და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად ახალი სტიმული გააჩინა. მაშინ ამაში დიდი წვლილი შეიტანა ანზორ ერქომაიშვილმა, რომლის ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრთან ერთად კონსერვატორიამ 2002 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის | საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარა. მრავალხმიანობის კონფერენციების სიმპოზიუმად სახელდების იდეა მაშინდელ რექტორს მანანა დოკუმენტილს ეკუთვნოდა.

სწორედ ამ სიმპოზიუმზე გადაწყდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაარსება, რაშიც გადამწყვეტი როლი სიმპოზიუმის მონანილეების – ქართველი და უცხოელი მეცნიერების, მათ შორის, მსოფლიოში აღიარებული ეთნომუსიკოლოგების – იჩალი ბეჭედოვნების (აშშ/რუსეთი), დიეტრ ქრისტენსენის (აშშ), სიმპა არომის (საფრანგეთი),

ფრანც ფოედერმაირის (ავსტრია), იოსებ უორდანიას (საქართველო/აგსტრალია) და სხვათა დიდმა ენთუ- ბიაზმა და ოუნესკოს მხარდაჭერამ შესარულა. ჩვე- ულებრივ, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია დიდ ყუ- რადღებას უთმობს მის მიერ აღიარებულ კულტურულ ღირებულებებს. ამიტომ ოუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექციის დირექტორი ქ-ნი ნორიკო აიკავა აღიარებიდან ერთი წლის შემ- დევ სიმპოზიუმს სტუმრობდა. წარმოიდგინეთ, როგორი იყო მისი გაოცება და აღტაცება, როდესაც სიმპოზიუმის კონცერტებზე კონსერვატორიის დიდ დაბაზში ქარ- თულ ხალხურ სიმღერაზე ადგილობრივი აუდიტორიის რეაქცია იხილა. მისივე სიტყვებით, მან დაინახა, რომ ქართული მრავალხმიანობა – ცოცხალი ტრადიციაა და არა მხოლოდ სკენაზე შემორჩენილი კულტურული რედიქტორი, რომ მას ქართული საზოგადოება აღიქ- ვამს, როგორც წინაპრებისგან მიღებულ მემკვიდრეო- ბასა და მისი იდენტობის სათავეს და, ამიტომ, იგი დიდ მხარდაჭერას იმსახურებს.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ დიდი ფინანსური დახ- მარებისა, რომელიც მაშინ მიღო კონსერვატორიამ ტრადიციული მრავალხმიანობის ახლადდაარსებული ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობისა და პირველი ეფა- ზის სამუშაოებისათვის – 2003-2006 წლებში საქართ- ველოში იუნესკოსა და Japanese Funds-in Trust-ის ერთობლივი მსხვილიუჯეტინი პროექტის „ქართული პოლიფონის დაცვა და განვითარება“ ფარგლებში პრაქტიკულ სამუშაოს – სამი წლის განმავლობაში რე- გიონებში ლოტბართა სკოლების მუშაობას ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილის ქართული ხალხური სიმღერის საერ- თაშორისო ცენტრი ხელმძღვანელობდა, ხოლო პრო- ექტის ბიუჯეტის მეორე ნაწილი, რომელიც 80 ათას ლარს შეაგვენდა, ჩვენი კვლევითი ცენტრის ტექნი- კური აღჭურვის გარდა საველე ექსპედიციებს, გამო- ცემებს, ვებ-გვერდისა და კომპიუტერული მონაცემთა ბაზის შექმნას მოხმარდა. აქედან დაიწყო ცენტრის ნა- ყოფიერი ურთიერთობა იუნესკოსთან, რასაც შემდევ მოჰყვა ჩემი, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტის თანამშრომლობა ამ საერ- თაშორისო ორგანიზაციასთან.

10 წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო კონ-



გვერდი 10 წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მემკვიდრეობის შედეგების გამოსახულია და ჩვენს ვებ-გვერდზე გვითხოვთ.

სერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლე- ვის საერთაშორისო ცენტრმა დიდი სამუშაო გასწია – ჩაატარა ხუთი (II-VI) საერთაშორისო სიმპოზიუმი (ამჟამად ვემზადებით მეშვიდესოფის, რომელიც 2014 წლის 22-26 სექტემბერს შედგება), მიღო 80-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნიდან. სიმპო- ზიუმების კონცერტებში მონაწილეობა მიღო ხალხუ- რი სიმღერის 800-ზე მეტმა ქართველმა და უცხოელმა შემსრულებელმა, გამოსულია და ჩვენს ვებ-გვერდზე გვითხოვთ.

კრებული (მექენისეს – მომავალ სიმპოზიუმზე მიღებენ მეშვიდე სიმპოზიუმის მონაწილეები), გამოსულია ცენტრის 14 ბიულეტენი, განხორცილებულია არა ერთი პროექტი, მათ შორის, ვენის ფონოგრამარქივთან ერთად, საქართველოში არსებული ფონოგრაფის ცვილის ლილვაკების ჩანაწერების 16 დისკის გამოცემა (2006-2008); გამოსაცემად მოამზადა ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგის ესეების კრებული Echoes from Georgia: 17 Arguments on Georgian Polyphony, რომელიც 2010 წელს დასტამბა ნიუ-იორკის გამოცემლობა Nova Science Publisher-მა; ამჟამად ბერლინის ფონოგრამარქივთან ერთად მზადდება I მსოფლიო ომის ქართველი ტყვებისაგან 1916-1917 წლებში ბანაკებში ჩაწერილი სიმღერების გამოცემა და სხვ.

ცენტრს ბევრი სხვა რაბ აქვს გაკეთებული, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ისაა, რომ ჩვენმა სიმპაზიუმებმა ქართველი ეთნომუ-სიკოლოგები მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიური პრო-ცესების უმუალო მონაწილეებად აქციეს, რადგან ეს ფორმუმი უკვე გახდა ერთ-ერთი პრესტიული ტრაბუნა, საიდანაც ქართველი და უცხოელი ეთნომუსიკოლოგე-ბი წარმოაჩენენ მსოფლიო მრავალხმიანობის პრო-ლემებს და, ამ კონტექსტში, ქართული მრავალხმიანო-ბის განსაკუთრებულ ადგილს.

ა), რას გვნერდა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მრავალხმანობის მსოფლიოში აღიარებული ქვეყნარი, ფუმიო კოიკუმის პრესტიული პრემიის ლაურეატი პროფესორი სიმპა არომი, რომელმაც 2006 წლიდან, III სიმპოზიუმის შემდეგ თავის მონაცეს-თან, აფრიკული მრავალხმანობის უკვე აღიარებულ ქვეყნართან, ესპანელ პროფესორ პოლო ვალესო-თან ერთად ქართული მრავალხმანობის სინტაქსის შესწავლა დაწყო:

ცემია ცენტრის პუბლიკაციები.

გულითადად კულოცავ პროფესორ რუსუდან წერ-ნების, თოსებ ქორდანის და ამ შესანიშნავი ორგანიზაციის კოლექტივს.

კულოცავ და დიდხანს სიკოცხლეს კუსურვებ ტრა-  
დიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო  
ცენტრს!

თუ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული მრავალხმიანი სიმღერა თანდათან იპყრობდა ჩვენს პლანეტას, რომ არაფერი ვთქვათ „ჩაკრულოს“ გავთვაზებები გალაქტიკაში დედამიწის ცივილიზაციის სხვა უნიკალურ ნიმუშებთან ერთად, ცოდნა მის შესახებ ამ პოპულარობის უკუპროპორციული იყო – უკანსკნელ დრომდე საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ

მრავალხმიანობის შემსწავლელ რამდენიმე მეცნიერს ჰქონდა მასზე წარმოდგენა. ჩვენი ცენტრის მიერ ორგანიზებული სიმპოზიუმების წყალობით მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში უკვე საბოლოოდ დაძვრიდა აზრი ქართული მრავალხმიანობის ადგილობრივი წარმოშობის, მისი სტილური და ფორმების მრავალფეროვნების შესახებ. უცხოელი მეცნიერები უკვე უყოყმა-ნოდ აღიარებენ, რომ საქართველო არის მსოფლიოს უნიკალური ქვეყანა, რომლის პატარა ტერიტორიაზე ვეზდებით ცოცხალ გამოვლენას მრავალხმიანობის ყველა ტიპისა, რაც კი ბუნებაში არსებობს, რის გამოც მას განსაკუთრებულ ადგილს მიაკუთვნებენ თანამედროვე მსოფლიოში. სხვათა შორის, პროფესორი იბალი ზემცოგსკი კიდევ უფრო რადიკალურია ამ საკითხში და ამბობს, რომ მრავალხმიანობის ის სახეობა, რომელიც საქართველოში არ ვეზდება, საერთოდ არ შეიძლება მრავალხმიანობად მივიჩნიოთ!

დრო სწრაფად გარბის, ვიხსენებ თბილისის სახელმ-ნითვე კონსერვაციონის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დაბალებას და, აი, უკვე ათი წლის განვითარების გილოცავით!

კარგად მოვცეს სენება, თუ რაოდენ წარმატებულად ფარდება ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები, იძულება სიმპოზიუმის მასალების ფუნდამენტური ორენოვანი კრებულები, მაგრამ ვისურვებდით, რომ ვაცილებით მეტი ვიცოდეთ ქართული მრავალხმიანობის უმნიშვნელოვანების ჩიბოლოვიური

აღნერისა და დღევანდული რუსის შედგენის საქმეში ცენტრის საქმიანობაზე.

და, მრავალხმიანობა ზეობდეს მუსიკასა და მუსიკაზე ფიქრში! მრავალუამიერ ჩვენს უსაყვარლეს მრავალხმიან შეიძლება!

პროფ. იბალი ბემცოვსკის ამ მოლოცვაში გამოთქმული შეფარული საყვედური მიანიშნებს ცენტრის პასიურობაზე ქართული მრავალხმიანობის საკვანძო საკითხების შესწავლაში. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ცენტრი ცდილობს თავი აარიდოს კონსერვაციონის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების სამეცნიერო საქმიანობის დუბლირებას.

ამიტომ, ჩვენი ცენტრის მიზანი იმთავითვე განისაზღვრა, როგორც ქართული მრავალხმიანობის წარმოჩენა მსოფლიო მრავალხმიანობის კონტექსტში. ამას ემსახურება სიმპოზიუმებიც, თუმცა, იმის გამო, რომ არ არსებობს სხვა ინტერნეტ სივრცე, სადაც ქართულ მუსიკალურ შემოქმედებაზე მეცნიერული ან პოპულარული ინფორმაცია იქნებოდა განთავსებული, ჩვენი ცენტრის ვებგვერდზე [www](http://www.ebsco.com/)-და ბიულეტენში შეძლებისდავარად ვცდილობთ ასეთი მასალის განთავსებას ამიტომ დიდი იყო ჩვენი სიხარული, როცა მსოფლიოს ერთ-ერთმა კულტურულმა ელექტრონულმა ვებ-კატალოგმა (<http://www.ebsco.com/>), რომელსაც მილიონობით მომხმარებელი ჰყავს, ჩვენს ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული ბიულეტენის თავის კატალოგში შეტანა შემოგვთავგზა. ამასთანავე, ვცდილობთ საგანგებო ყურადღება დავუთმოთ კავკასიური ფოლკლორის შესწავლას – გვინდა კონსერვაციონია იქვეს ქართულ-კავკასიური მუსიკალურ-კულტურული ურთიერთობების კვლევის ცენტრად, გვინდა ასევე, შევისწავლოთ საქართველოში მცხოვრები სხვა ხალხების მრავალხმიანობა. სწორედ ამიტომ 2010 წლიდან სიმპოზიუმში ამ თემას სპეციალური სესიაც მივუძვენით, ხოლო 2013 წლის აგვისტოში ცენტრის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის ექსპედიციაში ადგილობრივი ქისტებისაგან სრულიად უნიკალური ეთნოგრაფიულ-მუსიკალური აუდიო და ვიდეომასალა მოიპოვეს, რაც სათავეს დაუდებს ჩვენს ცენტრში ქართულ-კავკასიური მუსიკალური კულტურულების შედარებით კვლევას.

ერთი სიტყვით, გეგმები ძალიან ბევრი გვაქვს, მთა-

ვარია მათ განსახორციელებლად ადამიანური რესურსები გვეყოს. ჩვენს პატარა გუნდს სჯერა, რომ დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს. ამიტომ მე მადლიერებით მოვისხენებდი ყველას, ვისი მხარდაჭერის გარეშე ამ საქმეს ვერ გავაკეთებდით – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო კონსერვაციონის ადმინისტრაციას და, რა თქმა უნდა, ჩემს თანაგუნდელებს – მათ კატკაჭიშვილს, მაკა ხარძიანს, ქეთევან ბაიაშვილს, ნინო რამდაძესა და თეონა ლომისაძეს, აგრეთვე თამაზ გაბისონიას, რომელმაც ეს ათი წელი ჩვენთან ერთად გაატარა და ახლა უკვე იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტი განვრთობს მოღვაწეობას.

ასევე, ჩვენგან დიდი მადლობა ეკუთვნის მსოფლიოში აღიარებულ ქართველ ეთნომუსიკოლოგს, ამეა-მად ავსტრალიაში მოღვაწე ბატონ სოსო უორდანიას – იგი ჩვენი ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელია, კომუნიკაციის თანამედროვე სამუალებების წყალობით აქტიურადაა ჩართული ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობაში და გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი საერთაშორისო კავშირების გაფართოებაში.

მაგრამ განსაკუთრებული მადლობა ჩვენს უცხოელ მეცნიერებებს, მათ, ვინც ცენტრის სათავეებთან იდგა, ვინც ჩვენი სიმპოზიუმების სესიებსა თუ საკონცერტო პროგრამების მრავალჯერადი მონაწილეობით გვიდასტურებენ თავიანთ თანადგომას, იმათაც, ვინც ქართული მრავალხმიანობის გაცნობის შემდეგ იგი თავისი კვლევის საგნად აქციეს ან ვინც ერთხელ მანც გვესუმრა და თან წაიღო კეთილი მოგონება ჩვენი ქვეყნისა და მისი მუსიკალური კულტურის შესახებ.

დაბოლოს, მადლობა უნდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებიც ესწრებიან სამეცნიერო სესიებსა და სიმპოზიუმების დღეებში მრავალხმიანობის კონცერტებზე ავსებენ კონსერვაციონის დიდ და მცირე დარბაზებს.



მურაზ მურვანიძე

# მურაზ მურვანიძის მუსიკალურ-თავასრალურ სამყაროში

თავარ ცელუკიძე

მურაზ მურვანიძის სახელი, რაც თავი მახსოვს, სულ ჩამესმის არტისტულ წრეებში. მასთან შეხვედრის წინ სამჩადისმა კი დამაფიქრა, თუ რამდენად ვიკნობ მას, როგორც შემოქმედს. ასე თუ ისე, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, თავი შემახსენა მისმა ნამუშევარმა — თბილისის საოპერო თეატრში გიგა ლორთქიფანიძის მიერ განხორციელებულ ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეში“: მოელი სპექტაკლის მამოძრავებელი ღერძი — პანორამა, ძველის, გარდასულის, გონებამახვილური

ამოძრავებით, გაცოცხლებით. თვალწინ წარმომიდგა სცენოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი დეტალი, რომელიც სპექტაკლის რეჟისორულ გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: ძველი თბილისური აივნებიდან გადმომდგარი ადამიანები, რომლებიც სათითაოდ გამოგვეხადებიან კოლორიტულ პერსონაჟებად, ოპერის მთავარ გმირებად. უფრო ადრინდელი ნამუშევარიც მახსენდება: პეტერბურგის მარინის თეატრის სპექტაკლი, ა. მაჭავარიანის ბალეფი „ვეფხსისტყაოსა-

ნი“, რომელიც თბილისში იქნა ჩამოტანილი.

უკვე მხატვრის სახელოსნოში მისულს სამ სარ-თულბე განვითილი გალერეა საშუალებას მაძლევს შეძლებისდაგვარად (საამისოდ ხანმოკლე დროში) გავეცნო მის სამყაროს, რომელსაც მთლიანობაში ერთი შეხედვით კალეიდოსკოპური, თავბრუდამშვევი, ძლიერი განცდების აღმძვრელად აღვიქვაშ. ძირითადად თეატრალური ესკიზებია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა თეატრში შესრულებული: „კორსარი“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „დონ-კარლოსი“, „მოთამაშე“, „ქეთო და კოტე“, „ხანუმა“... აქ არის „ვეფხისტყაოსნის“ ესკიზებიც. ისიც ცნობილი გახდა, რომ მურაბ მურვანიძე თეატრის თავრდაბე მუშაობს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზეა აგებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აქ გამოფენილი ფოტოსურათები, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანების გამოსახულებით.

ელვარე, თვალისმომჭრელი, ამავე დროს მკაფიოდ გამოკვეთილი სიმბოლოები, ჩანს, რომ ეს წარმართავს დრამატურგიულ ქარგას – ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ ნამუშევარზე – ადანის ბალეტ „კორსარის“ ესკიზებზე. არანაკლებ ემოციებს იწვევს ჩაიკოსვის „გედების ტბის“ ესკიზი – ჰაეროვანი და გამჭვირვალე ფიგურები, აღსავს ექსპრესით... აქ გამოფენილი ესკიზების უძრავლესობა წარმოდგენას გვიქმის, რომ ვიზუალური მხარე დიდ-ნილად განსაზღვრავს სპექტაკლის მსვლელობას, დანამიკას.

\*\*\*

**თამარ წულუკიძე – როგორ დაიწყო მურაბ მურვანიძის შემოქმედებითი ურთიერთობა მუსიკალურ თეატრთან, საერთოდ თეატრთან?**

მურაბ მურვანიძე – ჩემი, ასე ვთქვათ, დებიუტი 1963 წელს შედგა, გრიბოედოვის თეატრში ნანა დე-მეტრაშვილის საკურსო სპექტაკლში – შვარცის „ჩვეულებრივ სასწაულში“, კიმპოზიტორი ვაჟა აბარაშვილი იყო, მხატვარი მე გახდით. ამ ნამუშევარში მომცეს პრემია წლის საკუეთესო მხატვრობისათვის. ეს იყო ჩემი პირველი ჯილდო საქართველოში. მაშინ თეატრის მთავარი რეჟისორი იყო ვახტანგ ფაბლიაშვილი, რო-

მელმაც მიმიწვია „ფაუსტი“ სამუშაოდ. ეს სპექტაკლი მოსკოვშიც წავიდეთ. ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლი მუსიკალურ თეატრში.

**თ.ნ. – როგორია თქვენი, როგორც მუსიკალური თეატრის მხატვრის მუშაობის მეთოდი.**

**მ.მ. – ვეცობი ნანარმოებს (ცხადია, თუ მანამდე არ ვიცნობ), ვცდილობ გულდაგულ ჩაეწვდე კომპოზიტორის ჩანაფიქრს, მუსიკა არის ჩემთვის ყველაფრის ამოსავალი, მუსიკამ უნდა მიკარნახოს, თუ რა და როგორ გადმოვცე. როცა ვიცრძნობ, რომ ამაში საქმარისად გავერკვიე, მხოლოდ შემდეგ ვეცნობი ოპერისა თუ ბალეტის ლიბრეტოს, ლიტერატურულ წყაროს.**

სკენოგრაფიას ყოველთვის ვიაბრებ ქმედებაში. ამ დროს ჩემში ამუშავდება არა მხოლოდ მხატვრის, არა-მედ რეჟისორის ფანტაზია. ხშირად რეჟისორს ჯერ მე ვებიარებ ჩემში აღძრულ იდეებს. ზოგჯერ დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც მაქვს, რომ ჩემი ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განხორციელდა, იმიტომ, რომ რაღაცები ჩემზე არც არის დამოკიდებული. ასეთ შემთხვევაში მინანია, რომ რეჟისორი არა ვარ. საოპერო სპექტაკლის დადგმისას ვადამნებულ და მის მხატვრულ ნარმოსახვას მივიჩნევ. შემთხვევითი არ არის, რომ საუკეთესო საოპერო რეჟისორები დასაწყისში მხატვრები ყოფილან. მხატვარი იყო ძეფირელი, ასევე პონელი, რომელიც საოპერო სპექტაკლში თავის სამგანმილებიან ჩანაფიქრს აცოცხლებს.

**თ.ნ. – ის, რომ თქვენთვის კომპოზიტორის ჩანაფიქრია პირველადი, იგრძნობა ნამუშევრებში. ცხადია, მეტნილად ესეც განაპირობებს საერთო შედეგს. სულ თავიდან როგორ შემოვიდა მუსიკა თქვენს ცხოვრებაში?**

**მ.მ. – ბავშვობიდან მუსიკალურ გარემოში ვიზრდებოდ. დედაჩემი – ნაფალია (ტუსი) გიორგობიანი – მუსიკოსი გახდათ, პიანისტი. ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა – ნიკოლოზ გიორგობიანი, მართალია, მათემატიკოსი იყო, ჩვენ მის დაწერილ სახელმძღვანელოებზე გავითარდეთ, მაგრამ ძალიან მუსიკალური იყო, სასწაულად მდეროდა. პეტერბურგში მათემატიკის ფაკულტეტზე რომ სწავლობდა, ამავე დროს მარინის თეატრში დააყენეს გუნდში სამღერლად. ამიტომაც მთელი ოპერები გეპირად იცოდა და მეც ლამის მთელ საოპერო**



ოპერის თეატრის ფარდა ავლორი მურაზ გურვანიძე





ლიტერატურას ბავშვობიდან მისი ნამღერით ვეცნობთ-დი. ოპერაშიც ხომ ძალიან ხშირად დაკყავდი. ასე რომ, ფაქტობრივად, ოპერის თეატრში გავიჩარდე.

მუსიკა ისე მიყვარს, ხელოვნების დარგებს შორის გამორჩეულად მიმაჩნია. ეს ის სფეროა, რომელიც ღმერთმა შექმნა. სხვა ყველაფერი მაინც ხელოვანის მოგონილია. მუსიკა და ფერწერა კი ყველაზე დიდი შენაერთია.

თ.ნ. – თქვენი შემძებელითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი პეტერბურგის მარინის თეატრს დაუკავშირეთ, ეს ერაპი როგორ დაიწყო?

მ.მ. – ეს დაიწყო შემდეგნაირად: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გავაკეთე „რომეო და ჯულიეტა“, ქორეოგრაფი იყო მიშა ლავროვსკი. ამ დროს თბილისი ჩატარდა შეკრება საკავშირო ბალეტმაისტერების, რომლებიც დაესწრენ ამ საქართველოს. აქედან მათ ჩაიტანეს „რომეო და ჯულიეტას“ პროგრამა-ლიბრეტო, ყდაზე გამოსახული ესკიზით და უჩვენეს იმ დროისათვის წარმატებულ ბალეტმაისტერს, იგორ ჩერნიშოვს. მისთვის კი მაშინ შეუთავაზებიათ მარინის თეატრში ა.მაჭავარიანის ბალეტის – „ვეფხისტყაოსნის“ დადგმა (ლიბრეტო უკვე არსებობდა, ავტორი გრიგოროვიჩი) და როგორც მხატვარს, მომმართა მე,

ჩამოვიდა თბილისში. მე გავაკანი ჩემი ჩანაფიქრი, მაგრამ ჩვენი ერთობლივი მუშაობა ვედარ გაგრძელდა, ვინაიდან ჩერნიშოვთან დაკავშირებით რაღაც სკანდალი მოხდა და ნერტილი დაესვა მის ურთიერთობას მარინის თეატრთან. ამ დროს „ვეფხისტყაოსნი“ უკვე შედანილი იყო თეატრის ნლიურ გეგმაში, ხარჯები ნაანგარიშევი იყო, ჩაშლა არ შეიძლებოდა და ამიტომ საშველად მიმართეს ვინოგრადოვს. მისთვის კი უკვე სხვა ვარიანტი გავაკეთე (საერთოდ ორ რეჟისორს ერთნაირ ვარიანტს არასოდეს ვთავაზობ, ჩემს ნამუშევარს მაინც დამდგმელ ჯგუფთან კავშირში ვიაზრებ).

ასე, „ვეფხისტყაოსნით“ დაიწყო ჩემი ურთიერთობა მარინის თეატრთან და გაგრძელდა თითქმის ათი წელი, ბოლო სპექტაკლზე 1993–94 ნლებში ვიმუშავე – „ლურია დი ლამერმურბე“.

თ.ნ. – აქ გამოფენილი ნამუშევრებიდან პირველ

პლანზე ერთ-ერთი „კორსარის“ ესკიზებია...

მ.მ. – „კორსარის“ შესახებ შემძლია ვთქვა, რომ ჩემი სადისერტაციო ნაშრომია. ეს ბალეტი პირველად პარიზში დადგა მ.პეტიპამ. როდესაც შესრულდა 130 წელი ამ ბალეტის პრემიერიდან, პარიზში გადაწყვიტეს „კორსარის“ პეტიპასეული დადგმის აღდგენა, მაგრამ გაირკვა, რომ იქ აღარავის შეეძლო. დაუკავშირდნენ

მარინის თეატრს, სადაც აგრეთვე წარმოდგენილი ყოფილა ეს ბალეტი იგივე დადგმით. მართლაც, აქაურ რეპეტიონებს ახსოვდათ ეს სპექტაკლი. პარიზიდან მოინდომეს კორპროდუქციული დადგმის განხორცი-ელება. გრიგოროვიჩმა სპექტაკლი მე გადმომილოცა: «დავაი, სოლირუЙ!»

მანამდე „კორსარი“ პეტიას დადგმით სხვადასხვა თეატრებში (რუსეთში, იტალიაში, გერმანიაში, პოლონეთში) მიდიოდა და სპექტაკლი ძლებდა ყველგან სამი წელი. ამის შემდეგ მე ჩავჯერი პეტერბურგის ბიბლიოთეკაში, რომელიც იგივე ჩემი სახლი გახდა. აქ ვიმუშავე თითქმის ორი თვე. თუ რაიმე მასალა არ ჰქონდათ, მოსკოვიდან ვიწერდი. ამ ხნის განმავლობაში ვეძებდი მიზებს, თუ რატომ წყდებოდა ასე მაღლე ამ ბალეტის ბედი. როდესაც სპექტაკლი გამოვუშვით, ძალიან ბევრი მღანდავდა, მეუბნებოდნენ – შენ საერთოდ მთელი ესთეტიკა შეცვალეო, – ერთმა ისიც მითხრა – ეს შენი ბოლო სპექტაკლიათ!!! – მე კი ვიდიქრობ, მივაგენი გასაღებს. ის, რომ ჩევენი სპექტაკლი უკვე 27 წელია ცოცხლობს, მარინის თეატრი არსად მიდის მის გარეშე, პარიზში დაწერეს: „კორსარის“ წარმოდგენის შემდეგ დილას მურვანიძემ გაიღვიძა – უკვე ცნობილმა ადამიანმა. ვფიქრობ, ეს ყველაფერი იმის დამამტკიცებელია, რომ მე მართალი ვყოფილგარ.

თ.ნ. – ერთი-ერთი მნიშვნელოვანი სპექტაკლი ბორის პოკროვსკისთან გაქვთ გაკეთებული.

მ.მ. – პოკროვსკისთან „ხოვანშინა“ გავაკეთე, ამით დიდი ბედნიერება მომეცა – პირველად დავუკავშირდი დიდ თეატრს და ბორის პოკროვსკის, ხოლო მუსორგსკისთან და როსტროპოვიჩთან (სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი იყო) მეორედ მომინია ურთიერთობა. ბედმინევინით ვეცნობოდი მასალებს, მოულოდნელად ვიპოვე ფიოდოროვსკის ესკიზები (ლონდონის 1931 წლის სპექტაკლისათვის) და მის ერთ ესკიზზე ავაგე ჩემი სკენოგრაფია. გრანდიოზული სპექტაკლი იყო. მთელი დეკორაციები დაგხატე... ხმლით. მართლა ხმლით ვხატავდი...

რუსეთში თავიდან სასტიკად გაგვაკრიტიკეს. იმ პერიოდში აღადგინეს „თავადი იგორის“ ბარათოვის დადგმა, ვილიამსის სცენოგრაფით. იმ სპექტაკლს აქებდნენ და ადიდებდნენ, ჩევენსას უპირისპირებდნენ.

მერე კი ისევ მოსკოვში დაწერეს: – მურვანიძემ „ხოვანშინას“ მიანიჭა სიცოცხლე, ვიღიამსმა კი „თავადი იგორის“ – სიკვდილი.

თ.ნ. – პეტერბურგში გიმუშავიათ იური ალექსანდროვთან. ალექსანდროვი ცნობილია როგორც ერთ-ერთი მეტისმეტად თავისუფალი აზროვნების საოპერო რეჟისორი, რომელსაც პრესაც კი ანებივრებს დადებითი შეფასებებით.

მ.მ. – ალექსანდროვთან ერთად „სოროჩინის ბაზრობა“ გავაკეთეთ. კიდეც მაქვს აქ ესკიზი. თავად იური-ზე ვერ ვიტყვი, რომ მთლად ჩემი რეჟისორია, ისე ცოცხალი შემოქმედია, მაგრამ ცოტა გედმეტად მსუბუქია, სერიოზულობა აკლია.

თ.ნ. – თქვენ საერთაშორისო მასშტაბით ვიწევთ მოღვაწეობა, ამ ასპარეზზე ყველაზე მნიშვნელოვნად რა გახსენდებათ?

მ.მ. – განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ის პერიოდი, როდესაც ჩართული ვიყავი ასოციაციაში „მუსიკა და ხელოვნება“ (1991.). მისი დაარსების იდეა იქცედი მენუ-ჰინისაგან მოდიოდა, ის იყო ასოციაციის პრეზიდენტი, მუსიკალური ხელმძღვანელი კი – მ. როსტროპოვიჩი. წევრები იყვნენ: დირიჟორები – გ. მეტა, ლ. მააბელი; მომღერლები – რაიმონდი, დომინგო; რეჟისორი – რ. პორიტი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, მხატვარი მე გახლდით.

„მუსიკა და ხელოვნების“ დაარსება ამერიკის აღმოჩინის 600 წლისთვისა და მის ევანგელიზაციის დაუკავშირდა, ამ თარიღს მიეძღვნა მონტე-კარლოში ჩატარებული ფესტივალი. საერთოდ, მონტე-კარლოში ვიკრიბებოდით, ვძლიერდებით. მერე ყველანი მივფრინავდით ჩენეს საქმებზე. გვერდა საკუთარი ბაზა, ჩენეს თვითმფრინავიც. პროექტი სამწლიან პროგრამას წარმოადგენდა და მოიცავდა როგორც მუსიკალური თეატრის სპექტაკლებს, ისე კლასიკური მუსიკის კონცერტებს. ეს ყველაფერი ტარდებოდა მსოფლიოს მთელ რიგ ქალაქებში: პარიზში, მილანში, გენუაში, ვენეციაში, მადრიდში, ბერლინში, ფრანკფურტში, ჰამბურგში, სალონიკში და ა.შ. მოსამზადებელი სამუშაო ბაზაც სხვადასხვა ქალაქებში იყო: პარიზში, ლასკანიაში... მიხარია, რომ რამდენადაც დირექტორატში გახლდით, მივაღწი იმას, რომ თბილისის ოპერის თე-

## მასიკა და მხატვრობა

ატრიც შეიყვანეს პროექტში. თუმცა ამისათვის გერმანიის და საფრანგეთის დასების ამოგდება მოგვიხდა. საქართველოდან პერსონალურად მოვინგიეთ: ჯანსუდ კახიძე, გოგი ალექსიძე, თემურ ჩხეიძე, ლომერ ახვლედიანი, გურამ მელივა, კოტე მახარაძე, ვახტანგ კახიძე; ოპერის დასიც ჩართული იყო და ტექნიკური პერსონალიც. აქც შეადგებოდა დეკორაციები. იმ ძალიან გაჭირვებულ დროში ჩვენს თეატრს და მის ნარმომადგენლებს გარკვეული შემოსავალი შემოსდიოდათ. ამისათვის თეატრის მაშინდელმა დირექტორმა, ზურაბ ლომიძემ, პრესაში გამომიცხადა მადლობა, მაგრამ გაბეთში სახელი და გვარი არასწორად დაბეჭდეს: „რომ არა მურთაბ სურმანიძე, ჩვენი დასი ამ გაჭირვებას ვერ გადალახავდა“. მერე ხალხი კითხულობდა – ვინ არის ეს მურთაბ სურმანიძეო. ამ სამწლიანი პროგრამის შემდეგ გავიდა თითქმის 10 წელი და გაისმის ტელეფონის ბარი, მირეკავს ფრანგო ძეფირელი. მე და როსტროპოვიჩს სურვილი გვაქვს ის პროექტი აღვადგინოთ, მხატვარი თქვენ უნდა იყოთო. მაგრამ, სამწუხაროდ, მაღლე როსტროპოვიჩი გარდაიცვალა და ეს საქმე აღარ გაგრძელდა.

თ.ნ. – ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით იმ მხრივაც, რომ თქვენი ცხოვრების მანძილზე ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, ლეგენდარულ ადამიანებთან გინწვდით ურთიერთობა.

მ.მ. – ამ მხრივ მართლა ძალიან ბედნიერი კაცი ვარ. მთელი ცხოვრების მანძილზე მართლაც ბუბბერაბ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა და საოცარი ფაქტების მონება და მონაწილეობა გავმხდარვარ. თუმცა, მაინც მინდა გამოვყო სამი მოვლენა ჩემს ცხოვრებაში, რამაც არა მხოლოდ კვალი დატოვა, არამედ გარდატეხაც მოახდინა ჩემს ცნობიერებაში. პირველი – ეს იყო ფელინის ფილმი „რვანახვარი“, რამაც გადაატიალა ჩემში ყველაფერი. ფელინისთან პირადი შეხვედრა ერთხელ მომინია, მე თვითონ მივედი მასთან სახლში, მივუტანე ბილეთები რომის საოპერო თეატრის სპექტაკლზე „გედების ტბა“. რომ მივედი, ჩაიგე მიმიატიუეს მან და ჯულიეტა მაზინამ. სპექტაკლთან დაკავშირებით ბოდიში მომიხადეს, სამწუხაროდ, ამ დროისათვის ამერიკაში მივდივართო და თუ შეიძლება, რომ ეს ბილეთები ჩვენს მეგობრებს მივცეთ. ცხადია,

დავეთანსმე, რა გზა იყო.

მეორე – შოკი დამემართა, როდესაც მონსერატ კაბალიე ვნახე „ნორმაში“. ეს რაღაც არაა მქეცენიური მოვლენა იყო. ამის შემდეგ დავიწყე, რასაც ჰქვია, მისი დევნა. ყველგან ჩავდიოდი, შეძლებისდაგვარად, სადაც ის მღეროდა. საქმიანი შეხება, პრინციპში, არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ერთ ფაქტს, რასაც დიდი კურიოზიც მოჰყვა. ესპანეთში – მერიტაში ვიყავი ფესტივალის მთავარი მხატვარი. კაბალიეს კონცერტი ეწყობოდა, შევემნი დეკორაციები. მოხდა ის, რომ კონცერტის დროს კაბალიე ჩავარდნილა სცენის ორმოში, თურმე მუშებს ფიცრები არ დაუჭედებიათ წესიერად. მეორე დღეს კი დავაყარე იმათ შავი დღე, თუმცა რაღა აბრი ჰქონდა, უბრალოდ, მე ჯავრი ვიყარე. სენსაციების მოყვარულმა უურნალისტებმა კი ისარგებლეს ფაქტით – გაბეთში ფოტო გამოაქვეყნეს, როგორ მიფრინავს მონსერატი. თურმე მოუყვანიათ ვიღაც სქელი ქალი, ჩაუსმევიათ კაბალიეს კაბა და ვითომ ის იყო. კაბალიეს ნორმას გახსენებაზე კი ახლაც მაურიალებს. უკვე მუსიკოსებიც მეთანხმებიან, რომ ასეთი ნორმა აღბათ არასდროს არ ყოფილა. თავიდან მანც დავაზე თავს ივავებდნენ, აღბათ, კალასი მეტი იყოთ. მე კალასის ჩანაწერი მოსმენილი მაქსი, მაგრამ ვფიქრობ, მაინც კაბალიე იყო საკუკთხეს ნორმა.

მესამე შოკი – ეს იყო მორის ბეჭარი. მოსკოვში გასტროლებები რომ იყო, მაშინ ვნახე – „კურთხული გაბატხული“ და „ფასკუნჯი“. ბეჭარს მივუტანე ჩემი ნამუშევრები და ვუთხარი, რომ ვოცნებობ მასთან მუშაობაზე. შემდეგ დაიბადა ჩვენი ერთობლივი სპექტაკლი ზანი ვერსაჩესთან და ჯონ ვონდერბეიდენთან ერთად.

თ.ნ. – მე კი ხელთა მაქსი მორის ბეჭარის გამოხმაურება თქვენს შემოქმედებაზე. ამოვიკითხავ მის სიტყვებს: „ჩვენ ყველანი მივერჩიეთ გარკვეულ სუერეოტიპებს, როცა დაახლოებით იცი თუ რას ნახავ ამა თუ იმ სპექტაკლში, მ. მურვანიძე ამ მხრივ გამონაკლისა. მისმა „პოტიომკინმა“, „ვეფხისტუაოსანმა“, „კორსარმა“ მე განმაცვითებულ ისინი არ ვანან არც ერთმანეთს და არც იმას, რაც აქამდე მინახავს. ვამაყობ, რომ მურვანიძეს უკავია ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადგილი თეატრალურ-დეკორატიულ ოლიმპობე. ვიმედოვნებ, რომ რომ მაღლე შევხვდები მას, როგორც თანაავტორს“.



საერთოდ, პრესა, შეფასებები არ გაკლიათ საერთაშორისო მასშტაბით, ზოგჯერ კრიტიკაც ყოფილა, მაგრამ ძირითადად ამგვარ ვამონათქვამებს აქვს ადგილი, ალბათ ყველაზე ნაკლები თქვენს შესახებ მაინც საქართველოში დაწერილა.

მ.მ. — მართლაც, შეიძლება ვთქვა, რომ დიდი პრესა მაქვს. თუ რა დანერილა ამაზე საუბრის, საუკეთესო სიტყვების ციცირების მრცველია კიდევ, თავმდაბლობაში არ ჩამომერთმევა. საქართველოში, მართლაც, ყველაზე ნაკლები დაუნერიათ. მაგრამ აქაური გამოხმაურება მაინც განსაკუთრებით მეძვირფასება. ჩემი შემოქმედების შესახებ ერთ-ერთი პირველი პროფესიული, სერიოზული სტატია საქართველოში ნოდარ გურაბანიძემ დაწერა, ეს სამუდამოდ დამამახსოვრდა.

თ.ნ. — როგორც ცნობილია და ესკიზებსაც ვხედავთ, გიმუშავიათ ჩვენი საოპერო თეატრის ფარდაზე.

მ.მ. — ესკიზები თითქმის მზად მაქვს, გარდა ამისა, ფარდაზე მიფიქრია კომპლექსურადაც. საერთოდ, ფარდის ფერსაც აქვს მნიშვნელობა საოპერო სპექტაკლისათვის. უვერტურა, შესავალი ხომ ფარდის ფონზე მიმდინარეობს ხოლმე და ამ დროს მნიშვნელობა აქვს მოსმენისას ვიზუალურად რა მოჩანს, რა ფერია, ეს საერთო აღქმაზე გავლენას ახდენს. დარბაზშიც ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. დარბაზსა და სცენას შორის არსებობს უხილავი ხაზი, ნითელ ხაზს რომ უწოდებენ, ამის სწორ გადანყვეტაზეა დამოკიდებული სცენისა და დარბაზის ერთიანობა, მათი ერთ თრგანიძმად ქცევა.



შემთხვევითი არ არის, რომ ოპერის თეატრის ფარდა „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე ავაგე. აქ რუსთაველის პოემის ასტრალურ გადაწყვეტას ვახდენ, კოსმიურ სფეროსთან კონტექსტში ვიაბრებ. „ვეფხისტყაოსნი“ ხომ ჩვენი ბიბლიაა.

\*\*\*

აქ მოსვლამდე, გარდა მხატვრის მთელ სამყაროსთან გრძელებისა, ერთი კონკრეტული ინტერესი მამოძრავებდა. ხმა გავრცელდა, რომ მურაბ მურვანიძემ „აბესალომ და ეთერის“ ესკიზები შექმნა.

„აბესალომ და ეთერი“ თბილისის საოპერო სცენაზე მისი პრემიერიდან (1919 წლის 21 თებერვალი) მოყოლებული თორმეტჯერ დაიდგა. ყოველ ახალ სპექტაკლს საბოგადოების მხრიდან საოცარი ვნებათაღლვა ახლდა. თითქმის ყველა ამ სპექტაკლის დამდგელმა ჯგუფმა მეტნაკლებად ინვნია კრიტიკოსთა შემოტევები. „აბესალომის“ კოლე მარჯანიშვილისეული დადგმის (მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე), რომელმაც თავის დროზე საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, თვითმხილველი ჩვენს გარშემო არ ყოფილა შემორჩენილი, ნანას დადგმათაგან ეტალონურად ასახელებდნენ შოთა აღსაბაძის სპექტაკლს (მხატვარი ირაკლი გამრეკელი, მეორე დადგმის მხატვარი სერგო ქიბულაძე). – რა იყო მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი საბოგადოების მხრივ „აბესალომის“ ზოგიერთი

დადგმით აღტაცებისა და ზოგიერთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებისა? – ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახლდათ ოპერის ლეგენდადად წარმოსახვის მომენტი, მისი ლეგენდურობის შეგრძნება (ამ ტრადიციას ოპერის პირველმა რეჟისორმა აღექვანდრე წუწუნავამ ჩაუყარა საფუძველი). დღევანდელი გადასახედიდან გასაგებია გაგრიტიკებული რეჟისორების პოზიციაც – ოპერა წარმოედგინათ არა დატკეპნილი, გაცვეთილი სახით. დღეს, როდესაც „აბესალომის“ ბოლო დადგმიდან უკვე 28 წელია გასული, ალბათ სასურველია მისი გაცოცხლება ახალი კუთხით, ახალი ფერებით, თან ისე, რომ ყველაფერი მოდიოდეს ფალიაშვილის მუსიკიდან, ფალიაშვილის სამყაროდან.

მურაბ მურვანიძე „აბესალომ და ეთერის“ თავისებურ ხედვას გვთავაზობს. აღსანიშნავია, რომ იგი ოპერის გაფართოებულ, პირვანდელ ვარიანტს წარმოსახავს, რაც თავისთვის სადაც თემაა, თუმცა თავად მხატვრისთვის ადვილად მოსაგვარებელი. ყურადრებას იპყორბს ჩვენს წინაშე გადმოშლილი ზღაპრის, ლეგენდის სურათები. მხატვარი შეჭრილა ხალხური ეპოსის სიღრმეებში და იქნებან ამოუზრდია სახე-სიმბოლო, რომელიც „აბესალომის“ ინტერპერეტაციაში აქამდე არ წარმოჩენილა (მისი გაშიფრის, ზედმინევნით აღნერის უფლებას ჯერ ვერ მივკედ თავს იქამდე, ვიდრე ეს ყველაფერი სცენაზე არ შეისხამს ხორცს).

ვუყურებ ესკიზებს და ყველაფერი თავის ალაგასაა, ყველა სკენას ამოიცნობ, ამავე დროს ახალი სუნთქვაა მასში შთაბერილი. კითხვაზე – თუ რომელ რეჟისორთან ფიქრობდა ამის განხორციელებას, მხატვარს ამ წუთას პასუხი არა აქვს, რაც აღარ მიკვირს მისი ზემოთმყვანილი საუბრის შემდეგ.

წამოსვლისას ბატონ მურაბს შეკითხვას ვუსვამ, – თუ აქვს ისეთი ოცნებები, რომელთა განხორციელება ძალიან სწადია – ამაზე მპასუხობს, რომ სამი ძალიან მნიშვნელოვანი ოცნება აქვს, სამივე საქართველოსთან დაკავშირებული: ერთი, რომ დაიდგას თბილისში ვახტანგ ჭაბუკიანის ძეგლი, მეორე – ოპერის თეატრის ფარდა და მესამე – „აბესალომ და ეთერის“ ახალი სცენური სიკოცხლე...

# პართველი კლარინეტისტის ნარმაშვილი



ფილიშვილი პოდოლიაზილი, ალესაცირი პარმანარი

გულბათ ტორაძის წერილით „ახალგაზრდებო, ან კი თქვენ..“, ურნალ „მუსიკის“ მკითხველი პირველად გა- უწონ ახალგაზრდა კლარინეტისტს, დიმიტრი ბოქოლიშ- ვილს.

დიმიტრი ბოქოლიშვილმა 2010 წელს დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონ- სერვატორის მაგისტრატურის კურსი პროფესორ და- ვით ჯიშკარიანის კლასში და შემდგომ მოღვაწეობა განაგრძო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრში. გემოანონიშნულ წერილში ავტორი განიხი- ლავს დ. ბოქოლიშვილის სოლო კონცერტს, სადაც მა- ღალ შეფასებას აძლევს ახალგაზრდა შემსრულებელს.

დ.ბოქოლიშვილი არ დაჯერდა მიღწეულ შედეგებს და სწავლა განაგრძო სანტა ცეცილის აკადემიაში ისეთ ცნობილ მაესტროსთან, როგორიცაა ალესანდრო კარბონარე. დიმიტრი დღეს მაესტროს ერთ-ერთი წარ- ჩინებული სტუდენტია. ბევრის მოქმედია ის, რომ ქარ-

თველმა კლარინეტისტმა, არცთუ დიდი ხნის წინ, მონა- წილეობა მიიღო მსოფლიო საერთაშორისო კლარინე- ტისტების ფესტივალში, რომელიც ჩატარდა იტალიის ქალაქ ასიზიში 2013 წლის 24-28 ივლისს.


ფესტივალი დაარსეს ამერიკელებმა – კლარინე- ტისტების საერთაშორისო ასოციაციამ (International Clarinet Association), რომელიც ამჟერად ჩატარ- და იტალიის კლარინეტისტების აკადემიასთან ერთად (Accademia Italiana del Clarinetto).

საგულისხმოა, რომ ფესტივალ-შეხვედრაში მონა- წილეობდნენ მსოფლიო დონის ვარსკვლავები, კლარ- ნეტისტები: ედი დანიელსი, ალესანდრო კარბონარე, კალოჯერო პალერმო, კორადო გიუფრედი, რიკარდო მორალესი, ფილიპ კუპერი და სხვ.

რა თქმა უნდა, ქართველი კლარინეტისტისთვის დი- დი პატივი და სტიმულია ასეთი მაღალი დონის პრეს- ტიულ ფესტივალში მონაწილეობა მსოფლიო ვარსკვ-

INTERNATIONAL CLARINET ASSOCIATION  
ACADEMIA ITALIANA DEL CLARINETTO

2013  
**CLARINET FEST**  
ASSISI ( ITALY ) - JULY 24-28



**ClarinetFest® 2013**  
by Accademia Italiana del Clarinetto

ლავებთან ერთად. დ. ბოქოლიშვილმა საკმაოდ რთულ შერჩევაში მიიღო მონაწილეობა. მან თავისი ვიდეო-ჩანაწერი გაუგზავნა ფესტივალის არტისტულ დირექტორს და მრავალ კონკურსანტს შორის უპირატესობა მოიპოვა. ნამდვილად საამაყოა, რომ ქართველმა შემსრულებელმა ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა. აღ-სანიშნავია, რომ ესაა პირველი შემთხვევა, როდესაც

ქართველმა კლარინეტისტმა ასეთი რანგის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

დ.ბოქოლიშვილი ფესტივალზე წარსდგა 30 წუთანი სოლო საკონცერტო პროგრამით, რომელიც მან პი-ანისე წეს ჰქონდება ერთად შეასრულა. უდავოდ აღსანიშნა და სასიხარულო, რომ ახალგაზრდა ქართველმა შემსრულებელმა თავისი სოლო პროგრამა ქართველი კომპოზიტორის, ვაჟა აბარაშვილის სონატით გახსნა. როგორც შემსრულებელი მოვითხოვს, საერთაშორისო მსმენელმა ძალზე კარგად მიიღო ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოები და ბევრმა კლარინეტისტმა გამოხატა დაინტერესება, მათ შორის, ბოქოლიშვილის პედაგოგმაც, სანტა ცეკილიას პროფესორმა, მასტერო ალესანდრო კარბონარემ. სამწუხაროდ, შემსრულებელმა ნოტები ვერ წარუდგინა ნაწარმოებით დაინტერესებულ მუსიკოსებს, ვინაიდან სანოტო გამოცემა ძალზედ დაბალი ხარისხის იყო — ზოგი ნოტი თითქმის არ იკითხებოდა. როგორც ბოქოლიშვილი აღნიშნავს, ევროპაში დაბალი ხარისხის გამოცემებს არ ცნობენ. სამწუხაროა, რომ ქართული მუსიკის პროპაგანდას უკხოეთში, დღევანდელი საგამომცემლო-ტექნოლოგიური პროგრესის პირობებშიც კი, ასეთი უმნიშვნელო ფაქტორები უშლის ხელს.

ხელს უნდა გამოვიდეს ცნობილი იტალიელი კომპოზიტორისა და კლარინეტისტის, პედაგოგის ანტონიო ფრაიოლის ნაწარმოებების კომპაქტ-დისკი. განთქმულ მუსიკოსებთან ერთად, სადაც დ. ბოქოლიშვილიც ასრულებს ფრაიოლის ერთ-ერთ ურთულეს სოლო ნაწარმოებს, რომლის ჩანერაც ჰქონდა იანვარში. ასევე მონაწილეობს სანტა ცეკილიას აკადემიაში დაგეგმილ მეტად საინტერესო პროექტში, რომელიც ჩატარდება მარტი და ივნისში. კონცერტში შესრულდება სტუდენტი კომპოზიტორების ნაწარმოებები, 4 შემსრულებელ სტუდენტს შორის (ფ-ნო, ჩელო, ფლეიტა, კლარინეტი) მასტერო ალესანდრო კარბონარემ კლარინეტის კლასიდან წარადგინა სწორედ დიმიტრი. კონცერტებს უდირიულეს მსოფლიოში სახელგანთქმული მასტერო კარლო რიბარი.

ვუსურვებთ ახალგაზრდა კლარინეტისტს მომავალ წარმატებებსა და წინსვლას.

## „მაკნატუნა – 2013“- ის პარტველი გამარჯვებული



დავით ხრიჭალი

2013 წლის 10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა XIII საერთაშორისო სატელევიზიო კონკურსის, „მაკნატუნას“, ფინალი. კონკურსში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, 600-ზე მეტმა ნიჭიერმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. მეორე ტურში პატარა ქართველმა პიანისტმა დავით ხრიჭალმა (პედაგოგი დოდო ცინცაძე) 48 ქულა დააგროვა და შევიდა გამარჯვებული სამულის სამში. მესამე ტურში კი მან მენდელსონის №1 საფორტეპიანო კონკურსი შეასრულა, რამაც საბოლოოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა და ნომინაციაში „ფორტეპიანოზე დაკვრა“ უმაღლესი ჯილდო მიენიჭა.

12 წლის დავით ხრიჭალი უკვე არაერთი რეგიონალური თუ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია. მან, გასული წლის თებერვალში, დანის ახალგაზრდა პიანისტთა II საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრემია და მთავარი პრიზი დაიმსახურა დანიელი კომპოზიტორის, კარლ ნილსენის ნაწარმოების შესრულებისათვის.

ცხადია, პატარა ქართველი პიანისტის ისეთ პრესტიჟულ კონკურსზე გამარჯვება, როგორიცაა საერთაშორისო სატელევიზიო კონკურსი, „მაკნატუნა“, მრავლისმთქმელია და დიდ იმედებს იძლევა. მენდელსონის შესრულებით იმდენად მოიხიბლა ქართველი მსმენელიც, რომ Facebook-ით მაშინათვე გავრცელდა ამ კონკურსის ჩანაწერი და დიდი გამოხმაურებაც მოჰყავა.

ურნალ „მუსიკის“ რედაქტორ ულოცავს დავით ხრიჭალსა და მის პედაგოგს, დოდო ცინცაძეს, ამ გამარჯვებას. ვუსურვებთ მორიგ წარმატებებს ქართული საფორტეპიანო სკოლის სასახელოდ.

# „ეგიარეთ მაღალ ხელოვნებას“

(თელავის ფასტივალი 2013)

მჩინა კაფარიძე

„მუსიკაზე საუბარი არ შეიძლება, მას ან უნდა უსმინო, ან დაუკრა“, ბრძანებდა სვიატოსლავ რიხტერი, და მართლაც, შთაბეჭდილებები, რომლებიც თელავის წლევნდელი საფესტივალო მუსიკალური სალამოებიდან მივიღეთ, ძნელად ექვემდებარება ვერბალურ აღნერას. აյ ჭეშმარიტად მაღალი მუსიკა განავებდა თითოეულ დღეს. ეს იყო მუსიკასა და მშვენიერების სამფლობელოში გაფარებული დაუკრინებარი ათი დღე!

ჩემი პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე, ჩემდა გასაკვირად, პირველად მომეკა ბედნიერება მიწვეული ვყოფილიყავი მუსიკალურ ფესტივალზე, რისთვისაც დიდ მაღლობას მოვახსენებ ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფს. სამწესაროდ, ჩემს პროფესიაში ეს იშვიათი გამონაკლისი იყო, ვინაიდან ხელმოკლე ქართველი მუსიკისმცოდნები ფესტივალსა თუ კონცერტებს, მირითადად, სატელევიზიო ჩანაწერებით თუ ვეფრნბით ხოლმე. იმედს ვიტოვებ, მომავალში ჩვენი პროფესია უფრო შემოსავლიანი გახდება, მანამდე კი სახელმწიფო იბრუნებს იმაზე, რომ მუსიკოსებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, მიეცეს შესაძლებლობა დაესწრონ ამ შესანიშნავ ფესტივალს. დაგაკონკრეტებ, იმედს ვიტოვებ სახელმწიფო გაიღებს დამატებით თანხას (ან კონსერვატორია იბრუნებს, ინვესტორებისაგან მოიპოვებს), რომ სტუდენტობისათვის, სკოლისა და სასწავლის მიზანისათვის გამოიყოს საგზურები (ან აბონემენტები) შეღავათიან ფასად.

ლებლების პედაგოგებისათვის გამოიყოს საგზურები (ან აბონემენტები) შეღავათიან ფასად.

თელავის ფესტივალი... დაუკრინებარი შთაბეჭდილებები... ძირძველი თელავის გამშვენებული გარემო, შესანიშნავი, თანამედროვე მოთხოვნებს მისადაგებული სასტუმროებით, განახლებული ბანიან-აივნებიანი სახლებით, საუკუნეების მიმმიდან მომზირალი ძეგლებითა და საოცარი საზოგადოებით – თელაველებით, რომლებთან ურთიერთობაც სულიერად გვავსებს და გვამდიდრებს; თელაველების გამორჩეული შინაგანი კულტურა და ინტერესი კულტურის მონაბოვრისადმი, წიგნიერებისადმი, მუსიკისადმი, სტუმრებისადმი... ყოველივე ის, რასაც, სამწესაროდ, ნელ-ნელა კარგავს თბილისი და თბილისელები, თელავში უხვადაა და ამიტომაც გამიჩნდა ასეთი სენტენცია – „ნინ, პროვინციისაკენ!“

თელავის ფესტივალი – ეს იყო მუსიკის ჯადოსნური სამყარო განფენილი შემოდგომის მზით გამთბარი თელავის არანაკლებ ჯადოსნურ გარემოში. ეს ისეთი საოცარი შთაბეჭდილებებია, რომ მენანება ხოლმე მხოლოდ საკუთარი თავისთვის შემოვინახო (თუნდაც მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის), მინდა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეიგრძნოს და გაითავისოს ეს განცდა, მით უფრო ახალგაზრდებმა და მით უფრო ამ

პრაგმატულ ეპოქაში.

თელავის საერთაშორისო ფესტივალი (ადრე „ქება ვაჩისა“ ერქვა. რატომდაც ეს პოეტური სახელწოდება შეეცვალა), პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში (1986) ჩატარდა და მაშინათვე ქართული კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად და განუყოფელ ნაწილად იქცა. ოცნებიანმა შეალებმაც კი ვერ გაახუნა იმჟამინდელი წარუშლელი შთაბეჭდილებები.

დღეს საქართველოში საკონცერტო ცხოვრება, შეიძლება ითქვას, არ გვაქვს (ამაზე მქონდა კიდეც საუბარი უურნალ „მუსიკაში“ – №3, 2013), საფესტივალო ცხოვრება კი დიდი სიუხვით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, თელავი მაიც განსაკუთრებულია ყველა ფესტივალს შორის. აქვე დაგენერიკული, რომ წლევანდელი მუსიკალური შემოდგომა არათუ დატვირთული, არამედ გადატვირთულიც იყო: ჯ. კახიძის სახელობის საიუბილეო ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ (22.09 – 26.10.), „თელავის საერთაშორისო ფესტივალი (12–20 ოქტომბერი), ამას დაემთხვა პიანისტთა მე-5 საერთაშორისო კონკურსი (10–22 ოქტომბერი) და ა.შ. ცხადია, სამივე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ, ალბათ, ისიც გასათვალისწინებულია, რომ მუსიკოსთა წრე არც ისე ფართოა, ამდენად ფიზიკურადაც და ფინანსურადაც წარმოუდგენელია სამივე მოვლენას განვდეს. იქნებ, ფესტივალებისა თუ კონკურსების ორგანიზატორებმა მომავალში ეს ფაქტორიც გაითვალისწინონ.

მაღალი მუსიკა-მეთქი ვახსენე და მართლაც, სწორედ ამით გამოვარჩევდი თელავის საერთაშორისო ფესტივალს, რაც, პირველ ყოვლისა, ღრმად გააჩრებულ საკონცერტო პროგრამებში, შემსრულებელთა პროფესიულ დონესა და შესრულების მხატვრულ ხარისხში გამოსჭივის – არანაირი კომპრომისი მსენელთან! ასეთია ელისო ვირსალაძის მიერ დაფუძნებული ფესტივალი, რაც, პირველ ყოვლისა, უშეალოდ მისი და მისი თანამოაზრე ბრნიშნვალე მუსიკოსების – ნატალია გუტმანის, ოლეგ კაგანის (ან განსვენებული), ედუარდ ბრუნერის დამსახურებაა. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ისინი იმ შემსრულებელთა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომლებიც არცთუ ბევრია დღევანდელ



დერქ პრაუერის ფოტოები

ელისო ვირსალაძი

მუსიკალურ სამყაროში. დღეს, მართალია, ბრნიშნვალე ინსტრუმენტალისტების სიუხვეა მსოფლიოში, მაგრამ დიდი მუსიკოსები არცთუ მრავლადა. თელავის ფესტივალში მონაწილე მუსიკოსთა უმრავლესობა სწორედ ამ ნაშინითა ხოლმე რჩეული.

პროგრამაში წამყვანი ადგილი კვლავ ბეთჰოვენს ეკავა: ბეთჰოვენის №3 და №5 საფორტეპიანო კონცერტები, კამერული მუსიკის კონცერტი პროგრამით „ბეთჰოვენის მეგობრები და მოსწავლეები“. ბეთჰოვენს ელისო ვირსალაძის შემოქმედებაში ყოველთვის ეჭირა გამორჩეული ადგილი, გვასხოვს იგივე მუსამე თუ მეხუთე კონცერტების მისეული დაუვინარი ინტერესუაციები, და მაიც, ბოლო პერიოდის კონცერტებში, ვფიქრობ, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბეთჰოვენს. გავიხსენებდი თუნდაც იმას, რომ განახლებული თელავის ფესტივალი, 2010 წელს, სწორედ ბეთჰოვენით გაისხნა. ასევე გვაიხსენებ თბილისში, კონსერვატორის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ელისო ვირსალაძისა და ნატალია გუტმანის დაუვინარ დუეტს, სადაც შესრულდა ბეთჰოვენის ხუთივე სონატა ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის. – რატომ ბეთჰოვენი? – ასეთი კითხვა დაუსვა მუსიკისმცოდნე მარიკა ჩიჯავაძემ პიანისტს, თელავის მუსიკალურ სასწავლებლის პედაგოგებთან შეხვედრაზე, რაზეც ქ-მა ელისომ ასე უცასუხა: – რამდენიც არ უნდა დაუკრა



ଶେଷରୁ କାହାରେ କାହାରୁ କାହାରିପାଇଁ, ଶେଷରୁ କାହାରାପାଇଁ, ଏଣ୍ଟାଲ୍‌ମ୍‌  
କାହାରିବେଳୀଙ୍ଗାଲ୍‌ମ୍‌, ଶୁଭାବସଲ୍‌ ବରୋଦା, ଶୁଭାବ୍ରତ ଲୁହାରା, ଏଣ୍ଟାରାନ୍‌ ଫର୍ମିନ୍‌ରାଜି

შე-  
დებთ ვენი, ვერას დროს ვერ მიაღწევ სასურველ შე-  
დეგს, ახლოსაც ვერ მიხვალ... მასში მედამა რაღაც  
ახალი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანტიკოსებთან ან  
სხვა კომპოზიტორებთან არაა ასე...“ ვფიქრობ, არის  
სხვა ფაქტორიც. ქნი ელისო ჟპირატესობას ანიჭებს  
„ნმინდა მუსიკას“, მუსიკას პროგრამულობისა და საგ-  
ნობრივი ასოციაციების, ანუ ყოველგვარი კონკრეტი-  
ზაციის გარეშე. მისთვის ბერეითი სამყარო თვითქმარი  
სამყაროა, არ ექვემდებარება და არ საჭიროებს კონკ-  
რეტიზაციას.

ფესტივალის პროგრამაში რომანტიკოსების შე-  
მოქმედებაც იყო წარმოდგენილი: შუბერტის სიმებიანი  
კვინტეტი თხზ 163, შუმანის საფორტეპაინო კვინტეტი  
თხზ 44, ბრაմსის სავიოლინო კონცერტი თხზ 77., დას-  
კვნით კონცერტზე კი შესრულდა საქართველოდან წა-  
სული, ისრაელში მოღვაწე კომპოზიტორის, ოსებ ბარ-  
დნაშვილის კონცერტი ფლეიტისა და სიმებიანი ორ-  
კუსტრისიათვის “GILGULIM” („სულის გარდასახვანი”).

ფუსტივალის გახსნასა და დახურვაზე ტრადიციულად უღერდა ქართული ხალხური მუსიკა; ქართულ აკადემიურ მუსიკას, სამწუხაროდ, ასევე ტრადიციულად, ნაკლები ადგილი ეთმობოდა. ვფიქრობ ეს, არა მხოლოდ თელავის, არამედ საზოგადოდ ჩვენი ფუსტივალების ყველაზე უარყოფით მხარეა. ვინ, თუ არა ჩვენ, უნდა გავუნიოთ პოპულარიზაცია ქართულ მუსიკას. რომ გადავხედოთ ნებისმიერი ევროპული ქვეყნის, მით უთრო აზის ქვეყნების დესივალებს, ვნახავთ,

ორმ ეროვნული საკომპონიტორო სკოლის ხელშე-საწყობად არამკუთ სრულდება ეროვნული მუსიკის ნიმუშები, არამედ თემატურ ფესტივალებში ცხადდება კონკურსი თანამედროვე კომპონიტორებისათვის და გამარჯვებული ნაწარმოები სრულდება ფესტივალ-ზე. ბუნებრივია, ამას დამატებითი სახსრები სჭირდება, მაგრამ ქართულ საკომპონიტორო სკოლას ხომ ნამდ-ვილად ესაჭიროება ხელშეწყობა. თუმცა ამის გარეშეც, ქართული კლასიკური მუსიკის 100 წლიანი ისტორიის მანძილზე ნამდვილად შესაძლებელია შეირჩეს ფა-სეული მუსიკალური ქმნილებები: ბალანჩივაძე, მშვე-ლიძე, მაჭავარიანი, ლალიძე, თორაძე, თაქთაქიშვილი, ცინცაძე, ნასიძე, გაბუნია, კვერნაძე, ღლონტი, კეჭაყ-მაძე... ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება. თუ გადავხე-დავთ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართულ უამრავ ფესტივალს, ვნახავთ, რომ თანამედროვე ქართული საკომპონიტორო სკოლიდან, ძირითადად ორად-ორი კომპონიტორი სრულდება. ეს ძალიან კარგი! მაგრამ, იქნებ, თელავის ფესტივალის შესანიშნავმა მესვეურებ-მა, ბრწყინვალე მუსიკოსებმა, ქართულ მონაპოვარსაც გადახედონ და ააუღერონ. ეს ხომ უფრო გამარდის ამ ფესტივალების ეროვნულ მნიშვნელობას. თუმცა აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო: ქ-მა ელისომ ჩვენთან სა-უბარში ბრძანა, რომ ის ფიქრობს ამზე და მომავალში დაგეგმილი აქვს ქართული პროფესიული მუსიკის მო-ნაპოვარები შეირჩნოს თუსიგვალის პროგრამაში.

შემსრულებელ-სოლისტთა შესანიშნავ კოპორატურული და ფლეისტისტი არიელ ცუკერმანი, მევიოლინე კოლია ბრაჟერი, მომღერლები - მჩია ნიორაძე და ტიფანი აბანი - წამყვანი ადგილი, ცხადია, კვლავ ელისო ვირსალაძეს, ნატალია გურგანის და მათთან ერთად შესანიშნავ კლარწერისტს, ქართველი მსმენელის უსაყვარლეს შემსრულებელს, ედუარდ ბრუნერს ეჭირა. არ შეიძლება არ აღინიშნოს საფესტივალო ორკესტრი, რომელშიც თავმოყრილნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა თაობის შესანიშნავი მუსიკოსები: საქართველოს ეროვნული კვარტეტის წევრების: თამაზ ბათიაშვილი (ვიოლინი - რომელიც ამჯერად მხოლოდ საანსამბლო ხომრებში გამოვიდა), და ნოდარ უვანია (ალტი), გიორგი თაგაური (ვიოლონჩო), ინგოლთ უკრანია (ვიოლინო), ბერ-

ჯამენ მარკიზ გილმორი (ალფი), რომელიც ჩვენთვის ცნობილი და საყვარელი მუსიკოსის, ქართველებისა და საქართველოს მეცნიერის, მეცნიერებისა და დირიჟორის ლევ მარკიზის შვილიშვილია, კორეელი ჩულ გინ პარკი (ჩელო), მიხეილ ქართველიშვილი (კონტრაბასი), გიორგი ქობულაშვილი (პიმი), ფინელი უაკო ლუომა (ფაგოტი), ჩეხი პუემისლ ვოიტა (ვალტორნა), ფესტივალში მონაწილეობდა აგრეთვე მეტად საინტერესო და ნაყოფიერი კოლექტივი – კვარტეტი „იბრი“, რომლის შემადგენლობაში არიან საუკეთესო მუსიკოსები: გიორგი ხაინდრავა (I ვიოლინო), თამარ ბულია (II ვიოლინო), ირაკლი ჭაფარიძე (ალფი), გიორგი ჯორჯაძე (ჩელო). სამწუხაროა, რომ დღემდე ამ კვარტეტს, რომელიც გარდა იმისა, რომ მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება, თანამედროვე ქართული მუსიკის აქტიური პროპაგანდისტიკუა, დღემდე ვერ მოექცება სათანადო სტატუსი (ან ტელე-რადიო კომიტეტის, ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კვარტეტის ან სხვ.), რათა მათ ჰქონდეთ სტაბილური დაფინანსება, რომ მეტი დრო დაუთმონ სწორედ საკვარტეტო მოღვაწეობას და საარსებო სახსრების მოსაპოვებლად არ იყვნენ გადარბენაზე ორკესტრსა და ორკესტრს, კონცერტსა და კონცერტს შორის. ეს უმნიშველოვანებია, პირველ ყოვლისა, ქართული საკომპონიტორო სკოლისთვის. ვგონებ, არ ვცდები, რომ დღეს მათ გარდა ქართულ თანამედროვე კამერულ მუსიკას არავინ ასრულებს.

ლევ მარკიზი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „საქართველოს მუსიკალური ჰუბლიკა საკმაოდ კონსერვატურია. საუკეთესო ჰუბლიკა იყო 40-50-60-იან წლებში. ყველა იმ ტრაგიკული მოვლენების შემდეგაც (იგულისხმება 90-იანი წლები, მ. ჯ.) გაიჩარდა ახალი თაობა, აღარაფერს ვამზობ იმაზე, რომ ისინი დაკავებული არიან ცოტა სხვა სახის მუსიკით... აյ მოხდა ერთგვარი რღვევა თაობებს შორის. ჩემდა სამწუხაროდ, ხშირად, ამ ძალიან სანდომიან, გულისხმიერ, კარგ ჰუბლიკას, ყოველთვის არ ესმის რა არის ნამდვილად კარგი და რა – ცუდი. ჰუბლიკის გემოვნებას მუსიკოსები აყალიბებენ და ამიტომ, უმნიშველოვანებია, ევროპიდან ინვევდნენ ჭეშმარიტად მაღალი დონის მუსიკოსებს“... როგორც უკვე აღვნიშნე, თელავის ფეს-

ტივალი სწორედ ასეთი მაღალი დონის მუსიკოსების მოსმენის შესაძლებლობას იძლევა და მათთან ურთიერთობა ქართველი მსმენელისათვის, განსაკუთრებით კი, ახალგაბრდებისათვის უწიშვნელოვანებისა.

ცხადია, ერთი სტატიის ფარგლებში სრულად გადმოსცე ის შთაბეჭდილებები, რომლებიც წამოგვყვათელავის ფესტივალის საოცარი კონცერტებიდან – შეუძლებელია, ისევე, როგორც ძნელია იმ ემოციის გადმოცემა, რომელიც მსმენელს მიანიჭა ბეთჰოვენის III და V კონცერტების ელისო ვირსალაძისეულმა შესრულებამ. რამდენჯერ მოგვისმენია მისი შესრულებით ეს ნაწარმოებები, იმდენჯერ გვაოცებს მისი ინტერპრეტაცია, ახალ და ახალ სიღრმეებში წვდომით. ბისტეცკი, როდესაც ხდება გამეორება შესრულებული ნაწარმოებისა, ან მისი ნაწყვეტისა (გამეორება, ამ შემთხვევაში, პირობითი სიტყვაა), კვლავ ახალ ხედვას და კომპოზიტორის სამყაროში ახლებურ წვდომას გვთავაზობს. რაფინირებულ ბერაზე, ტუმეზე და საოცრად ფაქტი პედალიზაციაზე (რომელიც მინიმუმამდეა დაყვანილი) რომ აღარაფერი ვთქვათ. მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ელისოსათვის მიუღებელია მუსიკის კონცერტიზაცია, მე, როგორც მსმენელს, III კონცერტის II ნაწილში თვალნათლივ ნარმომიდგა ბეთჰოვენი, ფიქრებით დამძიმებული რომ მისირნობს ვენის გარეუბნის ნარაფებსა თუ მინდვრებში. საიდან მოდის ეს ყველაფერი? რა მსაზღვრელი ნაწარმოების ყველჯერზე ახლებური გააჩრებისა? ნინასწარ დამუშავებული კონცერტია, ხედვა თუ... ვფიქრობ, ინსტრუმენტის პირველი შეხება და პირველი ბერა, საიდანაც ამობრდება და გადაიშლება კომპოზიტორის სამყარო ისე – თითქოს ახლა და ჩვენს თვალწინ იქმნება შედევრი და შემდევ ამას მოსდევს ყოველივე დანარჩენი. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ვანდა ლანდოვსკას სიტყვები: „....Когда берётся первая нота, она является словно возобновлением прерванного, но когда-то уже звучавшего монолога... Точно так же заключительный звук никогда не есть последний. Это скорее момент исчезновения того, что нам явилось“. ამიტომაცაა, აღბათ, რომ ელისო ვირსალაძისთვის ნაწარმოები არც არასდროს მთავრდება და არც არასდროს იწყება, ეს მისთვის მა-



არენა გლავერი, არიელ შუკორანი

რადისობაში წვდომის მუდმივი პროცესია და ჩვენ, მსმენელსაც ამ გზაზე გვატარებს.

გახსნაზე, ბეთჰოვენის III კონცერტის ელისო ვირსალაძისეული შესრულების შემდეგ, ცნობილმა გერმანელმა მევიოლინებმ, მსოფლიოს არაერთი სახელგანთქმული ორკესტრების სოლისტმა კოლია ბლაქერმა, რომელიც უკვე მეორედაა თელავის ფესტივალის სტუმარი, სტრადივარის ვიოლინიზე შესრულა ბრამსის შედევრი – სავოლლინო კონცერტი თხ8 77. მან მონუსა დარბაზი ტექნიკურადაც და ემოციურადაც ამ ურთულესი კონცერტის შესრულებით: საოცარი ბგერითა და ვიბრაციის ოსტატობით, ლირიკულ-დრამატული, რომანტიკული სახეების მკაფიოებით, პოეტურობით, პალიტრის ფერადოვნებით, თუმცა, ჩემი აღქმით, აქ არ ყოფილა ისეთი მძაფრი დრამატიზმი (ვგულისხმობ I ნაწილს), როგორიც ზოგ სხვა ინტერპრეტაციაში მოგვისმენია. ამ შესრულებამ უნებლიერ ბორის პასტერნაკის ლირიკული შედევრი, რომანტიკული ნოსტალგიითა და სევდით, სიყვარულითა და დრამატიზმით გამსჭვალული ლექსი გამახსენა: „Годами когда-нибудь в зале концертной// Мне Брамса сыграют, –toskoy изойду //... а долгий ожидание бурно პუстько კა ემოციებს ვერ ფარავდა...“

არ შეიძლება არ აღვნიშნო მაღალი კლასის მუსიკის, ახალგაზრდა დირიჟორი და ფლეიტისტი არიელ ცუკერმანი და საფესტივალი ორკესტრი, რომელმაც ამ სიმფონიზმებულ კონცერტში კ.ბლაქერის დაუვიწყარ შესრულებას სათანადო პარტიის მიერთობა გაუწია.

ა.ცუკერმანი ფესტივალის ბოლოს, დასკვნით კონცერტზე, წარმოგვიდგა როგორც შესანიშნავი სოლისტი-ფლეიტისტი, იოსებ ბარდანაშვილის კონცერტში ფლეიტისა და სიმებანი ორკესტრისათვის „GILGULIM“ („სულის გარდასახვანი“). იოსებ ბარდანაშვილის ეს ნაწარმოები, როგორც ყოველთვის, მეტად საინტერესო, ღრმა რელიგიურ-მისტიკურ თემატიკაზე აგებული ნაწარმოებია, სადაც „სულის გარდასახვას“, რენარ-ნაკიას, მივყავართ განწმენდისკენ, ბოროტისა – კეთილისაგენ. სულის განახლების, გარდასახვის არსი განწმენდასა და ამაღლებაშია.

ნატალია გუტმანის ბოლო წლების საშემსრულებლო ოსტატობა და სიღრმეები თითქოს სხვა გამზირი-ლებაში გადავიდა – უფრო ინტრავერტულია, თავის თავში და ავფორისულ „მეს“ ღრმა შრეებში წვდომითა ალბეჭდილი. დასკვნით კონცერტზე ნატალია გუტმანმა შეასრულა შოსტაკოვიჩის №2 სავიოლონჩელო კონცერტი ორკესტრთან ერთად თხ8 126. როგორც ცნობილია, ეს ნაწარმოები მიძღვნილია მსტილავ როსტროპოვიჩისადმი, რომელიც იყო კიდევ მისი პირველი შემსრულებელი. ასევე ცნობილია, რომ ცვეტა-ევას გარდაცვალებით გამოწვეულმა მძმე განცდებმა ნაწარმოებს თავისი კვალი დაამჩნია. წარსულის ციტატებით გაჯერებული ეს ფილოსოფიური ნაწარმოები, თითქოს შემსრულებლის სათქმელსაც ამბობდა... შოსტაკოვიჩის კონცერტი ურთულესი ამოცანების წინაშე აყენებს ორკესტრსაც; განსაკუთრებით დასარცყამდა სასულე ინსტრუმენტებს (კერძოდ, ვალტორნებს), რომლებიც ჩვენ ორკესტრში ხშირად პრობლემურია ხოლმე, მაგრამ საფესტივალო ორკესტრმა ამ რთულ ამოცანასაც გაართვა თავი. ერთი საინტერესო დეტალიც. ნაწარმოების შესრულების შემდეგ ქ-ნი ნატაშა დარბაზში მსმენელებს შეუერთდა, სახე ანითლებოდა, ასეთი შესრულების შემდეგ, ქართველ მუსიკოსებს, კოლეგა-მსმენელებს ეკითხებოდა – როგორი იყო? და კოლეგების ქათინაურებზე მაინც უკმაყოფილო გა-

მომეტყველება დასტუკობოდა სახეშე. გასაოცარია, თუ გადავხედავთ ზოგიერთ თვითგმაყოფილ „ხელოვანს“ ჩვენში...

ფესტივალის მეორე დღეს ვოკალური მუსიკის კონცერტი გაიმართა. არაჩვეულებრივი და ძლიერი, ლამაზი ხმის მქონე ქართველი მეცო-სოპრანო მზა ნიორაძე, რომელსაც ხშირად იწვევენ მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო სცენებზე ნამყანი პარტიების შესასრულებლად. კონცერტში ასევე მონაწილეობდა არაერთი კონკურსის გამარჯვებული, მეტად უცხო და თავისებური ტემპებისა და შესრულების მანერის მქონე სოპრანო, ტიფანი აბანი, რომელმაც იყალიურ საოპერო არიებს სრულიად განსხვავებული, უცხო შეფერილობა მიანიჭა. შესრულდა არიები სენ-სანსის, ვერდის, ბოროდინის, მუსორგსკის ოპერებიდან და ამნერისისა და აიდას დეუტი ვერდის ოპერიდან „აიდა“ – მეტად საინტერესოდ ჟღერდა ამ ორი სხვადასხვა ტემპებისა და საშემსრულებლო მანერის მქონე ხმების, ნიორაძისა და ტიფანის უანდემი. დასანანი ისაა, რომ ამ შესანიშნავ კონცერტში საკმაოდ ცოტა მსმენელი იყო.

დაუვიწყარია კამერული მუსიკის საღამოები – რომანტიკული მუსიკის საღამო, სადაც შესრულდა შუბერტის შედევრი – ერთადერთი, უჩვეულო შემადგენლობის (ერთი ალტი, ორი ჩელო) სიმებიანი კვინტეტი C dur (კოლია ბლაპერი, თამაზ ბათიაშვილი, ბენუამენ მარკი გილმორი, ჩულ გინ პარკი, ნატალია გუტმანი,) და შუმანის ასევე გენიალური საფორტეპიანო კვინტეტი Es dur თხ8 44 (ელისონ ვირსალაძე, კოლია ბლაპერი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ უვანია, ნატალია გუტმანი). მოვისმინეთ, მაგრამ როგორი შესრულებით! იშვიათი თანწყობა და ანსამბლურობა, მუსიკოსებს შორის გასაოცარი დიალოგები და მონოლოგები... განსაკუთრებით დაუვიწყარი იყო ჩემთვის პოეტურობით აღსავს მეორე ნაწილები.

ნათელი განწყობით დატოვა მსმენელმა დარბაზი კამერული კონცერტის „ბეთჰოვენის მეგობრები და მოსწავლეები“ შემდეგ, სადაც, თუ არ ვცდები, საქართველოში პირველად შესრულდა ბეთჰოვენის ეპოქის კომპონიტორების ნაწარმოებები: ფრანც დანცის (1763–1826) კვინტეტი ფ-ნოსა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის (ელისონ ვირსალაძე (ფ-ნო), გიორგი



დასალია გუსალი

ქობულაშვილი (ჰობო), პუემისლ ვოიტა (ვალტორნა), უაკო ლუომა (ფაგოტი), ედუარდ ბრუნერი (კლარნეტი); ანფონინ რაიხას (1770–1836) კვინტეტი კლარნეტისა და სიმებიანი კვარტეტისათვის (ედუარდ ბრუნერი, სიმებიანი კვარტეტი „იბერი“) და კონრადინ კრისტერის (1780–1849) სეპტეტი სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის (კვარტეტი „იბერის“ წევრები – გა ხაინდრავა (ვიოლინო), ირაკლი ჯაფარიძე (ალტი), გიორგი ჯორჯაძე (ჩელო), მხეილ ქართველიშვილი (კონტრაბასი), პუემისლ ვოიტა (ვალტორნა), უაკო ლუომა (ფაგოტი), ედუარდ ბრუნერი (კლარნეტი)).

დასკვნითი კონცერტის წინ, 19 ოქტომბერს, გაიმართა კამერული მუსიკის კონცერტი, სადაც შესრულდა ბეთჰოვენის ადრეული პერიოდის (1797) კვარტეტი Es dur ფ-ნოსა და სიმებიანი ტრიოსათვის (ფ-ნოსა და ჩასაბერებისათვის განკუთვნილი კვინტეტის ვარიანტი) და ოპერა ჰუმელის საფორტეპიანო კვინტეტი, ასევე Es dur. ვფიქრობ, არც ამ ორი კომპოზიტორის და კონცერტულად ამ ორი ნაწარმოების დაწყვილება უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. როგორც ცნობილია, ჰუმელმა დიდი გავლენა იქონია ბეთჰოვენმა და სიცოქლის ბოლოს სწორედ ბეთჰოვენის კვარტეტების საფორტეპიანოს ტრანსკრიფციებზე მუშაობდა. ეს კონცერტი განსაკუთრებული ნათელი, კლასიკურად გრაციოზული და სიცოქლის დამამკვიდრებელი განწყობებისა იყო, რაც საცკვაო ინტონაციებით აღსავს ჰუმელის კვინტეტის

ფინალის ბისზე გამეორებამ კიდევ უფრო გააძლიერა.

19 ოქტომბრის კამერულმა კონცერტმა თთქმსდა  
მაამზადა რვა საფუძვლივალო დღის საოცარი შთაბეჭ-  
დილებებით დამუხტული მსმენელთა აურა დასკვნითი  
საზეიმო კონცერტი-დახურვისათვის. მთელი ფესტი-  
ვალის ლოგიკური კულმინაცია და დასკვნა იყო კონ-  
ცერტი, სადაც ბარდანაშვილის “GILGULIM”-ისა და  
შოსტაკოვიჩის სავიოლონჩელო კონცერტის რთული  
ფილოსოფიური სენტენციებისა და განწყობილებე-  
ბის შემდეგ, აულერდა ბეთოვენის V საფორტეპია-  
ნო კონცერტი, როგორც საზეიმო აკორდი. სწორედ ეს  
მაფიქრებინებს, რომ, თელავური ფესტივალის არა  
მხოლოდ თითოეული კონცერტის პროგრამაა ღრმად  
გააზრებული (თუნდაც დასკვნითი!), არამედ ფესტივა-  
ლის მთლიან პროგრამას აქვს თავისი დრამატურგია  
(ვგონებ, ტონალური გეგმაც კი). ამითაც გამოვარ-  
ჩევდი თელავის ფესტივალს სხვა მუსიკალური ფორუ-  
მებისაგან.

მინდა ორიოდ სიცუვა ვთქვა არაჩვეულებრივ მსა-  
ტერკლასებზე, რომლებიც ჩაატარეს ელისო ვირსა-  
ლაძემ, ნაფალია გუმბანმა, შუალგარტის მუსიკისა და  
ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა, მევიო-  
ლინე ინგოლფ ტურბანმა და ედუარდ ბრუნერმა. ის,  
რომ თითოეული მსატერკლასი მეტად საინტერესო და  
მრავლისმომცემი იყო, ამაზე საუბარს ცალკე წერილი  
დასჭირდება. ბევრი ინატრებდა არა მხოლოდ საქარ-  
თველოში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში  
ასეთი თონის მუსიკოსებთან მასკრეპლასის გავლას.

დასანანი ისაა, რომ მასტერკლასებს კაფასტროფულად ცოტა მსმენელი ესწრებოდა. მაგალითად, ნატალია გუტმანის მასტერკლასზე 10-მდე მსმენელიც კი არ იქნებოდა (შედარებით მრავლად იყვნენ ქ-ნ ელისო ვირსალაძის მასტერკლასზე), ისეც, ძირითადად, პედაგოგები. მე მახსოვს 80-ან წლებში სუსდენტები გადარჩენაზე იყვნენ — ერთი მასტერკლასიდან მეორეზე გარბოდნენ, რომ არაფერი გამორჩენოდათ. გასაგებია, რომ თბილისიდან სტუდენტები ვერ ესწრებიან მთელ ფესტივალს, ვიმედოვნებ, რომ ძირითადად უსახსრობის გამო (სასიხარულოა, რომ გახსნასა და დახურვაზე ამჯერად მაინც ბევრნი იყვნენ), მაგრამ თელავის სასწავლებელში, რამდენადაც ვიცი 300-მდე მოსწავლეა, პედაგოგებიც მრავლადაა. წუთუ არ უნდა აინტერესებდეთ ასეთი რანგის მუსიკოსების მასტერკლასები? ამაზე დიდი სკოლა რა უნდა იყოს მომავალი მუსიკოსისათვის? და თუ ამის სურვილი ქართულ მუსიკალურ საზოგადოებაში, სტუდენტობაში, საერთოდ ალარ არსებობს, კიდევ უფრო ცუდად გვქონია საქმე, ვიდრე მე მეგონა.

მასტერკლასებზე წარმოდგენილნი იყვნენ ამჟამად  
უკვე უცხოეთში სასწავლებლად წასული სტუდენტები  
— ლიბა კაპანაძე (ფორტეპიანო, გერმანია), თეონა ყა-  
ზიშვილი (ვიოლინო, იტალია) და თბილისის კონსერ-  
ვატორის სტუდენტები — ნინო კუპრეიშვილი (ფორ-  
ტეპიანო, პედაგ.: ლალი სანიკიძე), არჩილ ჩხიგვიშვილი  
(ჩელო, პედაგ. თ. გაბარაშვილი). ვფიქრობ, უცხოეთში  
სასწავლებლად წასულ სტუდენტებს არც მასტერკლა-  
სები აკლიათ და არც განათლებისათვის სათანადო პი-  
რობები, ამიტომ ვისურვებდი თბილისის კონსერვატო-  
რიიდან მეტი სტუდენტი ყოფილიყოს წარმოდგენილი,  
თუმცა აღმოჩნდა, რომ მასტერკლასებზე მონაწილეო-  
ბისთვის სტუდენტთა შერჩევა ჭირს, ყველა სპეციალო-  
ბაზე, განსაკუთრებით კი ვერ პოლონებენ მსურველებს  
სასულე ინსტრუმენტებზე (!?) — კარარსათთა!

არ შემიძლია გულისტყვილი არ გამოვხატო ედურდ ბრუნერის მასტერკლასის გამო. ჩვენ კარგად ვიცით რა დადა მუსკოსია ბრუნერი. მსმენელისათვის დღემდე დაუვიწყარია მისი პირველი სოლო თუ საან-სამბლო გამოსვლები 80-90წნ.-ის თელავის ფესტივა-ლებზე. ქართველი მსმენელი ჩასაბერი საკრავების სო-ლო კონკრეტულით არ იყო განხიბივრებნელი და ად ინ-

სტრუმენტებით დიდად არც იყვნენ დაინტერესებულნი ახალგაზრდები. ვფიქრობ, რომ ბრუნერმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში კლარნეტისა და საზოგადოდ, ჩასაბერი საკრავებისადმი ინტერესის გაღვივებაში. ამიტომ, ცხადია, როდესაც მასთან მასტერკლასტე გაგვყავს მოსწავლე, ის სათანადო დონეზე უნდა იყოს მომზადებული, რომ ასეთი დიდი მუსიკოსის დრო და ენერგია ცუკილად არ დაიხარჯოს. ამჯერად თავს ავარიდებ იმ სკოლის, მოსწავლეებისა თუ პედაგოგების დასახელებას, რომლებიც მონანილეობას იღებდნენ ამ მასტერკლასში. ერთს კი ვიტყვი, რომ მომავლისათვის, ალბათ, უფრო დაკვირვებით უნდა იქნეს შერჩეული მოსწავლეებიცა და პედაგოგებიც, რომ ისეთი კურიოზი არ მოხდეს, როგორიც ამ შემთხვევაში იყო. ნუთუ თბილისის კონსერვატორია (და არა მარტო თბილისის, ჩვენ ხომ 3 კონსერვატორია გვაქვს!) იმ დონეზე არ არის, რომ თითო სპეციალობაზე, თითო დირსეული და სათანადო მომზადებული სტუდენტი წარმოადგინოს თელავის საფესტივალო მასტერკლასებზე? ნუთუ იმ ავადსახსენებელ 80-იანი წლების ბოლოს მეტი კარგი სტუდენტი ჰყავდა კონსერვატორიას, ვიდრე ამ მოწესრიგებულსა და ევროპულ დონეზე გარემონტებულ კონსერვატორიაში? და მასენდება ფრიჩა ფილმიძნ: „მაშ რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძრამდე არ მიგვიყვანს?“

ბენებრივია, ბემოაღნიშნულ პრობლემებს თელავის ფესტივალი ვერ მოავარებს, მან შეიძლება ხელი შეუწყოს მუსიკალური პროცესების გაჯანსაღებას, მოგვარება კი კულტურის მესვეურთა საქმეა — სახელმწიფოს ნებაა საჭირო... და თუ ქართული მუსიკალური კულტურის გადარჩენის სტრატეგიული კონცეფცია არ შემუშავდება ქვეყანაში, ცოტა ხანში ფესტივალების ჩატარებასაც დაეკარგება აზრი.

სამწუხაროდ, კონცერტი „მომავალი თაობა“, რომელიც თელავის მუსიკალური კოლეჯის დარბაზში უნდა გამართულიყო, ჩაიმალა — როგორც გვითხრეს კონცერტში მონანილე სტუდენტები სათანადო არ ყოფილან მომზადებულნი. უკნაურია, რომ ეს მხოლოდ თელავში აღმოაჩინეს. თუმცა, კოლეჯში მისულებს სასიამოვნო სურპრიზი დაგვხვდა — კოლეჯის პედაგოგებს ქნი ელისო ვირსალაძე ხვდებოდა. ძალიან საინტერესო

შეხვედრა იყო. პედაგოგებმა თავისი სატკივარი გაუტარეს ქ-ნ ელისოს და ისიც, გასაოცარი სითბოთი, უბრალოებით ესაუბრებოდა და თანაუგრძნობდა მათ, რჩევებსა და თავის მოსაზრებებს უზიარებდა.

ერთი დეტალიც. ბოლო წლებში ფესტივალის კონცერტების (მხოლოდ გახსნისა და დახურვის) წაყვანა ე.წ. „ცნობად სახეებს“ მიანდეს. ამჯერად ეს ყველასათვის კარგად ცნობილ ფილოსოფონსა და ფილოლოგს ბ-ნ ბაბა შათირიშვილს დაევალა. მესმის, რომ ე.წ. „ცნობადი სახეები“ ერთგვარი რეკლამაცაა ჩვენი სწობად-ქცეული საზოგადოების ნაწილისათვის, მაგრამ როდესაც ისინი დარბაზს ბეთჰოვენსა, შოსტაკოვიჩსა თუ რომანტიკოსებზე ესაუბრებიან, ფარული უხერხულობის ტალღა გაკრთება ხოლმე დარბაზშიც და თავად წამყვანის ხმაშიც. მე მახსუნდება უენია მაჭავარიანი, მისი პროფესიონალიზმითა და ორატორული ნიჭით აღსავსე გამოსვლები... სამწუხაროდ, დღეს არ ვიცი, ვინ შეიძლება იყოს მსგავსი წამყვანი, მაგრამ იქნებ მოიძებნებოდეს ახალგაზრდა მუსიკოსი, რომელიც შეძლებს ამ მეტად პასუხსავებ და საპატიო მუსიკალურ დღესასწაულზე წამყვანის ფუნქცია იტვირთოს. ესეც ხომ ცალკე ნიჭი და პროფესიაა, რომელიც ისევე გვაკლია, როგორც ბევრი სხვა რაბ.

დაბოლოს, თელავის საერთაშორისო ფესტივალი ნამდვილად ამართლებს თავის დევიზს „ეზიარეთ მაღალ ხელოვნებას“. მე დავამატებდი: ფესტივალი, სა-დაც ვერ წასავთ დღეისათვის ქოდენ დამსასიათებელ ვერც გარეგნულ ეფექტებს, ვერც შოუ-ელემენტებს და ვერც შოუ-მუსიკოსებს.

„შემოდგომის დღესასწაული“ დასრულდა, მაგრამ ქართველი მსმენელი კვლავ დაელოდება მომავალ თელავურ ოქროსფერ შემოდგომას მაღალ ხელოვნებასთან შესახვედრად.

# „სიცოცხლის ბოლო ცუთადე...“

მარიამ ქავეშვილი

(კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი)

ოქტომბერში, თბილისში, თანამედროვე ცეკვისა და ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის ფარგლებში, ქართველი ბალეტმასტერის, მოცეკვავისა და პედაგოგის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი ალექსიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. ეს იყო დიდი ხელოვანის ნატიფი ქორეოგრაფის, მისი დაუკავებელი შემოქმედებითი ენერგიის გაცოცხლება, რომელმაც მაყურებელში ძლიერი ემოციური გამოძიები შეიტანა და მე კი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დამიტოვა.

საღამოს ფორმა უჩვეულო იყო და ამბას, თითქოს და, რობერტ სტურუას „თეატრ- ფაზრიკა“-ს სივრცე – საგამოფენო დარბაზები, დარბაზის შესაბამის მოთავსებული სცენა – უწყობდა ხელს. ამ თეატრში შესვლისთანავე მაყურებლის წინაშე საინტერესო სანახაობა იქმნებოდა. ორ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ფოტოგამოფენა თვალნათლივ ასახავდა გიორგი ალექსიძის შემოქმედებასა და წარმატებებს. კედლებზე განლაგებულ ეკრანებზე ბალეტმასტერის სხვადასხვა წელს გადაღებული საარქივო მასალა ჩანდა: სცენები სკექტაკლებიდნ, რეპეტიციები. ეფექტური იყო საგამოფენო სივრცეში ცოცხალი საბალეტო ფრაგმენტების ჩართვა. ყოველივე ამას წარმართავდა რუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო კასრაძე, რომელმაც ამ საღამოს წამყვანის ფუნქცია იტვირთა.

საღამოს მთავარი ნაწილი თეატრის დარბაზში გაგრძელდა. ივი კონფერენციის სახით იყო ჩატიქრებული. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გიორგი ალექსიძის უახლოესი მევობები, კოლეგები, ბალეტის მსახიობები, ხელოვნებათმცოდნები, მოწაფეები, მოწვეული



გიორგი ალექსიძე

უცხოელი სტუმრები. მედიატორის როლს მუსიკისმცოდნე ნანა ლორია ასრულებდა.

კონფერენცია გახსნა ფილოსოფოსმა და ურნალისტმა ხათუნა მზარელუამ, რომლის მოხსენება თანამედროვე ცაკვის ხელოვნებას მიეძღვნა. გამომსვლელთა საუბრებში თანდათანობით იქმნებოდა სრული წარმოდგენა გიორგი ალექსიძის ცხოვრების გზაზე, იმ აუმოსფერობებე, რომელშიც ივი იჩრდებოდა (მომსენებელი რისმაგ გორდებიანი), მისი ქორეოგრაფიული პრინციპებისა და შემოქმედებით კრედობებე, რომელიც საყოველთაო მოწინებასა და აღტაცება იწვევს. აქვე აღნიშნავ, რომ ამ დარბაზის სპეციფიკური სივრცე ხელს უწყობდა მაყურებლებსა და გამომსვლელთა შორის უშუალო კონტაქტის დამყარებას, ინტიმური ატმოსფეროს შექმნას.

საუბარს ამდიდრებდა პერიოდულად ჩართული ვიდეომასალა, რომლის ღერძს წარმოადგენდა თავად გიორგი ალექსიძის უაღრესად შთამბეჭდავი ინტერვიუ. მასში ირკვლებოდა ის გარემო, რომელშიც ივი იჩრ

დებოდა, ლენინგრადში სწავლის წლები, ურთიერთობა საბალეტო ხელოვნების გამოჩენილ წარმომადგენლებთან, რამაც განსაზღვრა მისი შემოქმედებითი ინტერესების სფერო და საკუთარი შემოქმედებითი გზის პოვნას შეუწყო ხელი.

მაყურებელთა წინაშე მთელი სისავსით წარმოჩნდა ქორეოგრაფის სპეციფიკური კამერული ხელწერა, რომლის დროსაც, კამერული მუსიკირების მსგავსად, თითოეული დეტალი, თითქოსდა, გამადიდებელ შუშაშია გაფარებული. ამასთან დაკავშირებით ლენინგრადელმა მუსიკისტოდნებმ, ერა ბარუჩევამ, აღნიშნა ალექსიძის აიდი ქორეოგრაფიული კულტურა და მხატვრული გემოვნება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ალექსიძის ბალეტებში თავი იჩინა სრულიად ახალმა საბალეტო ლექსიკამ.

ქართული საბალეტო ხელოვნების წარმომადგენლებმა (ნიალა გოძიაშვილი, ქეთევან მუხაშვილია) ისაუბრეს იმ პოლიტიკაზე, რომელსაც აფარებდა ვიორგი ალექსიძე თბილისში მოღვაწეობის პერიოდში. მისი პრიორიტეტები იყო: საუკეთესო კლასიკური საბალეტო რედაქციების აღდგენა, შემოქმედებით მუშაობაში ვახტანგ ჭაბუკიანის ჩამა (რომელსაც იმ ხანად ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რბილად რომ ვთქვათ, არ მფარველობდნენ) და საქართველოში საბალეტო ხელოვნებაში ახალი ტენდენციებისა და ქორეოგრაფიული აზროვნების დამკიდრება, საცეკვაო ენის განახლება.

არაერთმა მომხსენებელმა ისაუბრა ვიორგი ალექსიძის მუსიკისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე. იგი ზედმინევნით კარგად ერკვეოდა მუსიკის თითოეულ მიმართულებასა და სტილში, ქორეოგრაფიის ენით ახდენდა მუსიკალური პრინციპების ფილოსოფიურ განზოგადებას. ეს საკითხი კი, განსაკუთრებით თვალნათლივ, მისივე ინტერვიუში გაშუქდა. უაღრესად დამაჯერებელი და საინტერესო იყო მისი საუბარი შემოქმედებით პროცესზე. ვიორგი ალექსიძისთვის მუსიკა იყო იმპულსი, საიდანაც იბადებოდა თითოეული ახალი მოძრაობა, საბალეტო დადგმის მთელი კონცეფცია.

მომხსენებელთა წანილმა (რეჟისორი გიზო უორდანია, რუსთაველის თეატრის მსახიობი ლელა ალიბეგაშვილი, თეატრმცოდნე დოდო ხურცილავა) ისაუბრა ვიორგი ალექსიძის ნამუშევრებზე კინოსა და თეატრ-

ში, იმაზე, თუ როგორ კარგად ერკვეოდა იგი ამა თუ იმ ფილმის, თეატრალური დადგმის ტემპ-რიტმსა და სტილისტიკაში.

გულისამაჩუყებელი იყო ვიორგი ალექსიძის ინტერვიუს ფინალი, რომელიც 2000 წელს მოსკოვში მასზე თავდასხმის შემდეგ ჩაიწერა: „მე ძალ-ღონით ვარ სავსე და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვიმუშავებ“, ამბობს მძიმე ოპერაციების შემდეგ გარეგნულად შეცვლილი და ფიზიკურად დასუსტებული გოგი ალექსიძე. და მართლაც, ხდება საოცრება – იგი ვანაგრძობს მუშაობას, თანხმდება პეტერბურგში იაკობსონის თეატრში მთავარი ბალეტმაისტერის თანამდებობის დაკავებაზე (არა-ნაკლებ გასაკვირია, რომ მას იმხანად ეს თანამდებობა შესთავაზეს), საოცარი ტემპერამენტით ატარებს რეპეტიციებს და ასე იწყება მისი შემოქმედების ბოლო, ყველაზე ინტენსიური და ნაყოფიერი პერიოდი – იქმნება ქორეოგრაფის ხელწერისათვის სრულიად ახალი, მრავალწამიანაგვანი სტილური სინთეზით გაჯერებული საბალეტო დადგმები – დაიდი ფორმის სპექტაკლები, 32 საბალეტო მინიატურა, რომლებიც დღესაც ამშვენებენ მრავალი ქალაქის თეატრთა საბალეტო რეპერტუარს.

საღამოზე განსაკუთრებით აღინიშნა ვიორგი ალექსიძის პედაგოგიური მოღვაწეობა, როგორც თბილისში, ასევე სანქტ-პეტერბურგში და მოსკოვში (ერა ბარუჩევა, იაკობსონის თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი იური პეტუხოვი). საბედნიეროდ, ვიორგი ალექსიძის იდეას თბილისში ქორეოგრაფების აღმრდის შესხებ ხორცი შეასხა მისმა მეუღლებ – ცნობილმა მოცეკვავები და პედაგოგმა მარინა ალექსიძემ. იგი ხელმძღვანელობს თბილისის კონსერვატორიაში გახსნილ განყოფილებას, რომელიც ქორეოგრაფ-რეპეტიორებს ამზადებს და რომლის პირველი კურსდამთავრებულია ვიორგი ალექსიძის ქალიშვილი, თავად მოცეკვავე და დღეს უკვე ცნობილი ახალგაზრდა ქორეოგრაფი მარიამ ალექსიძე. სწორედ მის მიერ დადგმულმა საბალეტო ნომერმა კიდევ უფრო დაამშვენა ეს დაუკანისა საბალეტო ბოლო წერტილი კი, იური პეტუხოვმა დასვა – მისი წინადადებით თბილისში უნდა ტარდებოდეს ვიორგი ალექსიძის სახელობის ქორეოგრაფთა საერთაშორისო კონკურსი. იმედია, რომ ეს იდეა დაიდი წარმატებით განხორციელდება.

# სიჩუმიდან აღმოცხანებული იმპულსები

(რეზო კიკნაძის მუსიკალური პარტიტურა)

ნახა პოპიკი

გასულმა საუკუნემ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში, თუნდაც იმით, რომ მის წილში აღმოცენდა ჯაზი, მუსიკის ყველაზე თავისუფალი მიმდინარეობა, რომელიც მუდმივი განვითარებისა და უსასრულო იმპროვიზაციის წყალობით, ჩვენი ყოფის განუყრელ ნაწილად იქცა. მეც, სხვებივით, მთელი ცხოვრება ამ მუსიკის ერთგულ თაყვანისმცემლად დავრჩი, თუმცა, ტექნოლოგიის განვითარებამ, ადამიანს შესაძლებლობა მისცა გაერღვია აქამდე მიუწვდომელი ტექნიკურ-გამოშახველობითი შესაძლებლობები და ასულიყო ისეთ ესთეტიკურ სიმაღლეზე, რომელმაც შვა სრულიად ახალი მუსიკალური აზროვნება, ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის სახით, ურომლისოდაც წარმოუდგენელი გახდა თანამედროვე ყოფა. გამოგიტყვებით, ყოველთვის ვარიდებდი თაქს, ჩემი დამოკიდებულების გახმაურებას ამ მუსიკისა და ბოგადად, იმ ადამიანთა მიმართ, ვინც მას ქმნიდნენ, თუმცა ჩემში არსებული, სტერეოტიპამდე გამყარებული პობიცია ერთ დღესაც ძალიან მარტივად დაიმსხვრა. ამის მიზებად კი კომპოზიტორ და საქსოფონისტ, პროფესორ რეზო კიკნაძესთან შევედრა იქცა, რომელიც ამჟამად კონსერვატორიის რექტორია და როგორც იქ, ისე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტროაკუსტიკური და კომპიუტერული მუსიკის მიმართულებას ხელმძღვანელობს. მან მოღვაწეობა გავილებით ადრე, ანჩისხატის გუნდში მგალობლობით დაიწყო და მაღლ ჯაზის უკიდეგანო სამყაროში შეაბიჯა... რეზო კიკნაძესთან ინტერვიუს შემდეგ ჩემი თეორიული მიდგომა ელექტროაკუსტიკური მუსიკის მიმართ, რესპონდენტის სიტყვებით რომ ვთქვა: „დიამეტრულად შეიცვალა“ და სახლში დაბრუნებული

მთელი არსებით მივენდე ახალ გატაცებას, რომელმაც სულ სხვა სივრცეები გადამიშალა...

**ნატა კობიძე** – როგორ იქმნება ელექტროაკუსტიკური კომპოზიციები?

**რეზო კიკნაძე** – მუსიკის წერა არ ნიშნავს მხოლოდ ინსტრუმენტან ჯდომას და პარტიტურაში კირკიტს. ის ბოგჯერ თავში იქმნება, ბოგჯერ კი ქუჩაში ჩარერილი აუდიო-მასალისგან აღმოცენდება. შეიძლება სანოტო მასალის წყაროდ სიჩუმეც იქცეს, მთავარია ძლიერი იმპულსები ბოლომდე გაგვეხს...

**ნ.კ.** – რამდენიმე ფოლმის მუსიკის ავტორი ხართ, მათ შორის გახმაურებული “ქუჩის დღეების”, როგორია კინომუსიკის სპეციფიკა?

**რ.კ.** – „ქუჩის დღეები“, მგონი, კარგი გამოვიდა. კმაყოფილი ვარ მუსიკით, სულ სხვაა, ვიდრე წარმომედგინა. ლევან კოდუაშვილი ამბობდა, არ ვდებ თავს მუსიკის ცოდნაზე, მაგრამ ვგრძნობ, რა მსურსო. საბოლოოდ კი მივედით იმ დონემდე, რომ ორივე კმაყოფილი დავრჩით. ბოგჯერ რეჟისორი საერთოდ არ ერევა მუსიკის სფეროში და რასაც კომპოზიტორი შესთავაზებს, იმას თანხმდება. თუ კომპოზიტორი კარგია, რეჟისორი მუსიკას მას სრულად მიანდობს, მაგრამ ხანდახან დგება ის მაგიური მომენტი, როცა უკვე არსებული მუსიკა ფილმს თემატურად საოცრად მიესადაგება. ბოგადად კი, ფილმში მუსიკის როლზე უფრო სპეციფიკური წარმოდგენა მაქვს, ვიდრე სხვებს (ავიღოთ ნინო როტას მუსიკა, ფელინის, ძეფირების, ვისკონტის ფილმების უბადლო



რევაზ პიპაძე

მუსიკის ავტორის). პირადად ჩემთვის კინომუსიკის შექმნა, დიდი ინტერესის საგანია. ბოგჯერ ფილმში მუსიკის ადგილს თითქოს ვერც კი ვხედავ, ამიტომ ჩემი უსაყვარლესი ფილმა, „რეპორტიორის პროფესია“, თავისი უდერადობით, სადაც საერთოდ არაა მუსიკა, მაგრამ საოცარი უდერადობაა. ვერ დავიკვეხნი, რომ ყველა სიტუაციაში მოვხვედრილვარ, რადგან ბევრი ფილმი არ მიკეთებია. გერმანიაში წასვლამდე თეატრში მიმიწვიეს, ჯერ „აუკრეფავ“ სპექტაკლის სამჩადისჩე (რეპერიციას ვგულისხმობ), თუმცა მივხვდი, რომ არ ვიყავი მშად მუსიკის შეთავაზებისთვის.

ნ.კ. – ბევრი სპექტაკლი გაქვთ გაფორმებული?

რ.კ. – ორი, თუ სამი. ისიც უთქვამთ, რანაირი კომ-

ბობიტორია, მუსიკას გვიყვებათ. სხვაგვარად როგორ იქნებოდა, დაუმთავრებელი სპექტაკლში ხომ ძნელია ორიენტირება, მითუმეტეს, როცა გამოუცდელი ხარ. ბოგჯერ რეჟისორი იდეებს თავად გთავაზობს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არ ამართლებს მათი შემოთავაზება.

ნ.კ. – გამოცდილი მუსიკოსები როგორ იქცევიან მსგავს სიტუაციაში?

რ.კ. – ისეთები, როგორიც გია ყანჩელია? აღბათ სათაურიდანვე უღებენ აღლოს სპექტაკლს. ბატონი გია ჩემი სიმამრის, ჩუბჩიკას (მხატვარი თენგიზ მირბაშვილი

– ნ.კ.) უახლოესი მეგობარი გახლავთ. დიდი ხნის წინათ ერთმანეთი სწორედ მისგან გავიცანით. მაშინ დამწყები კომპოზიტორი ვიყავი და ჩემმა სიმამრმა მირჩია,

## პორტატიფი

მისთვის ჩემი პარტიულურა მეწვენებინა. მას შემდეგ ყოველთვის ვგრძნობდი ბატონი გიას კოლეგიალურ დამკიცებულებას. მისი შვილი, სანდრო ყანჩელი, ჩემი უახლოესი მეგობარია. ბატონი გია კი დასაყრდენი იყო ჩემთვის გერმანიაში ცხოვრების პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისგან 600 კმ გვაშორებდა, ყოველთვის მხარში მედგა და არასდროს უთქვაშს ისეთი რამ, რაც ანადგურებს მუსიკოსს, თუმცა ჰაიპერად ქების სიტყვებსაც არ ისვრის. ძალიან გამხარებია, როცა მისი მონაცემა დამიმსახურებია. რამდენჯერმე ჩანაწერი გავუგზავნე და ყველაფერი დეტალურად განიხილა, უკომენტაროდ თითქმის არც ერთი ფრაგა არ დატოვა. ეს მისი კეთილსინდისიერების გამოხატვა იყო კოლეგისადმი. თუმცა ბევრ საკითხში დიამეტრულად განხსნავდებოდა მისი მუსიკალური ესთეტიკა იმისგან, რაც ჩემთვის იყო მუსიკა და იმისგან, რისი განხსნეულებაც იყო ჩემი მასწავლებელი, მიხო შუღლიაშვილი...

ნ.კ. – ყანჩელმა კინომუსიკით დამკვიდრა სახელი, დღეს შეიძლება ამ გზით თვითდამკვიდრება?

რ.კ. – როგორ არა, მით უმეტეს ისეთი დიდი კომპოზიტორისთვის, როგორიც ბატონი გიაა, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ ის მხოლოდ კინომუსიკით გაიცნებს. ერთხელ, ბერლინში ვესტუმრე. მოძასმენინა მუსიკა, რომელსაც წერდა, (არ ვიცი, მაქვს თუ არა ამის თქმის უფლება). დამსვა და გერმანულ ტექსტებები მამლერა ნანარმოები, თავად კი უკრავდა, სურდა საკუთარ გრძნობებს ჩაღრმავებოდა. დიდი ინტუიციის ადამიანია, საოცრად ტემპრული აზროვნება აქვს, ინტუიტიურია. გერმანული შეიძლება კარგად არ იცოდეს, მაგრამ მისი ბუნებრივობა ამ ენასთან მიმართებაში თავად გერმანელ ავტორებსაც კი შეშურდებათ. მოგეხსენებათ, გერმანული ქართულივით რთული ენაა და ძალბე მახინჯდება, როცა მას არასწორად გაამღერებენ.

ნ.კ. – დღეს გერმანისკენ განსაკუთრებით მიიღუვიან მუსიკოსები, თუმცა არის ისეთი კულტურული კურები, როგორიცაა ინგლისი, ან საფრანგეთი, როგორ ფიქრობთ, რა ინვევს ასეთ ინტერესს გერმანიის მიმართ?

რ.კ. – ეს არ უნდა გავიკვირდეთ, რადგან გერმანია ევროპული პროფესიული მუსიკის მწვერვალია, თუმცა ყოვლად აღტაცებული ვარ ინგლისური მუსიკის გარკვეული ეპოქებით, ფრანგული მუსიკითაც. გერმანული კი, მინებანგიდან დაწყებული, დღევანდელი ავტორებით დამთავრებული, რაღაც უცნაურად საინტერესო და მიმიდველია ჩემთვის. იქ 1990 წელს ჩავედი, ჩემი უახლოესი მეგობრის, ორგანისტ მარიკა ლაფაურის რჩევით, რომელიც ქართული კულტურის დიდი მოამაგება გაბლავთ. ამ რჩევისთვის მთელი ცხოვრება მარიკას მადლიერი ვიქები, რადგან გერმანიაში გატარებული იყო წელი უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ჩემთვის.

ნ.კ. – ჯამშა როდის გავიტაცათ?

რ.კ. – უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, მეორე კურსზე რომ ვიყავი. თუმცა ყოველთვის მიყვარდა ჯაბი. სწორედ მან გადამანყვეტინა მუსიკოსობა და ჩემი კარიერაც მთლიანად შეცვალა. მართალია არ ვიყავი ცუდი სტუდენტი ფილოლოგის ფაკულტეტზე, მაგრამ ჯაბმა წაიღო მთელი ჩემი ინტერესი და ენერგია. 1982 წელს კომპოზიციამ გამიტაცა. იმ პერიოდში გავიცანი და დავუმეგობრდი დათო შუღლიაშვილს, რომელსაც გავუმსილე ჩემი გასაჭირო, რომ ვიწყებდი მუსიკის წერას და ვეღარ ვასრულებდი. მან კი მაშინვე მამამისთან, მიხო შუღლიაშვილთან მიმიყვანა, რომელიც განუმორებელი პედაგოგიური და მუსიკალური ესთეტიკის მატარებელი ადამიანი გახლდათ. მის კლასში კონსერვატორიის სტუდენტებიც სწავლობდნენ, უბრალო მუსიკოსებიც და უკვე მოღვაწე კომპოზიტორებიც. ბატონ მიხოს სწავლების უნიკალური მეთოდი ჰქონდა, გენიალური სიმარტივითა და ეფექტურობით, ის გიზიდავდა ირეალური სამყაროს ამომხურავი ფანტაზითა და არარსებული ლოგიკური და არალოგიკური ასოციაციებით. მისი მეთოდიკა დადებითად მოქმედებდა ყველაზე, იმ ინფორმაციული დეფიციტის ფონზე, რომელიც კომუნისტურ ეპოქას ახლდა. ეს არ იყო სიურეალიზმი, არამედ არსებული რეალობა, რომელსაც ახლა უფრო ვაფასებ. ხანდახან ადამიანის ცხოვრებაში დგება დიდი ბედნიერების წამი, მაგრამ ისე გაივლის დრო, რომ ვერც კი გრძნობ ამას. ეს არ არის მონაცემება, თუმცა

რომანტიკულობა ყოველი ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა, უბრალოდ არის წამები, რომელსაც თავისი ჯადოსნური ძალით შეუძლია წარუშლელი კვალი დატოვოს ჩვენს მეხსიერებაში, მაგრამ შესაძლოა მასში არაფერი იყოს განსაკუთრებული. პატარა არ ვარ, ისე ვიცხოვრე, რომ ასეთი წამები ძალიან ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ნ.კ. – მიხო შუღლიაშვილი ალბათ ცალკე საუბარს იმსახურებს....

რ.კ. – ეს ძალიან ღრმა და ამოუწურავი თემაა. ბატონმა მიხომ გადამზევეტი როლი ითამაშა არა მარტო ჩემს, არამედ ყველა მისი მოსწავლის ცხოვრებაში. ის გაცნობისთანავე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მნახველებე. კონსერვატორიაში ჩაბარებაზე მაშინ არ მიფიქრია, მაგრამ ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მსურდა საკუთარი ცხოვრების მოწესრიგება (რადგან ფილოლოგიური უკვე დამთავრებული მქონდა და ჯაბტით ვიყავი გატაცებული) და პირველად ამის შესახებ ბატონ მიხოს ვჟამბე. მან კონსერვატორიაში ჩაბარება მირჩა. თუმცა უნივერსიტეტში სწავლამ უკვალოდ არ ჩაიარა და ბევრი რამ, რაც დღეს მასულდებელებს, მუსიკიდან კი არა, სიტყვიდან მოდის. ჩემი ფიქრების ვერბალიზებას სწორედ ამ ცოდნის წყალობით ვახდენ, რაც ძალიან მეხმარება სტუდენტებთან ურთიერთობაში. ჩვენ შეგვიძლია თამამად დავიკვეხნოთ ნიჭიერი ახალგაზრდებით. ისინი ალბათ მაღლენ წავლენ საქართველოდან.

ნ.კ. – რატომ? აქ არაა შესაძლებელი ნიჭის რეალიზება?

რ.კ. – საქართველომ ამ ომებში, ერთმანეთის ჭამაში და პოლიტიკურ სიდუხეჭირეში სრულიად დაკარგა თავისი მიმზიდველობა. ამას თან ახლავს ის ახალგაზრდული მისწრაფება, რომელიც, რაგონდ კარგ გარემოში გაიძარდოს, მაინც მიიღოვის საბლვარგარეთ. ჩვენ კი დავიკინებულ კულტურულ-ინტელექტუალური განვითარება და გამოვეკიდეთ დამღუპველ ადამიანურ და პატივმოყვარე ამბიციებს. ამასობაში გაქრა მთავარი ღირებულებები, რომელიც ჩვენს ქვეყანას შეუქმნია



რავაზ და გიორგი კიკაძეები, ზურაბ ნაძარებიშვილი

და მაშინაც კი გვთავაზობდა, როცა კომუნიზმის ეპოქა მძვინვარებდა. განთავისუფლებული საქართველო ხან პოლიტიკურ ფანატიზმში გადავარდა, ხან რელიგიურში, ხანაც ქურდულ მენტალიტეტს გადაჰყავა, მაგრამ მე ამას არ გავექცი, უბრალოდ გაჩნდა შანსი და ნავედი... ეს რომ არა, არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის ნევრების ცხოვრება. შესაძლოა, ბოგიერთი მათგანი ცოცხალიც აღარ ყოფილიყო, ჩემი შვილი კი ვინ გახდებოდა, კაცმა არ იცის.

ნ.კ. – ოცნლიანი განმორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება გავიძნელდათ?

რ.კ. – არა, რადგან გარდაიცვალა დედაჩემი და ეს იყო ბოლო ნიშანი, რომ ნერტილი დასმოდა თემას: ნელ-ნელა მივინევ სამშობლოსკენ და ბოლოს გადავ-სახლდები. დედაჩემის გარდაცვალებამ დამანახა, რომ უნდა მეჩქარა, დავხურე სემესტრი იქ, სადაც უნინ თავად ვსწავლობდი და დავბრუნდი, რომ მამისთვის მაინც მომესწრო. ჩამოვედი თუ არა, სამი ჯაზ-კლუბი გაისხა თბილისში და რექტორობაც შემომთავაზეს...

67

ნ.კ. – ჯაზმუნისთვის რექტორობა უჩვეულო არაა?



რევაზ აკაციაშვილის საუდიოტეატრან ერთად

რ.კ. — ჩვეულებრივი ამბავია, თუკი წრფელი გულით აკეთებ შენ საქმეს და იქ, სადაც არ იყო, დაიხმარ ვინმეს. არანაირ ჩარჩოში არ ხარ, პირიქით, ეს საშუალებას გაძლევს ნიჭიერ ახალგაბრდას წაეხმარო, რასაც უნივერსიტეტის პროფესორის პოზიციიდან ვერ შეძლებ. საინტერესოა ეს როლი ჩემთვის. ისეთ თემებზე დავიწყე ფიქრი, რომელიც აქამდე ან არ მაღლებდა, ან არასერიობულად ვუყრებდი. ეს დიდი პასუხისმგებლობაა: რას იტყვი, როგორ იფიქრებ, საკუთარი ექსპერიმენტით ცხოვრებას ხომ არ დაუნგრევ ვინმეს. სიმართლე გითხრათ, არასდროს წარმომედგინა საკუთარი თავი ამ როლში. ეს ცხოვრების მორიგი გამოწვევაა, რაც ჩემი წარმოდგენების რეალიზებასა და მოსინჯვაში მეხმარება. სტუდენტებთან ვმეგობრობ უფრო მეტად, ვიდრე სხვებთან. მათი პრობლემები ძალიან ჰგავს ურთმანეთს. ეს არის დაუკავშოთილებლობის განცდა,

რომ რაღაცები თავის ადგილზე არ არის, სინამდვილეში კი პირიქითაა. ხომ იცით, ბოგჯერ ყოვლად არეული მუსიკაც კი ყველაზე ადვილად აღსაქმელ წესრიგს დაგანახებს.

ნ.კ. — როგორია კონსერვატორიის რექტორის ცხოვრება ამ შენობის მიდმა?

რ.კ. — ძალიან საინტერესო. ვუკრავ ჩემს კვარტეტთან ერთად ჯაზ-კლუბებში (სოპრანოს და ტენორის საქსოფონნებე) და მყავს ჩემი მსმენელი. ამ უკანასკნელს რაც შეეხება, საქართველოში იგივე პრობლემებია, რაც ევროპაში. შეიძლება ითქვას, რომ აქ უფრო გათვითცნობიერებულია მსმენელი, ვიდრე იქ, მაგრამ გემოვნება მუსიკაში ყველგან გადამწყვეტ როლს თამაშობს.

ნ.კ. — თქვენი შვილი ჰამბურგში მქევლად დატო-

ვეთ?

**რ.კ.** – შეიძლება ითქვას... გიორგი საოცარი მუსიკოსია, სრულიად ურცხვად შეიძლია ვთქვა, რომ ძალიან მაგარია. მთელი ბავშვობა ვიყავი მისი მრჩეველი, კრიტიკოსიც, ეხლა კი ერთად ვუკრავთ სკენაზე, ის კონტრაბასტე, მე საქსოფონბეჭე, უნდა ვავისარჯო და შევუძნო ჩემს თაგვის, რომ მომზადებული შევხვდე მის ყოველ გამოწვევას. ის ხომ ძალებები სერიოზულ მუსიკოსებთან ერთად უკრავს (ცნობისთვის, უკვე 30 წლისაა). ვიდრე გერმანიაში ცხოვრობდით, ხშირად ვუკრავდით ერთად, ახლა კი ოთხ თვეში ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს. სხვათა შორის, ხატავს კიდეც, მაგრამ მისი ბიძაშვილები უფრო მაგრები არიან. არცაა გასაკვირი, მათ ხომ ბაბუის ნიჭი გამოყვათ. 9 წლის იყო გიორგი, როცა გერმანიაში ნავედით და მას შემდეგ იქ ცხოვრობს. ვიცი, რომ დადგება დრო და მამამისივით სამშობლოში დაბრუნდება. ქართული საერთოდ არ უჭირს, აბროვნებითაც და მენტალიტეტითაც ნამდვილი ქართველია.

**ნ.კ.** – ეს ნახატები თქვენმა სიმამრმა გაჩქათ?

**რ.კ.** – ისინი გაღერებაში იყო, რომელიც ახლა მისამართს იყვლის, ვთიქურებ, დროებით ოთხში გამოვტენ-მეთქი და შემომრჩნა. აქეთ კი ჩემი მეუღლის, ტოფო მირჩაშვილის ნამუშევრებია. ის 30 წლის წინ გავიცანი და შემიყვარდა, შემდეგ შევუდლდით და გიორგი ვევეყოდა. ადვილი არაა მირჩაშვილებთან ურთიერთობა, რადგან ისინი აღსავსენი არიან უდიდესი სიყვარულით, მშრუნველობით და მასთან დაკავშირებული მღელვარებით.

**ნ.კ.** – როგორ გაგრძელდება თქვენი ცხოვრება, როცა რექტორის თანამდებობას დატოვებთ? ბევრი რამ შეიცვალა კონსერვატორიაში თქვენი მოღვაწეობის პერიოდში?

**რ.კ.** – ორი წელი კიდევ მაქვს ვადა, თუმცა არა-ფერს ვაპირებ ისეთს, რომ მთელი არსებობა ამ პოსტს დავუკავშირო. სანამ აქ ვარ, თავს დავდებ და ყველაფერს ვავაკეთებ, როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესურისთვის, რომ აქ სწავლა დიდი სიამოვნება და სიხარული იყოს, ხოლო, როცა რექტორი აღარ ვიქ-

ნები, ამას კვლავ შევეცდები, პროფესორის, ან უბრალო გულშემატკივარის პოზიციიდან. რაც შეეხება ცვლილებებს, აქ რადიკალურად ვერაფერს შეცვლი, რადგან კონსერვატორიაში ერთდროულად რამდენიმე თაობის ადამიანი მოღვაწეობს. მათ განსხვავებული აბროვნება აქვთ, ამიტომ რადიკალურად და დიამეტრულადაც რაიმეს შეცვლა გამორიცხულია, ეს ჩემი სტილი არაა. ვერ ვიტყვი, რომ ყველა მათგანთან ჰარმონიაში ვარ. უბასუხისმგებლო ადამიანები ყველა თაობაში მოიძებნება, მხცოვანი პროფესორიდან დაწყებული, რიგითი პირველკურსელით დამთავრებული. ასეთ რამეს როცა ვაწყდები, ვმრისხანებ...

P.S. ეს ინტერვიუ რამდენიმე თვის წინ უურნალ „არც ხომლისთვის“ მომზადდა (რომელმაც ფინანსური პრობლემების გამო არსებობა მაღლევე შეწყვიტა). რესპონდენტი, ბე-გადატვირთული ვრაფიკის მიუხედავად შესვედრაზე ადვილად დაგვთანხმდა, რამაც, სიმართლე გითხრათ, გამაკვირვა კიდეც. საუბარი კითხვა-პასუხის ფორმატს დასაწყისშივე გასცდა და ძალიან უშუალო, გულწრფელ თხრობაში ვადაიბარდა. თუმცა დროდადრო ტელეფონის ბარი თხრობის რიცმს არღვევდა. საუბრის შინაარსიდან ვწვდებოდი, რომ რესპონდენტთან სტუდენტები რეკავდნენ. ამ ფაქტმა კონსერვატორიაში სწავლის პერიოდი გამახსენა, როცა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ვკინევდა ლექციებზე სიარული, პედაგოგებს კი აბსოლუტურ ენთუზიაზმებ მუშაობა. მაშინ მე და ჩემი მეგობრები ხშირად ვსტუმრობდით რექტორის კაბინეტს, შემოქმედებითი, თუ სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, თუმცა ჩვენი შესვედრა არასდროს გასცდენია ოფიციალურ ჩარჩოებს და არ გადატრდილა მეგობრულ ურთიერთობაში, რაც ბუნებრივა, ქმნიდა იმ დიდ ბარიერს, თაობათა დაუსრულებელი ბრძოლა რომ ჰქვია. ამ ბრძოლაში კი ჩვენი (90-იანი წლების) თაობა, რატომ-ლაც ყოველთვის დამარცხებული რჩებოდა. დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა, თუმცა ადამიანთა უმეტესობა ამ სიახლეებს სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ფაქტია, თაობებს შორის დიალოგი შედგა...

## ეართული პროფესიული მასივის პირველი ხელნაწერი ნოტი

ლევან მიზანდარი

ახლახან, საქართველოს „თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში“ აღმოაჩინეს პირველი ქართველი კომპოზიტორისა და საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი ქართველი პიანისტის, ალოიზ მიზანდარის (1837-1912) სამი ხელნაწერი ნოტი:

*“Fugitive musings for my friend, N3 Composed by A.O. Mizandari, Vienna, Jan. 1867”*

„ნუთიერი ფიქრები ჩემი მეგობრისთვის“ №3

შეთხმული ა. ი. მიზანდარის მიერ, ვენა, იანვარი 1867 წ.“

“Lesghinka” N4 arranged par. A. Mizandari”

„ლეგური“ №4 არანჟირებული ა. მიზანდარის მიერ“

„ალეგრეტო“ ფელიქს მენდელსონის მეორე სიმფონია-კანცატიდან იო.52 ფორტეპიანოსათვის გადატანილი ა. მიზანდარის მიერ.

თუ აქმდე მხოლოდ დაბეჭდილი სახით გვქონდა ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუში – ა. მიზანდარის რომანი „ჩვენ დავშორდით“ (გამოიცა პეტერბურგში 1863 წელს), ახლა ჩვენ ხელთ გვაქვს ქარ-



ალოიზ მიზანდარი

თული პროფესიული მუსიკის პირველი ხელნაწერი ნოტი – ა. მიზანდარის მიერ 1867 წელს ვენაში დაწერილი „ნუთიერი ფიქრები ჩემი მეგობრისთვის“.

როგორც ჩანს, პარიზსა და ვენაში ყოფნის დროს, 1865-1867 წწ. ა. მიზანდარმა სამი პიესა დაწერა, ორმა ჩვენამდე არ მოაღწია, ხოლო მესამე, ავტორს არ დაუსრულებია: ბოლო 9 ტაქტს მარცხენა ხელის პარტია აკლია (დავასრულე მე, ლ.მ.).

„ნუთიერი ფიქრების“ მეორე გვერდზე არის რამდენიმე, დამოუკიდებელი, მელოდიური ესკიზი.

მომდევნო პიესა, ცეკვა „ლეგური“ №4 საზოგადოებისთვის ცნობილი ნაწარმოებია, რომელიც ავტორს სამშობლოში დაბრუნების შედევ (1867-1870 წწ.) ფორტეპიანოსთვის გადაუტანია, (იხ. ქვევით გამტეთი „დროება“).

იმავე სანოტო ფურცლის მესამე გვერდზე „ალეგრეტო“ ფელიქს მენდელსონის მეორე სიმფონია-კანცატიდან ოპ.52, რომელსაც აკლია სატიტულო გვერდი და შესავალი 73 ტაქტი. ორივე ნაწარმოები XIX ს-ის

ბოლოს, პეტრებურგში, „ბესელის“ სანოტო გამომცემ-ლობაშ გამოსკა.

სამიკე ნოტი დაწერილია ფანჯრით. „წუთიერი ფიქ-  
რების“ სათაური და ხელმოწერა შესრულებულია მელ-  
ნით. „ლეკურის“ აქვს ლათინურ ენაზე ავტოგრაფი ფან-  
ჯრით.

გარდა ზემოჩამოთვლილი ნაწარმოებებისა, ალოიბი მიზანდარს კუთვნის შემდევი საფორტეპიანო პიესები, რომლებიც XIX-XXს. მიჯნაზე მოსკოვსა და პეტერბურგში ცნობილმა სანოტო გამომცემლობამ „ბესელმ“ და „იურგენსონმა“ გამოსცეს: „აღმოსავლური მელოდია“, „მაზურკა-ფანქია“, მაზურკა – „მოგონება აბას-თუმანიე“, „ორი პატარა ვალისი“.

„თუ თვალს გადავაკლებთ ყველა იმ ნანარმობას, რომლებიც მაშინ დაინტერა და გამოიცა, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა პროფესიული მუსიკა, დავინახავთ მიზანდარის – პირველი განათლებული ქართველი კომპოზიტორის მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობას“.

გ. ვაჩინაძე,

„ნარკოვები ქართული საფორტეპანო მუსიკის ისტორიადან“. თბილისი, 1973.

„პირველ რიგში ეს ის ნაწარმოებებია, რომელ-  
თაც მეკვლეობა გასწიეს ქართულ საკომპოზიტორო  
ხელოვნებაში და ნინ უძღვიან ქართულ პროფესიულ  
მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნას. და კიდევ, სწორედ  
მათი წყალობით გაისმა პირველად მშობლიური ხმების  
ანარკული“.

ნიკოლოზ გიორგაძე,  
„ალოიზ მიჩანდარი“. თბილისი 1969.

„იმ დღეს უფ. ალოიბ მიზანდარმა გაგვაგონა ჩვენს ბოგიერთი ჩვენებური სიმღერის „ხმები“, რომელიც იმას პასანძებ დასაკრავთ გადაუკეთებია. ჩვენ დიდი სია-მოვნებით შევნიშნეთ, რომ მის შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. იმიტომ რომ მის ხელში პასანძმ მშვენიერათ მიპარა ჩვენებურ მუბიკას და მისი ხასიათი მსმენელებს უცხოთ გადმოვვცა.

უმეტეს ნაწილში, უფ. მიზანდარის მუზიკა მყუდრო დარკვბობას ხარავს და უძრავს მსმენელის გულში,



მაგრამ ხანდისხან მის ხმებში ერთი წუთის აღტაცებაც, „ცეცხლის-მოდება“ და ხელახლი დაცხობა გამოისმის. ჩვენი აზრით, დიდ დირსებათ უნდა ჩაეთვალოს უფ. მიზანდარს, რომ ასე სწორეთ გადაუცია პიანოსათვის ეს თვისებები, რომელიც ჩვენებურ მუზიკას ჩვენი ხალხის და საზოგადოების ხასიათიდან გადადებია“.

გაზითი „დროუპა“ 1870. VI. 12 №23.

# „ქაღლური პროფესია“

რესუდან ქათათელაძე



ვეპშორ პარლიონი

72

სათაურში გამოფანილი სიტყვები ეკუთვნის დიდ ფრანგ კომპოზიტორსა და სახელმოხვეჭილ მუსიკალურ კრი-

ტიკოსს, ჰერცოგ ბერლიოზს. რად მიაჩნდა ამ გენიალურ მუსიკოსს „ქაღლურად“ პროფესია, რომელსაც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება ემსახურა და ამ სფეროში ფასდაუდებელი მემკვიდრეობაც დატოვა? იმიტომ, რომ საკომპოზიტორო შემოქმედებისათვის დაბადებული ეს ხელოვანი იძულებული იყო ლუქმა-პურის საშოვნად კრიტიკული წერილები ეწერა, გაეშუქებინა ფრანგული მუსიკალური ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მოვლენები. როგორ, გენიალური საკომპოზიტორო ნადვანი, მას არ აძლევდა საშუალებას თავი გაუყანა, ოჯახი ერჩინა? ნანარმოებებს, აგრ უკვე თითქმის ორი საუკუნეა (მისი პირველი სიმფონია, სწორუპოვარი „ფაირასტიკური“, 1826წ. დაინწრა) მსმენელს ანცვითებს შენაარსის სილრმითა და მხატვრულ-ესთეტიკური ხარისხით, კომპოზიტორისთვის ფულადი სახსარი არ მოუტანია. ბერლიოზს სიღარიბეში აღმოხდა სული. იქნებ ბურუჟაბიული წყობა იყო მაშინ — არ ესმოდათ ხელოვანის ჭეშმარიტი ფასი?

ხსენებული ეპოქის შემდეგ ორმა საუკუნემ ჩაიარა. კაცობრიობა ცივილიზაციაში წინ წავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, ახლებურად შეფასდა. ხოლო საქართველოში, სჩანს, საკომპოზიტორო შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაში ძრა არ მომდარა. უერნალ „მუსიკა“—ს 2013 წ. №4 წავიკითხე კომპოზიტორ ალექსანდრე მწარიაშვილის გულისტყივილით სავსე წერილი, სადაც ავტორი ჩვენში საკომპოზიტორო შემოქმედებას ირონიულად „ჰობის“ უნდებს, რადგან კომპოზიტორებმა, სხვა გზით თუ არ იშოვეს მატერიალური სახსარი, კომპოზიცია არაფერს აძლევს. მართლაც, უკვე დიდი ხანია ქართველი კომპოზიტორები ათასგვარ გზებს დაეძებენ, რათა პროფესიას არ უდალატონ. მე პროფესიონალ

კომპოზიტორებს ვგულისხმობ, თორებ ვისაც ცალფა მელოდიის წალინინების უნარი შესწევს, უკვე კომპოზიტორებად აცხადებენ თავს და გარემოც იჩიარებს ამ „დეფინიციას“. მერე რა რომ ბოგიერთს მუსიკის სანოტო ხაზე განთავსებაც არ უსწავლია, რომ აღარაფერი ვთქვა მუსიკალური ნაწარმოების შექმნის სხვა აუცილებელ კომპონენტებზე.

ბ-ნი მწარიაშვილის წერილის პათოსმა გაბედულება შემძინა ჩემი, მუსიკისმცოდნის პროფესიის შესახებაც გამომეთქვა გულისტყვივილი, დიდი ხანია რომ მაღლვებს, მანუხებს. ამ პროფესიამ ჩვენში სახელიც ძლივს მოირგო — მუსიკისმცონე, მუსიკათმცოდნე, მუსიკის კრიტიკოსი, მუსიკალური კრიტიკოსი, მუსიკოლოგი... სახელწოდება იცვლება და მასთან ერთად პროფესიის სფაცუსიც. ოღონდ როგორ?! ბერლიონი ჩინდა „ძაღლური პროფესიაა, მარად უნდა ლოკავდე, მარად უნდა ჰკბენდე!“-ო. ჩვენს დროში როგორაა საქმე? ვგონებ არც „ლოკვა“ ფასობს და არც „კბენას“ აგდებს ვინმე რამედ. ერთადერთი სარბიელი მუსიკისმცოდნისათვის წინამდებარე, უურნალი „მუსიკა“ გახლავთ. 2010წ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მოიღო კეთილი ნება — დააფინანსა და ხელი შეუწყო უურნალ „მუსიკას“ ახალი ფორმატით გამოცემას. მართალა, მნამდე საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი უშვებდა გაზეთ და შემდგომში უურნალ „მუსიკას“, მაგრამ მისი ფორმატიც, ხარისხიც სხვა იყო და პერიოდულობაც მერყევი, რადგან იმანად ფულადი სახსრები ჭირდა. 2010 წლიდან ან გარდაცვლილი კომპოზიტორის, იოსებ კეჭაყაძის ძალისმევით ამ უურნალის გამოცემას მხარი დაუჭირა კულტურის სამინისტროს მაშინდელმა მესვეურმა. უკვე ოთხი წელია უურნალის რეგულარობაც დაცულია, პოლიგრაფიული დონეც მაღალხარისხოვანია, იღუსტრირებულიცაა, დართული აქვს დისკიც, რომელზეც ჩაწერილია მუსიკა, რომელზეც საუბარია ნომერში, ინგლისურნოვანი რეზიმებიც ახლავს, უცხოელ მკითხველს წომრის დედამიწრს რომ აცნობს... უველაფერ ამას აფინანსებს სამინისტრო. ამ უბარმაზარ საქმეს კი თავს ადგამს სამად-სამი თანამშრომელი — კომპოზიტორი მიხეილ ოძელი (რედაქტორი), მუსიკისმცოდნები მზია ჯაფარიძე და თამარ წელუკიძე (თანარედაქტორები).

უურნალი გამოდის კვარტალში ერთხელ, თანამშრომელთა ანაზღაურებაც კვარტალში ერთხელ ხდება. საბოგადოდ, ასეთი შემეცნებითი და ინფორმაციული შემცველობის უურნალის უბრუნველყოფას, სხვა შემთხვევებში დიდი კოლექტივი ემსახურება და ყოველთვიური ხელფასიც სხვა რაოდენობით გამოიხატება! არა! უურნალი „მუსიკა“-ს რედაქტია არაფერს ჩივის! ისინი თავდადებით ემსახურებიან თავიანთ საქმეს, საყვარელ პროფესიას, მკითხველთა ქებასა და მადლობას იმსახურებენ (სხვათა შორის, არა მარტო საქართველოდან, არამედ უცხოეთიდანაც).

და აი, მივადექი ჩემს მთავარ სათქმელს. ქართული მუსიკალური კულტურის შესახებ საუურნალო თუ საგამოცხავო მასალას ამზადებენ მუსიკოსები, ძირითადად მუსიკისმცოდნები (გნებავთ, მუსიკოლოგები, მუსიკალური კრიტიკოსები). იმისათვის, რომ მუსიკისმცოდნებ თუნდაც ერთი კონცერტი გააშექოს, კონცერტს ხომ უნდა დაესწროს? საკონცერტო ბილეთის ფასი კი ჩვენში უკვე, სულ ცოტა, ორნიშნა ციფრითაა გამოხატული (უცხოეთს ხომ უნდა გავუტოლდეთ!). მუსიკოლოგის ნაწერი კომპეტენტური რომ იყოს, მას გავლილი უნდა ჰქონდეს 19 წლიანი სპეციალური განათლება. მე უფროს თაობას ვგულისხმობ, როცა სწავლა 4 საფეხურიანი იყო — სკოლა (7 წელი), სასწავლებელი (4 წელი), კონსერვატორია (5 წელი), ასპირანტურა (3 წელი). აი, ამ „პროფესიული ბაგაჟის“ მქონე პიროვნება, თუკი ბედი ენია და დაესწრება კონცერტს და მის შესახებ, ან მუსიკის რომელიმე სფეროს შესახებ დაწერს წერილს, რარივ ანაზღაურებას მიღებს? სასაცილო ანაზრაურებას ან არ ა ვ ი თ ა რ ს! დაალ! ავტორები ძირითადად მუშაობენ უ ვ თ ნ ო რ ა რ დ! მე მინდა ვკითხო მესვეურებს, ვისაც ეს საკითხი ქება, რომელიმე მინისტრი — იმუშავებს თუნდაც ერთ წელინად უხელფასოდ?! და კიდევ. მუსიკისმცოდნები ხომ შემოქმედებითი პროფესიაა, პროფესიულ ცოდნასთან ერთად ფიქრს, ყოყმას, ვარიანტების შერჩევას, აწონ-დაწონვას მოითხოვს. ეს კი დროსაც საჭიროებს. რაღირს, როგორ ფასდება მუსიკისმცოდნის არა მარტო პროფესიონალიზმი, არამედ პროფესიას მოხმარებული დრო?

მე მინდა ვკითხო მუსიკის სფეროს მესვეურებს —

## გამოხატვება

შედის თუ არა მუსიკოსთა (კომპოზიტორები, მუსიკის-მცოდნეები, შემსრულებლები) პროფესია მათი სა-ვალდებულო მშრუწველობის წრეში? როგორია მათი სტრატეგია, მათი კონცეფცია მუსიკოსთა ამ ჯარისკა-ცების მიმართ? მუსიკოსთა უმეტესობა ხომ წმინდა სიძ-ბოლურ ხელფასს იღებს. გამოვიარეთ სამოქალაქო ოშის შავბრძოლი წლები, მომდევნო დროებასაც გავუძე-ლით, სიმბოლური ხელფასის გამო პროფესიონალთა არ გვიღალატია. მაგრამ როდემდის?!

მისასალმებელია, რომ ახლა საქართველოში იმარ-თება უამრავი ფესტივალები, კონცერტები. და ეს ღო-ნისძიებები უმეტესწილად პროფესიულ მუსიკოსთა ძალებით ხორციელდება. უცხოელი მუსიკოსის მონა-ნილეობა, თუკი არ იქნება ანაზღაურებული ჯეროვ-ნად, მას ვერც კი შევწყადრებენ მოწვევას. საზღვარ-გარეთ მოღვაწე ქართველი სასიქადულო მუსიკოსე-ბიც ასევე არიან სათანადოდ დაფასებული. თუმცა კი, აუკილებლად უნდა აღვინიშნო, ისინი ხშირად ან საერ-თოდ უარს აცხადებენ ჰონორარზე, ან საქველმოქმე-დო მიზნებს ახმარენ. ეს დიდებულია! მისასალმებელია! მრავალი უცხოელი მუსიკოსისგან გვსმენია ქართველი კოლეგების (ორკესტრანტების, ოპერის სოლისტებისა და გუნდის მომღერლების, ვისთან ერთადაც უნევთ გამოსვლა) ქაბა, მათი პროფესიული უნარის მაღალი შეფასება. უცხოეთში გადახვეწილ ქართველ მუსიკო-სებსაც იქ ჯეროვანი ანაზღაურება აქვთ. რა დააშავა ჩვენმა მუსიკოსობამ?! რატომ ფასდება მათი პროფესი-ონალიმი სხვა ნიხრით? მე მინდა ვკითხო ხელოვნების მესვეურებს, განა უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუ-სიკოსები აქ არ აღიჭურვნენ ცოდნა-განათლებით? გა-ნა აქაური დიპლომები არ აქვთ? მაშ, ჩვენი დიპლო-მები ჩვენსავე ქვეყანაში რატომაა გაუფასურებული?

კომპოზიტორი მნარიაშვილი სამართლიანად წესს, კომპოზიტორებს სხვა შემოსავლის წყარო თუ არ გააჩ-ნიათ, ჩვენში კომპოზიტორთავს ვერ გაიტანენ. მარ-თალიც ბრძანდება! მუსიკისმცოდნები? შემსრულებ-ლები? ერთადერთი გრძა პედაგოგობაა. მაგრამ მე მინდა ვკითხო ხელოვნების მესვეურებს, სად უნდა იღვანოს მუსიკისმცოდნებმ ან შემსრულებელმა? გარშეიმით ჩა-ტარებულმა სამუსიკო საგანმანათლებლო რეფორმაშ საქართველოში მუსიკალური სკოლებისა და სასწავ-

ლებლების რაოდენობა ერთი ხელის მოსმით მინიმუ-მამდე დაიყვანა. ერთი ხელის მოსმით ასეულობით პედაგოგი უმუშევრობისათვის განირა (თითქოს სხვა უმუშევრების ნაკლებობას განვიცდიდეთ!). იქნებ ისეთი მცირეობულოვანი ერი, ქართველები რომ ვართ, არც საჭიროებდა, ვთქვათ, თბილისში სამ მუსიკალურ სას-წავლებელს, ხოლო თითო-თითოს ქუთაისში, ბათუმში, გორში, ფოთში, სიღნაღმში, რუსთავში... მაგრამ მათი დახურვა?! ეს სასწავლებლები ფუნქციონირებდნენ, ცალკეული მათგანი ლამის ასი წლის სახელოვანი ის-ტორიას მოითვლის. ისინი დონორები იყვნენ თბილისის კონსერვატორიისა. რა თქმა უნდა, ყველა სასწავლებე-ლი კონვეირულად ვერ „ანარმოებდა“ საერთაშორისო მასშტაბის ლაურეატებს – იაშვილებს, ვირსალაძეებს, სოფკილავებს, კორსანტიოებს, ქასრაშვილებს, თორაძე-ებს, ბურჭულაძეებს, ბუნიათიშვილებს... თუმცა ცალკე-ულ სკოლა-სასწავლებლებს ვერც ლაურეატების ნაკ-ლებობას ვუსაყვედურებთ. მაგრამ ეს სასწავლებლები კვალიფიციურ ორგესტრანტებს, გუნდის მომღერლებს, და, რაც ძალგე მნიშვნელოვანია, უშვებდნენ ამ მსოფ-ლიო ვარსკვლავების აღმზრდელ პედაგოგებს. ზევით დასახელებული ყველა სახელგნთქმული ქართველი მუსიკოსი და მათ შემატებული ქართველი ახალგაზრდა თაობის საერთაშორისო გარსკვლავი ხომ თბილისის კონსერვატორიის გამოშვებაა. ასევე მნიშვნელოვნად მიმართა, რომ ეს სკოლა-სასწავლებლები ბრდიდნენ დახვენილი გემოვნების მსმენელ აუდიტორიას. მე ვერ ვიხსენებ გასტროლიორ მუსიკოსს, ვისაც აღფრთვა-ნება არ გამოიქვეას ჩვენი მსმენელით, მისი გემოვნე-ბით, მართებული შეფასების უნარით. რაგინდ ვირტუ-ოზი იყოს მუსიკოსი, თუკი მსმენელი არ ეყოლება, ვის-თვის იღვანებს?! უკაცრიელ კუნძულებსა და ყრუ-მუნჯ-თა აუდიტორიაში კონცერტები არ იმართება! მე მინდა ვკითხო ხელოვნების მესვეურებს, მაშ, რატომ გაუქმდა ეს სკოლა-სასწავლებლები?

მაგონდება 80-იან წლებში ქუთაისში სოფკილა-ვა-ქასრაშვილის ძალისხმევით გამართული „საოპერო ხელოვნების ფესტივალი“. მსოფლიო აღტაცებით გა-ნებივრებულ ელენა ბორაბულოვას უთქვამს: „ქუთაისში ჩამოსვლას მხოლოდ მეგობრების, სოფკილვა-ქასრაშ-ვილი-ჩაჩავას ხათრით დავთანხმდი. ვერც კი ნარმო-

მედგინა აქ ასეთი აუდიტორია თუ დამხვდებოდა. ეს როგორი მსმენელი ჰყოლია ქუთაისს! როგორი აღღოს მქონე! როგორი გათვითცნობიერებული!“ ეს დიდი მომღერალი ისევე ღელავდა, როგორც „ლა სკალას“ სკენაზე გამოსვლისას. ქუთაისში ასწლოვანი ისტორიის სასწავლებელი კი ლამის იყო დახურეს. თელავი?! განა გაიძართებოდა კახეთის ამ პატარა ქალაქში მუსიკის ვირსალაძისული ზემები დარბაზს რომ არ ავსებდეს კომპეტენტური მსმენელი? გორშიც იმართებოდა საგუნდო მუსიკის საუცხოო ფესტივალები. საზღვარგარეთიდან (იაპონიდან, უნგრეთიდან, ერმანიდან, ბალტიისპირეთიდან, საგუნდო მუსიკის ჩინებული ტრადიციის ქვეყნებიდან) ჩამოსული მონაწილეები პატივად მიიჩნევდნენ კულტურის ასეთ ცენტრში კონცერტებში მონაწილეობას. რომელ ფესტივალზე საუბარი, დღეს გორის სასწავლებელი, ვგონებ, მიღევად რეჟიმში მუშაობს, მის წიაღში კი იშვა ისეთი მაღალ-ხარისხოვანი საგუნდო კოლეჯივი, „გორის გოგონათა გუნდი“ რომ ჰქვია და რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართულ საგუნდო საშემსრულებლო ხელოვნებასაც და ქართულ საგუნდო (ხალხურსა და პროფესიულს) მუსიკასაც.

ახლა დაცუბრუნდები სამუსიკო საგანმანათლებლო რეფორმს. შესანიშნავია, სულითა და გულით მივესალ-მები ჩვენში რომ ეწყობა ნაირგვარი ვორკ-შოპები, მას-ტერკლასები... (ამას, ალბათ, ქართული სახელნოდებაც ადვილად შეიძლება მიესადაგოს, მაგრამ მავანს, უთუოდ, ჰგონია უცხოური სიტყვა უფრო მეტ წონასა სძენს ღონისძიებას!). საბჭოურ ეპოქაში ასეთ რამებები ყურიც კი არ გვქონდა მოკრული (თუმცა იმ ეპოქაში არცთუ ურიგო მუსიკოსები აღიბარდა). ვისთვის გაიმართება ეს დიდად სასარგებლო ღონისძიებები, თუკი თბილისის კონსერვატორია ერთ ვიოლონჩიელის დღივება მოიძიებს, მევიოლინები და ალტისტებიც კანტი-კუნტად შემოვრჩენა? მუსიკისმცოდნეთათვის კი მასტერკლასები აღარცა საჭირო, ვინაიდან რამდენიმე წელია ამ სპეციალობის დაუფლების მსურველი აღარავინა. მე მინდა ვკითხო მესვეურებს, ხელოვნების სფეროს ვინც მართავს, როგორ ფიქრობენ, რა დაინტერესება უნდა ამოძრავებდეს მშობელს, თუ არა ფუჭი ენთუზიაზმი და უფოპიური ოკნება, რომ

შვილს მუსიკოსის პროფესია დაანათლოს? ახლან-დელი სასწავლო კონცეფციის თანახმად მუსიკოსმა 12 წელი სკოლაში, 4 კონსერვატორიის ბაკალავრიატში, ხოლო 4 მაგისტრატურაში, ანუ საერთო ჯამში 20 წელითადი უნდა ისწავლოს, ზოგ შემთხვევაში ამ „სიამონებაში“ მომზრდილი თანხაც იხადოს, ხოლო დიპლომირებულს, თუკი ბედმა გაუღიძა და პროფესიის შესატყვისი სამსახური იმოვა, ხელფასი, უკეთეს შემთხვევაში 200-300 ლარი ექნება (მე კონსერვატორიის პროფესორებს, აგრეთვე მუსიკალური სკოლების ჰედაგოგებს, მუსიკისმცოდნე-ურნალისტებს ვკულისხმობ). ამ ხელფასით წვახახიც არჩინოს, თავიც ირჩინოს, ფესტივალ-კონცერტებსაც დაესწროს, სხვა საფესტივალო ქალაქშიც გაემგზავროს?! სიცოცხლის მიწურულს კი, ჩვენი მხცვანი ჰედაგოგების, სახელმოხვეჭილი მუსიკოსების აღმზრდელი ჰედაგოგების დარად თვიდან თვემდე 150 ლარიან მჭლე ჰენსიას ელოდოს? ქართველები მუსიკალური ნიჭით უფალმა უხვად დაგვაჯილდოვა. ახალი თაობაც საოცრად ნიჭირია, სწავლაც ბევრსა სწყურია და მუსიკოსობასაც ბევრი ნაცრობს, მაგრამ რა ჰერსპექტივა ელოდებათ? გავიმეორებ: მასტერკლასებიც კარგია, ვორკშოპებიც, მაგრამ ამ მასტერკლასებში „გამოწრობილ“ მუსიკის, თუ მომავლის რწმენა არ აქვს, მას საბლვარ-გარეთისაკენ გაექცევა თვალი. აკი უთქვამთ კიდევაც: „ოზიმოს ვოკალური აკადემია, თბილისის კონსერვატორიის ფილიალად გადაიქცაო“. მართლაც, რამდენი ქართველი ჰედაგოგი მოღვაწეობს ამჟამად იტალიის ამ სახელგანთქმულ ვოკალურ სამჭედლოში. ხოლო ვისაც პატრიოტულმა სულისკვეთებამ სამშობლოსაკენ გამოწინა გული, უმუშევრია... ისევ ბერლიობს უბრძანებია: „არსებობენ ერები, მუსიკალური ნიჭი საერთოდ რომ არ გააჩნიათ“ – ი. ქართველები კი, სწორედაც რომ, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის პატრონები გახლავართ, სწორედ მუსიკამ გაგვითქვა მსოფლიოში სახელი და არა პოლიტიკოსებმა, მინისტრებმა... მაგრამ, ცნობილია, მარტო ნიჭი არ კმარა, პროფესიის დაუფლება, სწავლა აუცილებელი.

და კიდევ, მე მინდა ვკითხო მავან მესვეურებს, უფიქრიათ როდისმე იმაზე, რომ მუსიკოსს აუცილებლად სჭირდება ინსტრუმენტი? ფორტეპიანოს შექნაზე, რა



თქმა უნდა, ოცნებაც შეუძლებელია, არც სხვა საკრა-  
ვები არაა ადვილად ხელმისაწვდომი. საკრავის გარდა  
საჭიროა სიმები, ნოტები, ათასი სხვა სავალდებულო  
აქტებისარი. ერთი, სულ პატარა დეტალი. არც კი ვი-  
ცი, როგორ მოემგზავრება ვიოლონჩელისტი, ვთქვათ,  
გლდანიდან ან რუსთავიდან კონსერვატორისკენ, თა-  
ვისი უბარმატარი საკრავით? სამარშრუფო ტაქსში ეს  
საკრავი ვერც მოთავსდება, და რომ მოთავსდეს კიდეს;

ტაქსი ძვირი სიამოვნებაა, ავტობუსები კი ყველგან  
არ აღწევს. უნინ ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის „ინ-  
ტერნატი“ არსებობდა. თავშესაფარი ჰქონდათ. ახლა? რაიონიდან ჩამოსულმა მოსწავლე— ახალგაზრდობამ  
როგორ იარსებოს? ბინაც იქირაოს, იარსებოს, სწავ-  
ლის ფულიც იხადოს, მხატვრულ-ესთეტიკურ შთა-  
ბეჭდილებებსაც ეზიაროს? თუკი სოლისტი, დირიჟორი,  
ან ფესტივალის ორგანიზატორი კეთილ ნებას არ  
მოიღებს და მოსაწვევებს არ დაარიგებს, დღეს მუსი-  
კოსთა დიდი არმიისათვის ეს აუცილებელი პროფესი-  
ული საზრდო, შთაბეჭდილება, მიუწვდომელია. ვის-  
თვის იმართება საუკხოო ფესტივალები, კონცერტები?  
ელიტარული საზოგადოებისათვის, ცნობადი სახეები-  
სათვის?

მე მინდა ვკითხო მუსიკის მესვეურებს, როდის დად-  
გება დღის წესრიგში ქართველი კლასიკოსების სანოტო  
კრებულების, თხზულებათა ტომეულების გამოცემა? ეს  
ხომ ყველა ცივილიზებულ ქვეყანას აქვს, რამეთუ სუ-  
ლიერი კულტურის ნიმუში ერის სახის მაჩვენებელია.  
საამაყო კლასიკური ოპერების პარტიტურები არასო-  
დეს დაბეჭდილა („აბესალომის“ გარდა). არცერთ ჩვენ  
სახელოვან კომპოზიტორს ეს არ ღირსებია. კლასი-  
კოსთა ნანარმოებების ჩანაწერებიც მწირა. 28 წლია  
„აბესალომის“ პრემიერა არ ღირსებია! სხვა კლასიკურ  
ქმნილებებზე ლაპარაკიც არ ღირს! როგორ უნდა ჩა-  
მოყალიბდეს ახალ თაობას ეროვნული ცნობიერება  
თუკი ვერ მოისმენს ეროვნულ კლასიკას? კლასიკოსთა  
მომდევნო თაობის კომპოზიტორთა შემოქმედების და-  
ბეჭდვის ბედ-იღბალზე, აღბათ, ფიქრიც კი ნაადრევია.  
ამ დროს უკხო ქვეყნებში გამოდის ქართველი კომპო-  
ზიტორის გია ყანებელის ნანარმოებთა დისკები, მისი მუ-  
სიკის არანუირებული ვარიანტების ჩანაწერები. უკხო-  
ეთი უფრო გვადასებს, ვიდრე საკუთარი ქვეყანა. ეს  
ხომ იმას ნიშანავს, ქართული პროფესიული მუსიკა ღი-  
რებულია, დღესაც მოსაწონია, სასურველია, მოთხოვ-  
ნადია! იქნებ ჯობდეს უცხოეთში გავიტანოთ ლალიძის,  
თორაძის, კვერნაძის, ცაბაძის, ცინცაძის... თხზულებები,  
კინო-მუსიკა თუ საესტრადო სიმღერები? მჯერა, მო-  
ნონება დიდი ექნება, ბევრ ჰიტებს დაჯაბნის და უკხო-  
ეთში სიამოვნებით იზრუნებენ მათზე, აი, შემოსავალი  
კი სხვას და არა საქართველოს დარჩება.

უნიკალური ისტორიული წარსულისა და საამაყო ანტიკულ მქონე ქართულ მუსიკას შეისწავლის საგანი - ქართული მუსიკის ისტორია რომ ჰქვია. ამ საგანს მუსიკალურ სკოლაში მხოლოდ მეექვსე, ხოლო სასწავლებელში მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასებში სწავლობენ. არ იკითხავთ პროგრამათა შემდგენლებმა რამდენი საათი გამოიმტეს ეროვნული მუსიკის დასაუფლებლად? სკოლაში  $1\frac{1}{2}$  თ, ხოლო სასწავლებელში 45 წუთი კვირაში! კონსერვატორიაში ქართული მუსიკის ისტორიას სულ ერთი წელინადი ეთმობა, ასევე კვირაში 1 სთ. ოდენობით. მე მინდა ვკითხო მუსიკის მესვეურებს, როგორ მიაჩნიათ, ეს დრო კმარა ასეთი საგნის შესასწავლად? ვფიქრობ, ქართული მუსიკის ისტორიის შესასწავლა მხოლოდ საგანს კი არ აცნობს ახალგაზრდობას, მას ეროვნული კულტურის ღირსების განცდას უნერგავს, პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებს. მე მინდა ვკითხო მუსიკის მესვეურებს, ეს დრო კმარა ასეთი საგნის შესასწავლად? ვთიქრობ, ქართული მუსიკის ისტორიის შესასწავლა მხოლოდ საგანს კი არ აცნობს ახალგაზრდობას, მას ეროვნული კულტურის ღირსების განცდას უნერგავს, პატრიოტულ სულისკვეთებას უღვივებს. მე ვსვამ კითხვას, უფიქრია ამაზე მუსიკის მესვეურებს?

მე მინდა ვკითხო მესვეურებს, ვისაც ეს ევალება, როდისმე თუ დადგება დღის წესრიგში ღვანლმოსილი ქართველი მუსიკოსების (კომპოზიტორების, პიანისტების, მევიოლინების, მომღერლების, მუსიკისმცოდნების) სახელობის პრემიების (სტიპენდიების) დაარსების საკითხი? საქართველოში ახლა იმართება საერთაშორისო კონკურსები. მომავალში, იქნებ, მათი რიცხვი გაიძარდოს კიდევ. რატომ არ უნდა არსებოდეს ქართული პროფესიული მუსიკის ამა თუ იმ დარგის მესაძირკვლების (პიანისტების, მევიოლინების, მომღერლების) სახელობის პრემიები? ეს ხომ პატივიცაა, სახელსაც გაუთქვას ამ ქართველ ამაგდარ პიროვნებებს. და თუკი ქართველთათვის საამაყოა მ. ლონგი-სა და უ. ტიბოს, ვინასის, ვენიავსკისა და სხვების სახელობის პრემიათა მოპოვება, ჩვენც გავაცოცხლოთ ეროვნულ მოღვაწეთა სახელები, ფრანგმა, ესპანელმა თუ სხვა მუსიკოსმაც იამაყოს ქართული სახელის მქონე პრემიით. ჩვენ თვითონვე თუ არ ვიზრუნეთ ამაზე, სხვე-



ბი როგორ გაიცნობენ ამ პიროვნებებს? ღრმსახსოვარ სახელთა სიმრავლეც ხომ ერის ღირსების მაუწყებელია, სახელმწიფოს სახეა?!

ეს მხოლოდ ნაწილია პრობლემებისა ქართულ მუსიკასა და მუსიკოსებში რომ დაგროვილა. სხვა, ამასთან მიბმულ პრობლემებზე ამჯერად აღარაფერს ვიტყვი...

ამრიგად, XIX საუკუნეში „ძაღლურად“ შერაცხული პროფესია, სჩანს, ჩვენში „ძაღლურადვე“ რჩება, „გაძაღლებულ“ ცხოვრებასა ნიშნავს. ძველი თაობა ამ ვითარებას, ასე თუ ისე, ეგუებოდა, სხვა რა გზა იყო! მაგრამ ახალგაზრდობა სხვაგვარ ეპოქაშია გაზრდილი, მონურ მორჩილებას ვერ იგუებს, არც უნდა აიტანოს! ამიტომ ძირეული ცვლილებებია საჭირო.

მე მინდა ვკითხო მუსიკალური ხელოვნების მესვეურებს თუ არის მზად ამგვარი ცვლილებებისათვის, ამ წერილში დასმულ საჭირბოროტ საკითხების მოგვარებისათვის? როგორია ქართული პროფესიული მუსიკისადმი მათი სტრატეგია, მიზნები, გეგმები? როგორია მათი „საოცნებო“ კონცეფცია ქართული მუსიკალური, და არა მხოლოდ მუსიკალური, კულტურის გადარჩენისათვის?

## ეკთაისის სამართლო სასწავლაგლის დარსებამდე

ნეპრი პარკაძე

წელს, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს 105 წლის იუბილე უსრულდება. საუკუნის მანძილზე ქუთაისის სასწავლებელმა სახელოვანი ისტორია განვლო — იგი საქართველოს მუსიკალურ-კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან კერად იქცა. მან საქართველოს არაერთი გამოჩენილი მუსიკოსი აღუმარდა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ამჯერად მინდა მკითხველს შევახსენო ამ სახელოვანი სასწავლებლის დაარსების მცირე პრეის-ტორია.

1916 წლის 20 იანვარს ქუთაისში გაიხსნა პირველი კერძო სამუსიკო სკოლა, პიანისტი და თეორიტიკოსი ტ.ვიხოვსკის ორგანიზატორობით. სკოლა მოთავსებული იყო თბილისია და გენერლის ქუჩის კუთხეში, ქურთიშვილების სახლში. გზეთ „მეგობარში“ კი გათავსდა განცხადება: „ქალაქ ქუთაისში იხსნება მთავ-

რობისაგან დამტკიცებული ტ.ი.ვიხოვსკის მუსიკალური სასწავლებელი დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი კურსებით. ასწავლიან შემდეგ საგნებს:

სპეციალური: 1. სოლო სიმღერა; 2. ფორტეპიანოზე დაკვრა; 3. ფისგარმონზე; 4. ვიოლინოზე; 5. ვიოლონჩელზე;

დამხმარე (სავალდებულო): 1. მუსიკის თეორია და ჰიანტონია; 2. ფორტეპიანოზე დაკვრა (არაპიანისტი-სათვის); 3. სოლფეჯიო; 4. ერთად დაკვრა; 5. საოპერო ვარჯიში; 6. კვარტეტის დაკვრა; 7. საგუნდო მღერა“ (1,277–278).

განცხადებაში ასევე ვეცნობით, რომ სოლო სიმღერის ქირა შეადგენს 50 მანეთს, ინსტრუმენტზე დაკვრა 40 მანეთი ღირდა. საგნები კი უფასოდ ისწავლებოდა.

ტ.ვიხოვსკის სამუსიკო სკოლაში პირველ წელს 50 ბავშვი ჩაირიცხა. რადგან სათანადო პირობები არ

არსებობდა მოსწავლეთა სამეცადინოდ, პედაგოგები იძულებულნი იყვნენ გაკვეთილები საკუთარ ბინაზე ჩაეტარებინათ. ვინაიდან საკრავი გიტარა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქუთაისში, ვიხოვსკის სამუსიკო სკოლაში გაიხსნა გიტარისა და მანდოლინის კლასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ორლიჩენ-კო. ქუთაისში გიტარაზე დაკვრა ბევრმა იცოდა, ხოლო აწყობა-მომართვა კი უჭირდათ, სწორედ ამიტომ ერთმა ქუთაისელმა „გაქართველებულმა“ რუსმა, გვარად ჩერნიკოვმა, ახალი სისტემის გიტარა დაამზადა, რომელსაც ხშირი აწყობა არ სჭირდებოდა. სამწეხაროდ, არავითარი ოფიციალური ცნობა არ მოგვეპოვება თუ რამდენ ხანს იარსება ამ სკოლამ.

უცნაურია, რომ ქუთაისში, იმავე წელს (1916), იმავე ქუჩაზე, ქურთიშვილების სახლში გაიხსნა ახალი სამუსიკო სკოლა ი.გუეგორჩიკ-სკორუპსკის ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა უფლება გაეცა ოფიციალური დიპლომი, ის მოსწავლეებს დიპლომს მაინც ჰპირდებოდა. ამ სკოლამაც დიდხანს ვერ იარსება, რადგან, როგორც ცნობილია, მალე ქუთაისში სამუსიკო სასწავლებელი გაიხსნა, რომელიც ამჟამად მისი დამაარსებლის, მბალანჩივაძის უკვდავ სახელს ატარებს. ამ სასწავლებელში თავმოყრილი იყო საუკეთესო პედაგოგები, მათ შორის კი გახლდათ თავად ტ.გიხოვსკიც. ყველაფერს ამას წინ უსწრებდა კიდევ ერთი ფაქტი. რადგან თბილისა და ბაქოში არსებობდა „რუსული (სამპერატორო) სამუსიკო საზოგადოების“ განყოფილებები, ქუთაისშიც გაიხსნა ამგვარი განყოფილება, რომელმაც სულ რაღაც ცხრა თვემდე იარსება. იდეა განყოფილების გახსნისა გაცილებით ადრე გაჩნდა ინტელიგენციის პატარა ჯგუფში, რომელშიც ერთიანდებოდნენ ცოლ-ქმარი ჩარკვიანები, ს.ხეჩინაშვილი, ბ.მაჭავარიანი და სხვა. მათ დასახმარებლად მიმართე „ქუთაისის ურთიერთდამხმარე საკრედიტო საზოგადოების“ თავმჯდომარეს ი.კემულარიას, რომელმაც მათ დახმარება აღითქვა. ი.კემულარიამ პეტერბურგში „რუსული სამუსიკო საზოგადოების“ მთავარ რედაქტორს მისწერა წერილი (დათარილებულია 1915წლის 26 დეკემბერით): „რუსულ სამპერატორო სამუსიკო საზოგადოებას“ — მოწყალეო ხელმწიფევ! ქუთაისში მცხოვრებმა მთელმა რიგმა პირებმა,



ავლიშვილ პალანჩივაძე

რომლებიც ახლოს დგანან მუსიკალურ ხელოვნებასთან, განსაკუთრებული მდგომარეობის მიუხედავად (იგულისხმება მსოფლიო ომი და ა.შ.), გადაწყვიტეს დააარსო „რუსული სამუსიკო საზოგადოების“ განყოფილება სამუსიკო სკოლით. საქმის მოთავეებს, ამ მიზნის განხორციელებამდე, სურთ წინასწარ გაეცნონ საზოგადოების წედებასა და იმ პირობებს, რაც საჭიროა განყოფილების გახსნისათვის. ამისთვის უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფევე, თხოვნაზე უარი არ გვითხრათ და უახლოეს ხანში მოგვაწოდოთ საჭირო

## ისტორიის ფარგლები

იმსტრუქციები აღნიშნული განყოფილების ჩამოყალიბებისათვის“ (I,280). წერილი რატომღაც მთავარმა დირექციაზ უყურადღებოდ დატოვა. მოგვიანებით იმავე მისამართზე ი.კემულარიამ 1916 წლის 15 მარტს მეორე წერილი გავრჩავნა: „მთელი ქუთაისის გუბერნაში, რომელშიც შედის ბათუმისა და სოხუმის ოლქები, დღემდე არ არსებობს არც ერთი სპეციალური სამუსიკო სასწავლებელი. ამავე დროს, მოსახლეობის სამუსიკო განათლებისადმი არაჩვეულებრივი მიღრეკილების გამო, მისი საჭიროება დაუინებით იგრძნობა... მაგრამ, ჩემდა სამწეხაროდ, დღემდე თქვენგან პასუხი არ მღირსებია“ (I,281). ი.კემულარიას წერილი იმავე წელს ყურადიღეს და 26 მაისს ვრცელი ახსნა-გარმატება და საზოგადოების წესდება გამოუგზავნეს.

1916 წლის 22 მაისს ქუთაისის კომერციულ სამუსიკო დარბაზში შედგა კრება, რომელსაც ცხრა ადამიანი დაესწრო: ბარბარე მაჭავარიანი, თევდორე კოლიტესკი, აბესალომ ჩარკვიანი, იადვიგა-ჩარკვიანი, სიმონ ხეჩინაშვილი, ელისაბედ ხეჩინაშვილი, გრიგოლ ვასილიევი, კამილა მამალაძე და იოსებ კემულარია. მათმა მიმართვამ გუბერნატორისადმი შედევი გამოიღო. კემულარიამ 1916 წლის 13 აგვისტოს „რუსული საზოგადოების“ მთავარ დირექციას მიწერა წერილი და საქმის დაჩქარება სთხოვა. იმავე წლის 16 ოქტომბერს ი.კემულარიას „რუსული საზოგადოების“, მთავარმა რედაქციაზ აცნობა, რომ თანახმანი არიან ქუთაისში გაისხნას „რუსული საზოგადოების“ განყოფილება, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

მაშინ, როდესაც ინტელიგენციის ერთი ნაწილი ზემოაღნიშნული საზოგადოების დაარსებისთვის თავდაუბოგვად იბრძოდა, ინტელიგენციის მეორე ნაწილი ქუთაისში ქართული ფილარმონიული საზოგადოების დაარსებაზე ფიქრობდა. მანამდე, 1906 წელს, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებაში დაისვა საკითხი, რათა ქუთაისში გახსნილიყო იმავე საზოგადოების ფილიალი, რომლის დაარსება დაევალა გ.ჩხიკვაძეს. მოგვიანებით 1916 წელს გაზეთ „სამშობლოში“ (№335), დაიბეჭდა მ.ლობჟანიძის წერილი: „აუცილებლად საჭიროა, რომ ქუთაისში დაარსდეს ქართული ფილარმონიული საზოგადოების განყოფილება, რომლის მიზანი უნდა

იყოს სამუსიკო სკოლის გახსნა და ეროვნული ჰანგების შეკრება-გამოცემა... ქუთაისი უნდა გახდეს მუსიკა-ლური კულტურის ცენტრი დასავლეთ საქართველოში“ (I,284). „ქუთაისის ფილარმონიული საზოგადოების“ დაარსების შემდეგ საქმის მეთაურნი აპირებს პირველ ენკენისთვეს გახსნან სამუსიკო სკოლა და შეადგინონ ეროვნული გუნდი. ფონდის შესაქმნელად, მაისში, გამართავნ დიდსა და მეტად აღსანიშნავ კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შესანიშნავი და დამსახურებული მუსიკოსები. სკოლის გამგეთ იწვევენ ერთ ცნობილ ქართველ მუსიკოსს“ (იგულისხმება კომპოზიტორი მელიქონ ბალანჩივაძე) (I,285).

როგორც ცნობილია, ქუთაისის (ამჟამად მელიქონ ბალანჩივაძის სახელობის) სამუსიკო სასწავლებელი ოფიციალურად გაიხსნა 1919 წლის ორ თებერვალს. მიუხედავად მრავალი სხვა დაბრკოლებისა, სამუსიკო სასწავლებელი დღითიდლე ღონიერდებოდა. რა თქმა უნდა, ამაში უდიდესი დამსახურება მიუძღვოდა კომპოზიტორ მელიქონ ბალანჩივაძეს, ლარისა ქუთათელაძეს და მუსიკის მოყვარეთა დიდ ჯგუფს ალ.გარსევანიშვილის მეთაურობით.

## პრეზული თანამედროვე პარტულ პოლიტონიაზე

რუსული ნურნევია

2013 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვაციონულ გამოსკა ასოციროფესიონის ლეილა მარუაშვილის სტატიების კრებული „თანამედროვე ქართული პოლიტონის ბოგიერთი სტილური მიმართულება“. მასში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაშრომები, მიღვნილი თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში პოლიტონის გამოვლენისადმი.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგების მიერ ქართველები „პომბოლიფონიკუსტად“ (ზემოცველის ტერმინი) არიან ალიარებული, ხოლო ტრადიციული მრავალხმიანი კულტურა ჩვენი კლასიკოსების – ნიკო სულხანიშვილისა და გაქარია ფალიაშვილის შემოქმედების ქვეყნის ერთობლივი 1920-50-იან წლებში ქართული ტრადიციული საგუნდო-საანსამბლო აზროვნების თავისებურებები, ძირითადად, ამ პერიოდის საოპერო ქმნილებების საგუნდო ეპიზოდებსა და რამდენიმე მხატვრულად ღირებულ საგუნდო ნაწარმოებში იჩენს თავს. რაც შეეხება ინსტრუმენტულ მუსიკას, საბჭოური ეპოქისათვის ტრადიციული დრამატურგიაში ნაკლებად შევდებოდით ტრადიციული მრავალხმიანობისათვის დამახასიათებელ ხერხებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა – სანიმუშოდ დავასახელებდი შალვა მშველიძის „ზვიადაურს“, რომლის მუსიკალური ფაქტურა ხალხური ხმათამოძრაობის პრინციპებითაა ნაქსოვი; ან ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონიის ფინალურ რეკვიემს, რომელიც სამი ალტის მიერ შესრულებული საგალობლით იწყება.

1960-იანი წლებიდან, ქართულ მუსიკაში XX საუკუნის მუსიკის სხვა მახასიათებლებთან ერთად, ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებაში პოლიტონიური ფორმებისა და განვითარების ხერხებთან ერთად სხვადასხვა დობით ტრადიციული მრავალხმიანობის



ლელა მარუაშვილი

თავისებურებებიც მონაწილეობს. მაგალითად, ნარკვევების ავტორი ხედავს ხალხურ სიმღერასთან ნიკოლობ გუდიაშვილის პრელუდიებისა და ფუგების ოქამატიზმის კავშირს, თემის რეგისტრულ ინტერპოლაციაში იგი, ერთსა და იმავე დროს, თანამედროვე და ტრადიციული მუსიკის მეთოდების არსებობას ადასტურებს (გვ. 21); აღნიშნავს გია ყანჩელის მუსიკალური ენისა და, კერძოდ, პოლიფონიური აზროვნების ჩამოყალიბებაზე როგორც ფოლკლორული, ისე პროფესიული ეროვნული ტრადიციების დიდ გავლენას (გვ. 134), ხოლო ს.ნასიძის პოლიფონიური სტილის ინდივიდუალობას „ხალხური პოლიფონიის ტრადიციების ორგანული გარდაცემით“ (გვ 118) ხსნის.

მაგრამ, ცხადია, კრებულში მოთავსებული სტატიების (ავტორი, ძირითადად, მსჯელობს ნიკოლობ გუდიაშვილის, სულხან ცინცაძის, სულხან ნასიძის, ნოდარ მამისაშვილის გა ყანჩელის, ეკა ჭაბაშვილის ნაწარმოების საფუძველზე) მთავარი ამოცანა იყო ძველი და XX საუკუნის დასავლური პოლიფონიის ფორმების ფუნქციონირების ფორმათა გამოკვლევა XX საუკუნის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში. განხილულია იმიტაციური ტექნიკის, ტრადიციული პოლიფონიური ფაქტურის უახლესი სახეების, ფუგის უანრული განახლების, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის გარდატეხისა და სხვ. საკითხები.

ლელა მარუაშვილის სტატიების კრებული ერთან ნიკოლობის მქონე წიგნია, რომელიც სარგებლობას მოუფანს კონსერვაციონის სტუდენტებსა და ქართული პროფესიული მუსიკის პოლიფონიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

7 თებერვალს დასრულდა პოლონური კულტურის უმნიშვნელოვანესი მოვლენა – დიდი პოლონელი კომპოზიტორის, ლიუტოსლაგსკის საიტის წლი. კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებში მონანილება მიიღეს მსოფლიოს გამოჩენილმა დირიჟორებმა და შემსრულებლებმა. ლიუტოსლაგსკის წლის ინაუგურაცია გაიმართა 25 იანვარს ეროვნულ ფილარმონიაში. კომპოზიტორის ნაწარმოებები შეასრულა ფილარმონიის ორკესტრმა ანტონ ვიტას დირიჟორობით. მუსიკოსებს აკომპანენტებს უწევდა ცნობილი გერმანელი მევიოლინე ანე-დოფი მუთერი, ლიუტოსლაგსკის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი შემსრულებელი, რომლისთვისაც კომპოზიტორი სპეციალურად ქმნიდა ნაწარმოებებს. 2013 წლის მანძილზე ლუტოსლაგსკის პატივსაცემად სულ 30 კონცერტი ჩატარდა.

აშშ-ს ქალაქ მილუოკის პოლიციამ მიაკვლია 5 მილიონად შეფასებულ ანტონიო სტრადივარის მოპარულ ვიოლინოს. პოლიციამ ვიოლინი იპოვა ერთ-ერთი სახლის სხვებში. პოლიციის შეფასება აღნიშნა, რომ ვიოლინო შესანიშნავ მდგომარეობაშია და მაღლე დაუბრუნდება თავის პარონს – მილუოკის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოს, მილუოკი ფრენკ ალმონდს. ლეგენდარული ინსტრუმენტი დამზადებული იყო 1715 წელს

და იგი ცნობილია „ლაბინსკის სტრადივარის“ სახელით, ვინაიდან ვიოლინო მანაძე ეკუთვნოდა პოლონელ მუსიკოსს კაროლ ლიბინსკის.

81 წლის ასაკში, ბოლონიაში, გარდაიცვალა უდიდესი იტალიელი დირიჟორი კლაუდიო აბადო. თავისი სანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, ის იყო ვენის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 15 წელი ხელმძღვანელობდა ლა სკალას თეატრს, იყო მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრების მთავარი დირიჟორი, მათ შორის ლონდონისა და ბერლინის. აბადო უამრავი ჯილდოს მთლიანელი იყო, მათ შორის, დიდი ჯვრის ორდენის „იტალიის რესპუბლიკის ნინაშე დამსახურებისათვის“, ავსტრიის ოქროს საპატიო ნიშნის, „დიდი ჯვრის“ გერმანიის ნინაშე დამსახურებისათვის. შარშან, 2013 წლის სექტემბერში, იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ, 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, იგი დანიშნა სამუდამო სენატურად.

„ნიუ-იორკ სითი ოპერაში“, მისი ბანკროტობისა და დახურვის მიუხედავად, გადაწყვიტა 70 წლის იუბილეს გადახდა. 21 თებერვალს «City Center»-ში, სადაც 1944 წელს დაიბადა ეროვნული ოპერა, ჩატარდება კონცერტი, მონანილებას მიიღებენ „ნიუ იორკ სითი ოპერის“ ორკესტ-

რის 60 მუსიკოსი და საოპერო ვარსკვლავები: სოპრანოები ლორქნ ფლენიგანი და ჯოელ ხარვი, მეცოსოპრანო ჯენიფერ რივერა, ტენორი რაიან მაკფერსონი და ბარიტონები მარკ დელავანი და სიდნი აუტლო. პროგრამაში „ნიუ-იორკ სითი ოპერის ორკესტრი“ და ვარსკვლავები გეიმობენ სახალხო ოპერის 70 წლის იუბილეს „აულერდება ნაწყვეტები იმ ოპერებიდან, რომლებსაც „ნიუ-იორკ სითი ოპერის“ რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა – დუგლას მურის „ბალადა პატარა დოუზე“, ლეონარდ ბერნსტაინის „განდიდი“, ემანუელ სარიეს „ვარსკვლავი“ და გეორგ ფრიდრიხ ვენდელის „იულიუს კეისარი“, ფრიდრიხ ფონ ფლოტოვის „მარტა და რიჩმონდის ბაბარი“, ერის კორნგოლდის „მკვდარი ქალაქი“. იდიოსიურებს თავერის ყოფილი დირექტორი ჯორჯ მენაჰენი. ბილეთები ეღირება 25-დან 250 დოლარამდე. შემოსავალი გადაირკვება ფონდში, რომელიც შეიქმნა 1967 წელს გაჭირვებული მუსიკოსების დასახმარებლად.

სენსაციური აღიარება – იაპონელმა კომპოზიტორმა მამორუ სამურაგო-ტიმ, რომელიც დაყრუცდა და რის გამოც მას ბეთვოვენს ადარებდნენ, სენსაციური რამ აღიარა – მან განაცხადა, რომ თითქმის 20 წელია მის მაგივრად მუსიკას სხვა ადამიანი ქმნიდა. სამორაგოები მსოფლიო სახელი 1990 წელს მოიპოვა. განსაკუთრებული აღიარება კი მას მოუტანა

სიმფონიამ №1 „ხირისიმა“, რომელიც მიეძღვნა 1954 წლის მსხვერპლს. ის თვითონ დაიბადა ხიროსიმაში და მის შშობლები ხიროსიმას კატასტროფას ემსხვერპლნენ. ხმის ჩამწერი ფირმა *Nippon Columbia*, რომელიც კომპოზიტორთან მრავალი წელია თანამშრომლობს, აღმოთებულია ამ შოკისმომგვრელი აღიარებით.

ლოს ანჯელესში გაიმართა „გრემის“ დაჯილდოების ცერემონია. უმეტესობა ჯილდოებისა ერგოთ ე.წ. მსუბუქი მუსიკის წარმომადგენლებს, მაგრამ გაიცა აგრეთვე ჯილდოები კლასიკურ მუსიკშიც. საუკეთესო საორკესტრო შესრულებისათვის დაჯილდოვდა დირიჟორი ოშმი ვაინსკა და მინესოფის სიმფონიური ორკესტრი (სიბელიუსის №1 და №4 სიმფონიების შესრულებისათვის). ედესის ოპერის „ქარიშხალი“ საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ: დირიჟორი ტომას ედესი და სოლისტები – სამონ კინლისაიდ, იმაბელ ლეონარდი, ოდრი ლუნა და ალან ოკი (მეტროპოლიტენ-ოპერის დადგმა). გუნდის საუკეთესო შესრულებისათვის პრემია მიენიჭა ტინ კალიუსტეს, არნო პიარტის „ადამის ტირილის“ ჩანანერისათვის, რომელიც შეასრულა ესტონეთის ფილარმონიის კამერულ გუნდთან, ანსამბლ „რიგის სიმფონიერასთან“, ტალინის კამერულ ორკესტრთან, ლატვიის გუნდთან და «*Vox Clamantis*»-თან ერთად. სხვა კატეგორიებში პრემიები მიენიჭათ პერკუსიონისტ ირვინ გლენის,

სოპრანო დონ აბშოუს და დირიჟორ კრისტიან ემერის.

## „გრემის“ დაჯილდოების მინისტრი

ბი-ბი-სი მთელი წლის მანძილზე აღნიშნავს რიხარდ შტრაუსის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს. რადიოე-თერში აუდირდება რ. შტრაუსის ყველა ოპერა. პროექტი დაიწყო 4 იანვარს, როდესაც რადიომ გადმოსცა ოპერა „Capriccio“-ს დადგმა რენე ფლემინგის მონაწილეობით. დირიჟორი – სერ ენდრიუ დევისი. საიუბილეო თარიღის მოახლოებისას, 11 ივნისს, რადიომ მთლიანად რ. შტრაუსის შემოქმედებას მიუძღვის.

კლასიკური მუსიკის საერთაშორისო პრემიის ICM (International Classical Music Awards)-ის ჟიურიმ გამოაცხადა 2014 წლის ლაურეატები. უდიდესი მიღწევებისათვის ჯილდო მიიღო შვეიცარიელმა დირიჟორმა, ფრანგული და რუსული მუსიკის ბრწყინვალე ინტერპრეტატორმა შარლ დიუფუამ. წლის არტისტი, ჟიურის გადაწყვეტილებით, გახდა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული პიანისტი ანდრეას შტაიერი. კატეგორიაში „ახალგაზრდა სახელები“ გამარჯვებული გახდა ფრანგი ალ-ტიასტი ადრიენ ბუასო. ლაურეატთა შორისაა გერმანიის სამხრეთ-დასავლური რადიოს ორკესტრი, რომელიც ძირითადად მოღვაწეობს ბადენ-ბადენში და ფრანგულგმი.

ცნობილი ესპანელი კომპოზიტორის ენრიკე გრანადოსის (1867-1916) მინისტრი მინისტრი მინისტრი – „მარია დელ კარმე“ – გარშემო არსებული დე-ტექსტური ისტორია დასასრულს უახლოვდება. ოპერის პრემიერა დიდი წარმატებით გაიმართა 1898 წელს, მაღრიძი, მაგრამ ვერ დამკვიდრდა რეპერტუარში. როგორც ცნობილია, 1916 წელს კომპოზიტორი მეუღლესთან ერთად გაემგზავრა აშშ-ში და უკან მობრუნებისას ორივე დაიღუპა. მას თან ჰქონდა „მარი დელ კარმენის“ ერთადერთი ხელნაწერი ნოტი 3 ტომად, რომელიც, საბედნიეროდ, გადარჩა. თუმცა, 1938 წელს, გრანადოსის ერთ-ერთმა ვაჟმა ხელნაწერი მიყიდა ამერიკელ გამომცემელს, რასაც სხვა შთამომავლები პპროფესიებდნენ. უფლებებზე დავა გრძელდებოდა 1970 წლამდე, ვიდრე ის არ დაწევა ნიუ-იორკის საცავში, სადაც ხელნაწერი ინახებოდა.

2006 წელს ამერიკელმა მკვლევარმა უოლტერ კლარკმა დაიწყო გრანადოსის შემოქმედების შესწავლა და მიაგნო ამ ოპერის კვალს. კლარკი დაუკავშირდა იმ ადამიანის შვილიშვილს, რომელმაც თავის დროზე ხელნაწერი იყიდა და აღმოჩნდა, რომ ხელნაწერის სამივე ერთი სახეშეგა. ოპერის ხელნაწერი აღადგინეს. ამჟამად მის გამოცემაზე მუშაობს ფირმა „თრიტო“, რომელიც პირებს აგრეთვე ჩანანერის გამოცემასაც. მომავალ წელს ოპერა დაიღმება ესპანეთის სხვადასხვა თეატრებში.

## summary

The Concert Life  
Manana kordzaia  
The New Year Musical Meetings

At the concert halls of the Tbilisi State Conservatoire the 2013 season was again closed by the cycle of pre-Christmas and New Year concerts held from 15 to 30 December. In the spectrum including the Jazz Music Evening which maybe justly considered as one of the significant branches of classical thought has also become traditional. The author remarks that there were not world acknowledged stars on the bill but there was the youthful air of the program that was its charm. The concert held within the limits of the New Year meetings are observed in the article.



Novelty  
Marika Chijavadze  
New Georgian Quartets




At the end of last year on 23 December the concert of winner composers and rewarding was held at the International Competition declared by the Ministry of Culture and Monuments Protection. In the quartet genre the first premium was given to Zurab Nadareishvili, the second premium to Mikhail Odzeli, the third was distributed between Otar Tatishvili and Alexander Mtsariashvili. That day at the Young Musicologists' Competition the reward was also given to the winner of the competition, the young musicologist Maia Sigua for "The Best Musicological Critical Work". The presentation of the last number 4, 2013 of the journal "Music" was also held.

The author deals with and appreciates the achievement of the Georgian Chamber music sounded at the concert.

The Date  
Shio Abrakhamia  
With Love to Music and Terenti

The article is dedicated to the composer Akaki Andriashvili's 110th anniversary. Akaki Andriashvili has left the productive musical heritage (8 operas, 2 symphonies, the piano concert etc.). The opera "Kako Kachaghi" had a great resonance.



The performances were held with such a "Sold Out" notice that including of the horse militia became necessary. Unfortunately the composer is actually forgotten today.

The author publishes the personal letters of the tragic person – Terenti Graneli who was known as the lonely poet in his life and he dedicates the poem to him. As it turns out there was the spiritual friendship between these two persons. The letters are being published for the first time.

The Competition  
"This Is Not The End, This Is Only The Beginning"

On 24 December, 2013 in Kutaisi M. Balanchivadze Central Music School, the foundation of the composers' competition was laid which was



held for the first time this year. The initiator was M. Balanchivadze Central Music School and it was dedicated to 95th jubilee of the school. The competition was announced for the creation of solo and ensemble instrumental transcriptions according to vocal works by the Georgian classic Meliton Balanchivadze. The first premium was given to the composers Nino Janghgava and Malkhaz Mchedlishvili; the second - to Rusudan Khorava, Anna Gokadze, Tamar Vashakidze. Almost all the winners became the laureates of several premiums in various genres. Most of the premiums (5) were given to the composer Giorgi Shaverzashvili.

The Dialogue with the Artist  
Rusudan Kutateladze  
Mzia Japaridze  
The Interlude of the Musical Festival

The authors offer us the interesting interview with the outstanding Georgian pianist, the laureate of international competitions, the Rustaveli National and other premiums, the professor of Moscow and Munich Conservatoire, the founder of the Telavi International Music Festival Eliso Virsaladze. The conversation refers to the Telavi Festival and the significant issues of the musical art.

The Concert Life  
Nana Loria  
The First Night After Twenty-Seven Year

The author refers to the concert dedicated to the twenty-fifth anniversary of the past composer Bidzina Kvernadze held in the small hall of the Conservatoire by the chamber orchestra "The Tbilisi Concertino" (The conductor – Giorgi Shilakadze).

This musical work was written in 1986 to the order of the famous publisher Hans Sikorsky and was performed in Switzerland just that year. At first it was intended for the big symphony orchestra that is for the string group of the symphony orchestra. Then the version for the chamber string orchestra was made. The world-known Georgian violinist and the conductor of the string orchestra Liana Isakadze was going to perform it thus, but this intention was not carried out. The author thanks "The Tbilisi Concertino" for the above mentioned concert and remarks that this musical work was unjustly forgotten. The symphony convinced her that Bidzina Kvernadze opened the new possibilities of musical expressiveness before the Georgian composers and kindled the ability of enjoying in the listener.



Folklore  
Ketevan Baiashvili  
NewNadimi

This year simultaneously with Eliso Virsaladze Chamber Music Festival another festival was also held in Telavi. The festival took place in Telavi Nadikvari Park. The leading aspects of it were: ceramics, textile and folk music. Within its limits international exhibitions, professional and public workshops, discussions, master-classes and concerts were held.

## summary

Besides famous performers unknown groups also appeared there. The appearance of the children groups was especially joyful. Although the folk music was represented only by one region of Georgia- the Kakhetian folklore, there was variety. Here traditional and innovating performing peculiarities of this or that region of Kakheti were revealed. Both the new and unknown, forgotten variants of songs sounded there. The meeting of the performers and ethnomusicologists were also foreseen by the festival program. The ethnomusicologists paid the special attention to the necessity of searching for old, lost songs.



Folklore  
Rusudan Tsurtssumia  
Ten-year Jubilee  
(The Research Centre of Polyphony)

The article is dedicated to the Traditional Polyphony Research International Centre of the Tbilisi State Conservatoire, which is ten years old since its foundation. The author recalls the events (conferences, symposium) which became the precondition of the foundation of the Centre. During ten years much work has been done by the Centre. Thanks to the symposiums organized by the Centre in the world ethnomusicology there has been formed the opinion that Georgia is the unique country in the world, where on its small territory we meet with all types of polyphony.



Recently in the world countries they gradually comprehend that the polyphonic song is not only the wonderful cultural phenomena but it is also the harmonious symbol of collaboration. The impulse of all this is the above mentioned Centre on the international scale.

Music and Art  
Tamar Tsulukidze

In Muraz Murvanidze's Musical-Theatrical World

The author tells us about the impressions that she got in the Tbilisi Art Studio of the Georgian artist Muraz Murvanidze who is acknowledged on the international scale. Here is the conversation with M. Murvanidze where we get acquainted with the beginning of his creative work in the musical-theatrical sphere, his almost ten-year activity in the St.Peterborough Marine Theatre, his creative relations with such great personalities as B. Pokrovsky, S. Rostropovich, M. Bejhar etc.



The Chronicle

In the heading "The Chronicle" the various events of Georgian musical life are observed: "The Georgian Clarinetist at the International Festival" tells us about the Georgian clarinetist Dimitri Bokolishvili's international success. D. Bokolishvili studies at the St. Cecilia Academy. His maestro is famous Alessandro Karbonare. Today Dimitri is one of the suc-



ful students of the maestro. The fact that the Georgian Clarinetist took part in the city Assassi in 2013 on 24-28 July at the World International Festival speaks much of Dimitri's success. The festival was founded by the American International Clarinet Association held together with Academia Italiana del Clarineto. D. Bokolishvili appeared at the festival with 30 minute concert program, which he performed together with the pianist Nunu Chelidze. The Georgian performer opened his solo program with the sonata by Vazha Azarashvili much liked by foreign listeners.

"The Nutcracker the Georgian winner of 2013" – In 2013 on 10 December in Moscow the finale TV contest "The Nutcracker" was held. More than 600 gifted children from different countries of the world took part in it. In the nomination "Playing the Piano" the highest reward was given to Davit Khrikuli the pupil of the Tbilisi Paliashvili Central Music School (tutor Dodo Tsintsadze). The young pianist attracted the jury by the brilliant performing of N1 Piano Concert by Mendelssohn and that's why they came to the decision in his favour.



The Festival  
Mzia Japaridze  
"Share with the Elevated Art"  
(The Telavi Music International Festival,  
2013)

The article is dedicated to the Classical Music International Festival which took place in the ancient city of Telavi, Kakheti in one of the Regions of Georgia. The festival is traditionally

held in autumn, October.

Since the 80's The Telavi Festival has become one of the significant events in Georgia. The founder of festival after 20 years interval in 2010, the initiator of the festival renewal is the Georgian pianist Eliso Virsaladze – the Georgian pianist of the international scale. The constant guests of The Telavi Festival are such great musicians as the violoncellist Natalia Gutman, the clarinetist Eduard Bruner. The Telavi Festival has hosted a lot of outstanding musicians. The author of the article shares with the reader unforgettable impressions which she received from the festival concerts, master-classes etc. The author also talks about those problems of the musical life in Georgia which have been accumulated over the last years.

The Remembrance  
Mariam Kamushadze  
To the End of the Last Minute of Life



The article refers to the evening and photo exhibition dedicated to the memory of famous Georgian ballet-master, the dancer and the teacher Giorgi Aleksidze. The arrangement in the concert

form represented his creative and personal portrait. There was marked his desert: the restoration of the best classical ballet wordings, the introduction of the new tendencies and choreographic thought in the Georgian ballet and the renewal of the dancing language. According to the words of the St Peterboroughian musicologist Era Baruchava in Giorgi Aleksidze's ballets there is the new ballet vocabulary.

## summary

The Dialogue

Nata Kobidze

The Impulses Sprung Up From Silence

Rezo Kiknadze's Musical Score

The musicologist Nata Kobidze is talking with the composer, jazzman, the Rector of the Conservatoire Rezo Kiknadze. The composer is talking about his creative work and of the conviction of life in general. He is answering the questions – how he entered the musical world, how and where he was equipped with professional knowledge, when he was keen on jazz, what the being as the Rector of the Conservatoire means for him etc.



Archives

Levan Mizandari

The First Handwritten Note of the Georgian Professional Music

Just now at the State Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography (at the Art Palace) three handwritten notes by one of the first professional Georgian composers and the first Georgian Pianist of international scale – Alioz Mizandari(1837-1912) were discovered: 1. “ Fugative musings for my friend” N3, Composed by A.O. Mizandari, Vienna, jan.1867; 2. “ Lesghinka ” N4 arranged par. A. Mizandari; 3. “Allegret-




to” from Felix Mendelssohn’s second symphony – cantata op. 52, with the transcription for the piano by A. Mizandari. The author tells us about these very significant manuscripts.

Problem

Rusudan Kutateladze

‘The Doggy Profession’

The author answers the composer Alexander Mtsarashvili’s grievous letter - Composition – Hobby published in the previous number of the journal “Music” (N4,2013). In the above-mentioned letter the composer ironically declares that in our country the composition has almost turned into hobby, because genuine, professional composers have no means to keep body and soul together by their activities.



As the title of the article the author used the words of the French composer, conductor, music critic – Hector Berlioz about the faith of the music critic: ‘It is doggy profession which one always must lick and bite’. Noting the not enviable conditions of the music critic of today, the author adds: the old generation more or less adapted to this situation, they had no way out, but the young generation being brought up in the different epoch, will never be adapted to the slavery obedience. That’s why the radical changes are necessary.

*A CD enclosed with the magazine contains a sound track for each feature. Since its format is insufficient for all the details: the titles of the pieces and features and performers, only the title of a musical piece and the page of the corresponding article are specified. Here is a complete list of the CD recorded material:*

1. Jazz Trio. The composition on Inola Gurgilia's motives. Performed by Rainer Boem (piano), George Kiknadze (bass), Conrad Ulrich (drums) (Feature "The New Year Musical Meetings", p.....);
2. Zurab Nadareishvili. Quartet #2 (fragment). (Feature "New Georgian Quartets", p.....);
3. Mikhael Odzeli. Quartet #3 (fragment). (Feature "New Georgian Quartets", p.....);
4. Otar Tatishvili. Quartet #1 (fragment). (Feature "New Georgian Quartets", p.....);
5. Alexander Mtsariashvili. Quartet #1 (fragment). (Feature "New Georgian Quartets", p.....);
6. Akaki Andriashvili. Opera "Kako Kachaghi". Kako's Aria.
7. Bidzina Kvernadze. Symphony for the String Orchestra (fragment). Performed by "Concertino Tbilisi", conductor Georg Shilakadze. Live recording (Feature "The First Night After Twenty-Seven Year ", p.....);
8. Georgian Folk Song "Shepherd" and "Bakhtrioni". Performed by Children's Folklore Ensemble "Amer-Imeri", from Tsnori. Leader Tinatin Shervashidze(Feature "NewNadimi", p. ....);
9. Georgian Folk Song "Shemodzaxili". Performed by Folklore Ensemble "Tsinandali". Leader George Urchukhashvili(Feature "NewNadimi", p. ....);
10. Ludvig Van Beethoven - Piano Concerto no. 3, op. 37, mov. 2. Performed by Eliso Virsaladze (piano) and Festival Orchestra, conductor Ariel Zuckermann (Feature "Share with the Elevated Art", p. ....);
11. Johann Nepomuk Hummel. Piano Quintet op.87. Soloists: Eliso Virsaladze (piano), Ingolf Turban (violin), Marquise Gilmore (viola), Natalia Gutman (cello) Mikheil Kartvelishvili (Double Bass). (Feature "Share with the elevated art", p. ....);
12. Revaz Kiknadze. "Antiphone". Performed by Chamber Orchestra, conductor Giorgi Babuadze. (Feature "The Impulses Sprung Up From Silence", p. ....);
13. Aloiz Mizandari. "Fugitive musings for my friend" #3. Viena. 1867. \_ Digital version. (Feature "The First Handwritten Note of the Georgian professional Music", p. ....).

---

The editorial board: Mikhael Odzeli, Editor-in-Chief; editors: mmes: Mzia Japaridze and Tamar Tsulukidze.

design: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.

Translated by Ketevan Tukhareli.

Address; 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi

Tel;(+99532)295 41 64: (+995 32)296 75 05; (+995 32) 96 86 78

e-mail : [journal.musika@ma\\_il.ru](mailto:journal.musika@ma_il.ru) facebook: journal.musika

ISSN 1987-7773



1987 7778